საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

27 ივნისი **ოთხშაბათი** 2012 **№150 (13 756)** ფასი 80 თეთრი

# ვინ იქნება პირველი ფინალისტი?

27 ივნისი: დონეცკი 22:45

პორტუგალია VS ესპანეთი



პაულუ ბენტუ

## ამ კითხვას პასუხი დღეს დონეცკში გაეცემა

მეზობლების შეხვედრაში ბევრ რამეს თანაგუნდელთა დუელი გადაწყვეტს

**რონალდო VS არბელოა**



ვისენტე დელ ბოსკე



ანა ტატიშვილი

# ტატიშვილი და ჩახნაშვილი ოლიმპიადაზე!!!

გუშინ ძალიან სასიხარულო ამბავი შევიტყვეთ – საბოლოოდ დაკომპლექტდა ლონდონის ოლიმპიური თამაშების საჩოგბურთო ტურნირის შემადგენლობა და სიაში ქართველიცაა. თანაც - ორი: ანა ტატიშვილი და მაკა ჩახნაშვილი! ამათგან ოლიმპიადის საჩოგბურთო ტურნირის ერთეულთა თანრიგის 64 მონაწილეში 22 წლის ტატიშვილია, რომელიც მსოფლიოს 73-ე ჩოგანია. მართალია, ანას რეიტინგით ცოტა დააკლდა მიზნამდე, მაგრამ მას ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციისთვის გამოყოფილი ადგილი შეხვდა. "ველური ბარათით" მოხვდა ქართული დუეტი (ტატიშვილი, ჩახნაშვილი) წყვილთა თანრიგის ძირითად ბადეშიც.

მაშ ასე, 2004 წლის შემდეგ ქართველებს ოლიმპიადაზე ჩოგბურთელი გვეყოლება. მაშინ ათენში ირაკლი ლაბაძემ ტრავმის გამო ვერ ითამაშა. ამრიგად, ქართველ ლიცენზიანტ სპორტსმენთა რიცხვი 34-მდე გაიზარდა.

ნიკოლოზ ნეფარიძე



მაკა ჩახნაშვილი

# დინამომ ახალი მწვრთნელი და დირექტორი წარადგინა



2

მარცხნიდან: დინამოს სპორტული დირექტორი ბუბა ტყავაძე, პრეზიდენტი რომან ფიფია და მთავარი მწვრთნელი დუშან უჰრინი
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

BUNDES LIGA

# გერმანიის ჩემპიონი ვერდერით იწყებს

ბუნდესლიგის 2012/13 წლების კალენდარი

10

ქართული ფეხბურთი

● დინამო

# რომან ფიფია: ზოგიერთმა კლუბმა უკან დაიხია

**რატომ დასრულდა პროფესიული ფეხბურთის ლიგის აღდგენის მცდელობა კრახით? ამ კითხვაზე გუშინდელ პრესკონფერენციაზე თბილისის "დინამოს" პრეზიდენტმა რომან ფიფიამ უპასუხა.**

"იცით, რომ ეს ჩემი ინიციატივა იყო. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, სანამ გუნდებმა უკან არ დაიხიეს. არადა, ლიგის აღდგენაზე ყველას ხელი ჰქონდა მოწერილი. ერთი სიტყვით, დღეისათვის კლუბები ამისათვის მზად არ აღმოჩნდნენ.

დარწმუნებული ვარ, მომავალ წელს ეს იდეა მაინც გაიმარჯვებს და პროფ-ლიგა ჩამოყალიბდება. და თუ ასე არ მოხდა, ამ 12 გუნდის პრობლემა და სირცხვილი იქნება... მხოლოდ მომხრეებმა ლიგა იმიტომ ვერ ჩამოვაყალიბეთ, რომ ამ იდეას ბევრი აქტიური მომხრე არ ჰყავდა.

საბოლოოდ, ჩამოყალიბდა პრეზიდენტთა საბჭო, რომელსაც ვეტოს უფლება ექნება. ფეხბურთის ფედერაციამ ახალი ჩემპიონატის საპრიზო ფონდად 2 მილიონი ლარი დააწესა, მისი განაწილების უფლება კი კლუბებს გვექნება.

გადაწყვეტილია, რომ უმაღლესი ლიგის ყველა შეხვედრა პირდაპირ ეთერში გადაიცემა, საამისოდ, ფეხბურთის ფედერაცია 6 "პე-ტე-ესის" შეძენას აპირებს. თუ ეს დანაპირები შესრულება, ძალიან გაგვიხარდება - მეტი გაშუქება იმას ნიშნავს, რომ ნაკლები ნეგატიური მოვლენა მოხდება და მსაჯების შეცდომებისგან მაქსიმალურად ვიქნებით დაცულები" – განაცხადა ფიფიამ.

## დინამოში ყველა ვერ დარჩება

დამოუკიდებელი ფეხბურთის ისტორიაში პირველად, თბილისის "დინამო" ევროთასებზე ვერ მოხვდა და გუნდს უჩვეულოდ დიდხნიანი შესვენება გამოუვიდა.

გუშინ დილმის ბაზა ისევ გამოცოცხლდა, ახალი მთავარი მწვრთნელი **დუშან უჰრინი** და სპორტული დირექტორი **ბუბა ტყავაძე** გუნდის პრეზიდენტმა **რომან ფიფიამ** წარადგინა: "ჩვენი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ პირველობა და ევროპაში წარმატებით გამოსვლაა. რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ, რაც უნდა ძლიერი კონკურენტები გვყავდეს, ჩვენი მიზანი არ შეიცვლება.

წარმატებაზე ზრუნვა მხოლოდ მთავარი გუნდიდან არ დაგვიწყია. სექტემბრიდან ამუშავდება ჩვენი საფეხბურთო აკადემია და ასეთი სკოლა რაც მეტი იქნება, მით უკეთესი ქართული ფეხბურთის ხვალინდელი დღისთვის.

... რამ განაპირობა უჰრინის ჩამოყვანა? არ დავმალავ, იყო ლაპარაკი გერმანელ, ჰოლანდიელ სპეციალისტებზე, მაგრამ ყველაზე სასურველ ვარიანტად უჰრინი მივიჩნიეთ. იმიტომ, რომ მამამისმა საქართველოში და ჩვენ კლუბში კარგი სპეციალისტისა და კარგი ადამიანის კვალი დატოვა. უმცროსი უჰრინიც კვალიფიციური მწვრთნელია და იცის, რა კლუბში მოდის და ვითარებაში გასარკვევად დიდი დრო არ დასჭირდება.

ცხადაძესთან მოლაპარაკება რატომ ჩაიშალა? მიმაჩნია, რომ ის უფრო არ იყო მზად, ვიდრე ჩვენ.

...პირადი ინიციატივით არავინ მიდის. მაგრამ ფეხბურთელებთან "საქორწილო ხელშეკრულებები" ჩემს მიზნებს ვერ შეცვლის. სამწუხაროდ, მათი გაწყვეტის საშუალება არ გვაქვს. ისე, ვინც არ ვარგა, თავადაც ხედავთ. ამას დუშანიც იოლად შენიშნავს".



რომან ფიფია (მარცხნივ) და დუშან უჰრინი — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

**დუშან უჰრინი:** "მე დიდ კლუბში მოვედი. მოხიბლული ვარ გარემოთი, პირობებით. ყველა იმის მოლოდინშია, რომ კვლავ წარმატებებს მივაღწიოთ და საამისოდ ყველაფერი გავაკეთოთ. მე და სპორტული დირექტორი ვფიქრობთ, რომ ეს შესაძლებელია. დღეს ვნახავთ "ვიტ ჯორჯიასთან" საკონტროლო შეხვედრას და შევაფასებთ, ვინ იმსახურებს დარჩენას და ვინ არა.

... დაცვითი თუ შემტევი ფეხბურთი? მე მიყვარს შემტევი ფეხბურთი და 4-4-2 სქემის მიმდევარი ვარ.

... ჩეხეთში ბევრი კარგი მოთამაშეა, მაგრამ ვისი ჩამოყვანაც მსურდა, მათ კლუბებთან ხანგრძლივი კონტრაქტები აკავშირებთ და ვერ ჩამოგვყავს. თუმცა, დროთა განმავლობაში ვნახოთ, შესაძლოა, ვინმე დავიმატოთ".

**ბუბა ტყავაძე:** "მიხარია ნაცნობ გარემოში დაბრუნება. რუსთავში ვიყავი, მაგრამ იქაც დინამოელად ვრჩებოდი. ეს ჩემთვის დიდი გამოწვევაა.

ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება წარმატებული გუნდი ჩამოვაყალიბოთ. ვინც ახლა "დინამოშია", ყველა ვერ დარჩება.

...დარჩებიან თუ არა ესპანელები? თუ ადგილობრივი რესურსი არ გყოფნის, მათი დამატება აუცილებელია. თუ უჰრინს ისინი მოეწონება, დარჩებიან, თუ არადა, მათთან კონტრაქტები ორმხრივი შეთანხმებით გაწყდება".

**მერაბ მამულაშვილი**

# ხიზანეიშვილს კონტრაქტი აღარ გაუგრძელეს

## დინამო გოგუას ტრანსფერის თანხაზე შეთანხმდა

**დარჩებიან ოთარ ხიზანეიშვილი და გოგიტა გოგუა „დინამოში"? რატომ არ ითამაშეს "ვიტ ჯორჯიასთან" საკონტროლო შეხვედრაში დავით ოდიკაძემ და ალეკო კოშკაძემ და აპირებენ თუ არა თბილისელები რუსთავის "მეტალურგიდან" რევაზ გეწაძის მიწვევას?**

**ამ კითხვებით გუშინდელი პრესკონფერენციის შემდეგ თბილისის "დინამოს" მმართველ დირექტორ ბუბა ტყავაძეს მივმართეთ.**

**- გოგუამ "დინამო" დატოვა?**

- რამდენადაც ჩემთვის ცნობილია - და ეს ამბავი ჩემს დანიშვნამდე მოხდა - გოგუა ტრანსფერზეა. ის კლუბმა გარკვეულ თანხად შეაფასა და ვინც ამ თანხას გადაიხდის, შეუძლია კონტრაქტი გააფორმოს.

**- ანუ, ის "დინამოდან" წამსვლელია.**

- როგორც ვიცი, კლუბსა და მოთამაშეს შორის არის შეთანხმება, რომ გოგუა მიდის. ახლა მოლაპარაკების დასრულებას ველოდებით.

**- ვისთან, გორის "დილასთან"?**

- არ ვიცი, ვერ გეტყვით.

**- ოთარ ხიზანეიშვილიც მიდის?**

- ხიზანეიშვილს კონტრაქტი დაუსრულდა და კლუბმა მისი გაგრძელდება აღარ გადაწყვიტა.

**- მართალია, რომ ალეკო კოშკაძე "ზუგდიდში" ითამაშებს, დავით ოდიკაძე კი საჩხერის "ჩიხურაში"?**

- სეზონის დასრულების შემდეგ მათზეც კლუბმა იგივე გადაწყვეტილებები მიიღო და ახლა ორივეზე მოლაპარაკების დასრულებას ველოდებით.

კონტრაქტი დაუმთავრდა სოსო გრიშიკაშვილსაც. საკონტროლო მატჩების შემდეგ მთავარ მწვრთნელთან კიდევ დავილაპარაკებთ. ცხადია, "დინამოს" მოთხოვნილებებს ვერ დააკმაყოფილებს და ზოგს მეორე გუნდში მოუწევს გადასვლა, ზოგიერთს კი - წასვლა.

**- მამუკა ლონლაძის ტრანსფერი გამოირიცხა თუ ამაზე ლაპარაკი არც ყოფილა?**

- ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ამ მოლაპარაკების თაობაზე არაფერია ცნობილი.

**- ითქვა, რომ რევაზ გეწაძის გადმოყვანას აპირებთ.**

- ჯერჯერობით, ასეთი მოლაპარაკება არ გვქონია.

**- დუშან უჰრინი -უფროსი "დინამოში" სელექციას გააკონტროლებს. ამის გამო კითხვა გაჩნდა, გუნდის აკადემიის ესპანელ ხელმძღვანელს, კარასკოს ხომ არ უშვებთ? მან საქმე "ხუთიანზე"ააწყო.**

- კარასკო რჩება. არავის უთქვამს, რომ უფროსი უჰრინი აკადემიას ან კონკრეტულად რომელიმე სფეროს მიხედავს. უბრალოდ, დიდი გამოცდილება აქვს, საქართველოში უმუშავია, აქაურობას მშვენივრად იცნობს და შვილს კონსულტაციას გაუწევს. გამოცდილება არ იკარგება და მისი გამოუყენებლობა არასწორი იქნებოდა.

**მერაბ მამულაშვილი**



ბუბა ტყავაძე — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

● საკონტროლო მატჩი





თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

# ლეგიონერები ახალი შანსის მოლოდინში

## დინამოში დროგბას ორეული გამოჩნდა

**დინამო–ვიტ ჯორჯია 0:0**

26.06. თბილისი. დილმის საწვრთნელი ბაზა

დინამო: **ზარქუა – სეთურიძე, კვეკვესკირი, რეხვიაშვილი, გლიშიჩი – კოტო, ხმალაძე, ალვარო, თარხნიშვილი – მერებაშვილი, ეუდისი.**

*მეორე ტაიმში: სეფიაშვილი – ტვილდიანი, გველესიანი, პაპავა, კიზიტო – ლექვთაძე (ჩაფიძე), პარუნაშვილი, ძარია, ჯილაური – ჩისკო, იაგუე.*

ვიტ ჯორჯია: ნ. დაუშვილი – ხურცილავა, გეთიაშვილი, გოგიაშვილი, ლანიაშვილი – კასრაძე, გურეშიძე – კორიფაძე, ჯანელიძე, ვასაძე – ჩიმაკაძე.

*მეორე ტაიმში: რექია – ახვლედიანი, გეთიაშვილი, ტეტუნაშვილი, ჯავაშვილი – ვასაძე, დავლაშელიძე – ზაქრაძე, ჯანელიძე (ჯაყელი), ჯულელი (ვაშაკიძე) – ლობჯანიძე.*

არბიტრი: **ჯ. ხორავა**

გუშინ "დინამოს" დილმის საწვრთნელ ბაზაზე ახალი მთავარი მწვრთნელის წარდგენის შემდეგ ტესტ-მატჩი გაიმართა. **დუშან უჰრინის** გუნდი "ვიტ ჯორჯიას" გაეჯიბრა. ეს სპარინგი ზაფხულის მოსამზადებელ პერიოდში ორივე გუნდისთვის პირველი იყო.

იქიდან გამომდინარე, რომ ფეხბურთელები შვებულებიდან ახალი დაბრუნებულები არიან და ოპტიმალურ კონდიციებამდე ბევრი უკლიათ, მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდად ხარისხიანი და სანახაობრივი ვერ გამოდგა. თუმცა, შეხვედრამ მაინც საკმაო ინტერესი გამოიწვია და "დინამოს" ბაზის ჭიშკარი ჟურნალისტებთან ერთად, გულშემატკივრისთვისაც გაიღო. თამაშს ორ ასეულამდე ქომაგი დაესწრო.

რაკი "დინამოდან" წამსვლელ-დამრჩენები ბოლომდე ჯერ არ გარკვეულან, ჯერ ადრეა იმაზე საუბარი, თუ რა სახეს მიიღებს საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი გუნდის შემადგენლობა მომავალი სეზონისთვის. გუშინ "დინამოს" რამდენიმე ფეხბურთელი აკლდა, მათ შორის **გიორგი ლორია**, რომლის გუნდში დარჩენაც გადაწყვეტილია. მას, უბრალოდ, დასვენების საშუალება მიეცა.

უჰრინი სამ პოტენციურ ახალწვეულსაც დააკვირდა – ბრაზილიელ ცენტრფორვარდ **ეუდისს**, და შესაბამისად მაკედონიელ და უგანდელ მარცხენა მცველებს, **დარკო გლიშიჩსა** და **კიზიტოს**. ეს უკანასკნელი გაჭრილი ვაშლივით ჰგავს **დიდიე დროგბას** – ბუნებრივია, გარეგნობით და არა საფეხბურთო მანერითა და ოსტატობით.

იქიდან გამომდინარე, რომ სინჯებზე მყოფ უცხოელებს თავის გამოსაჩენად მხოლოდ ერთი ტაიმი მიეცათ, მათი შეფასებისგან თავს შევიკავებთ. მათ "დინამოს" სამწვრთნელო შტაბი მომდევნო სპარინგებშიც დააკვირდება და გადაწყვეტილებასაც ამის შემდეგ მიიღებს. თუმცა აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ეუდისმა ორჯერ სახიფათოდ დაარტყა და ერთხელ ბურთი "ვიტ ჯორჯიას" კარის ხარიხასაც გაარტყა.

მატჩი "დინამოს" უპირატესობით წარიმართა, თუმცა ვეტერინარები ყველანაირად შეეცადნენ, მეტოქისთვის ტოლი არ დაედოთ და ნულოვან ფრეს ბრძოლით მიაღწიეს. ეუდისის გარდა, "ვიტ ჯორჯიას" კარის ძელს ბურთი **ჩისკომაც** გაარტყა.

ორივე გუნდის უახლოესი ტესტ-მატჩების გრაფიკს მალე შემოგთავაზებთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ჩემპიონთა ლიგა. მეტოქე

# გაჯიევს სიონზე შურისძიება ზესტაფონით სურს

## დოდო აბაშიძე და პირველი მერცხალი

**აზერბაიჯანულ პრესაში ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრით გამოწვეული აჟიოტაჟი არ ცხრება – სამეზობლოში კვლავ მიიჩნევენ, რომ ბაქოს "ნეფთჩის" გაუმართლა და "ზესტაფონთან" დაპირისპირებაში ფავორიტი სწორედ მათი კლუბია. ასე ფიქრობს უკლებლივ ყველა აზერბაიჯანელი სპეციალისტი და მათ შორის "ნეფთჩის" მთავარი მწვრთნელი ბუიუქალა გაჯიევი.**

შეგახსენებთ, 2006 წელს ჩემპიონთა ლიგაში მის მიერ გაწვრთნილი "ბაქი" ბოლნისის "სიონთან" დამარცხდა. ვერ გეტყვით, იმის გარდა, რომ ორივე ქართული კლუბია, რა აკავშირებს იმდროინდელ "სიონს" დღევანდელ "ზესტაფონთან", მაგრამ გაჯიევი აცხადებს, რომ თუ "ზესტაფონი" დაამარცხა, ეს "სიონზე" შურისძიება იქნება.

*„ყველა ჩვენი სავარაუდო მეტოქე ძლიერი კლუბი იყო, "ზესტაფონი" კი მათ შორის ყველაზე სუსტია. შევეცდებით, აზერბაიჯანი ღირსეულად წარმოვაჩინოთ და საქართველოს ჩემპიონს ვაჯობოთ. ფაქტია, რომ "ზესტაფონი" არც ზაგრების "დინამოა" და არც – ბელგრადის "პარტიზანი". ახლა რევანშის დროა. "სიონთან" განცდილი მარცხის გამო შური "ზესტაფონზე" უნდა ვიძიო",* - აცხადებს გაჯიევი.



ბუიუქალა გაჯიევი

წილისყრის თაობაზე კომენტარი გააკეთა "ნეფთჩის" სერბმა მეკარე **საშა სტამენკოვიჩმაც,** რომელიც საქართველოს ჩემპიონზე უფრო პატივისცემით საუბრობს: *"წილისყრის შედეგები ჩვენთვის ხელსაყრელია. "ზესტაფონი" არცთუ უძლიერესი მეტოქეა, მაგრამ მისი დამარცხება იოლი ნამდვილად არ იქნება. მეტოქეს პატივისცემით უნდა მოვეკიდოთ და გვახსოვდეს, რომ დაახლოებით თანაბარი დონის გუნდების დაპირისპირებაში გამოკვეთილი ფავორიტი არ არსებობს. ვიცით, რომ ამ ეტაპის გადალახვის შემთხვევაში წინ საინტერესო პერსპექტივები გადაგვეშლება და საამისოდ ყველაფერს ვიღონებთ".*

თავდაჭერილია ბაქოური კლუბის ვიცე-პრეზიდენტი **ტაჰირ სულეიმანოვიც:** *"ყოველგვარ ეიფორიაზე საუბარი ზედმეტია. მე სავარაუდო მეტოქეებს ძლიერებად და სუსტებად არ ვყოფდი, "ზესტაფონი" საქართველოს ჩემპიონია და პატივისცემას იმსახურებს. დღევანდელ ფეხბურთში ნებისმიერ მეტოქესთან გამარჯვება რთულია".*

"ნეფთჩის" მზადების შესახებ ინფორმაციებს სისტემატურად მოგაწვდით, ბოლოს კი ერთ სახალისო ამბავზე შევჩერდებით. "აზერისპორტმა" "ზესტაფონის" წარდგენისას დაწერა, რომ საქართველოს ჩემპიონის ქალაქს არა ზესტაფონი, არამედ ზესტაპონი ჰქვია, ხოლო მისი სტადიონი, აღნიშნული გამოცემის ვერსიით, ცნობილი ქართველი მსახიობის, დოდო აბაშიძის სახელობისა ყოფილა, რომელსაც კინოფილმ "პირველ მერცხალში" მეკარის (ესეც "აზერისპორტის" ცნობით) როლი უთამაშია...

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

# დავით სხირტლაძე: ჩემპიონებთან თამაში არ მინდოდა!

## დანიელებმა რევაზ ბარაბაძე გაიხსენეს: ეს ბიჭი ჩვენთან არ იყო?

**გორის "დილა" ევროპის ლიგის II საკვალიფიკაციო ეტაპზე დანიის 5-გზის ჩემპიონსა და 9-გზის თასის მფლობელ, "ორჰუსს" შეხვდება.**

**"ორჰუსი" დანიურ სუპერლიგას გასულ სეზონში დაუბრუნდა და ევროპალიგაზე თამაშის უფლება მე-5 ადგილზე გასვლით დაიმსახურა.**

"ორჰუსში" გასულ წელს ოთხი ქართველი თამაშობდა, მაგრამ 2011 წლის ბოლოს გუნდი **გიორგი დიასამიძემ** და **ლაშა შინდაგორიძემ** დატოვეს, ამჟამად კი გუნდში მხოლოდ ორნი დარჩნენ - საქართველოს ეროვნული ნაკრების კანდიდატი **დავით დევდარიანი** და ახალგაზრდული და 19-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელი **დავით სხირტლაძე.**

სხირტლაძეს შვედეთში დავუკავშირდით, სადაც "ორჰუსმა" გუშინ "გეტებორგთან" საკონტროლო მატჩი ჩაატარა.

**- კენჭისყრის შედეგზე რას იტყოდი?**

- ვიცოდი, რომ "დილა" ერთ-ერთი სავარაუდო მეტოქე იყო, მაგრამ რატომღაც არ მეგონა, თუ შევხვდებოდით. უფრო სწორად, ჩვენებთან თამაში არ მინდოდა. თანაც იქ 19-წლამდელების ყოფილი მწვრთნელი გია ცეცაძე მუშაობს. ერთადერთი ის მესიამოვნა, რომ საქართველოში ჩამოვალ.

**- ქართულ გუნდთან გაორებული გრძნობა გაქვს?**

- რა თქმა უნდა, ქართველი ვარ და საქართველოს ნაკრებში სულ იმაზე ვფიქრობ, რომ ხალხი გავახარო. საკლუბო თამაში სხვა რამ არის, ოდესმე შენიანის წინააღმდეგაც მოგიწევს გამოსვლა, მაგრამ მაინც ძალიან არასასიამოვნოა. სიმართლე გითხრათ, იმაზეც ვიფიქრე, მაყურებელი როგორ მიმიღებს.

**- იმედია, გაგიგებენ.**

- ქართველების მოწინააღმდეგე გუნდში ვარ, მაგრამ იმედია, გამიგებენ.

**- დანიელებმა "დილაზე" რა იციან?**



დავით სხირტლაძე (მარცხნივ)

- დანიელებმა კი არა, ბევრი რამ მეც არ ვიცოდი და კენჭისყრის შემდეგ ინტერნეტში მოვძებნე. ინფორმაციით გაოცებული დავრჩი. რამდენი ცნობილი მოთამაშე ჰყოლიათ? სალუქვაძე, შაშიაშვილი, კვირკველია, ხოჯავა, გურული, ვაწაძე... ნაკრების ამდენი მოთამაშე, მგონი, არც ერთ სხვა ქართულ კლუბში არ არის.

**- შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსებზე რას იტყოდი?**

- ძნელი სათქმელია. გარედან რომ შევხედოთ, დანიურ კლუბს ქართულთან ოდნავ მეტი უპირატესობა აქვს. მაგრამ ვიმეორებ, "დილას" ისეთი შემადგენლობა ჰყოლია, პროგნოზის გაკეთება ძალიან გამიჭირდება.

დანიური "ორჰუსის" ვებგვერდზე კომენტარი **დავით დევდარიანმაც** გააკეთა და ირიბად საქართველოს ტურისტების მოზიდვაშიც დაეხმარა: *"ეს იქნება ძალიან საინტერესო და დაძაბული დაპირისპირება. გორის "დილა" ძალიან კარგი გუნდია, საქართველოს თასის ფინალში გაიმარჯვა და ბევრი მაღალი დონის მოთამაშე ჰყავთ, რომლებიც რუსეთსა და უკრაინაში თამაშობდნენ. "დილა" აშკარად გაძლიერდა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ ამოცანის გადაჭრა შესაძლებელია. თუმცა საამისოდ განმეორებით მატჩზე თბილისში ჩვენი გულშემატკივრების სერიოზული მხარდაჭერა დაგვჭირდება. საქართველომდე შორი გზის გავლა მოუწევთ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს მათთვის სასიამოვნო მოგზაურობა იქნება".*

თავად კლუბის ვებგვერდი კი წერს, რომ გორელთა შემადგენლობას კარგად არ იცნობენ. მაგრამ გაიხსენეს, რომ "დილას" თავდამსხმელი **რევაზ ბარაბაძე** 2010 წლის სექტემბერში "ორჰუსში" ვარჯიშობდა, მაგრამ ორ კვირაში დაშავდა და საქართველოში დაბრუნება მოუხდა.

**მერაბ მამულაშვილი**

საკონტროლო მატჩის შემდეგ


ეროვნული ბიბლიოთეკა

შახტარი-ტორპედო 2:1

# დონეცკელთა კომპლიმენტი

ქუთაისის "ტორპედოსთან" საკონტროლო მატჩის მოგების შემდეგ "შახტარის" პრესსამსახურმა დონეცკელთა მოთამაშეების კომენტარები გაავრცელა.

**ნიკიტა შევჩენკო,** "შახტარის" მეკარე: *"მოწინააღმდეგე ძალიან მომეწონა – დღეს ტექნიკური და სწრაფი გუნდი დაგვიპირისპირდა. გოლი ჩემს სინდისზეა: მეტოქის ფეხბურთელმა საჯარიმო უნაკლოდ შეასრულა, მაგრამ დარტყმის მოგერიება მაინც შემეძლო".*

**ივან ორდეცი,** "შახტარის" მცველი: *"ძალიან კარგი თამაში გამოვიდა. მეტოქე პასებით კარგად თამაშობდა, ბურთს კარგად ფლობდა და შეცდომებს იშვიათად უშვებდა. თავდამსხმელები კი, კარგი გაგებით, გაბოროტებულები გვეთამაშნენ – სხარტი, ჯანიანი ბიჭები არიან და სწრაფადაც მოძრაობდნენ. მოგება გაგვიჭირდა და ამიტომაც, უფრო გამიხარდა".*

**მერაბ მამულაშვილი**

სამზადისი



ფოტო: www.fcdila.ge

# ითამაშებს ონიანი ევროლიგაზე?

## დილა გრიგალაშვილს უარყოფს

ავსტრიულ შეკრებაზე მყოფი გორის "დილა" ბოსნიურ "სარაევოს" დაუპირისპირდა და 1:3 დამარცხდა. მაგრამ წაგებას ვინ ჩივის, **გიორგი ონიანს** "სარაევოს" ფეხბურთელმა **ემირ ობუცამ** იდაყვი ისე ძლიერად ჩასცხო, გორელთა ცენტრალურ მცველს ცხვირი გაუტყდა და სტადიონიდან პირდაპირ საავადმყოფოში გააქანეს.

"დილას" პრესატაშე **მიხეილ ჯორბენაძის** თქმით, ონიანის მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა: *"მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ ცხვირი აქვს გატეხილი და მძიმე მდგომარეობაა. 25 ივნისს ვენაში გამოკვლევებზე იყო და ექიმის თქმით, ცხვირის ოპერაცია დასჭირდება. მაგრამ ავსტრიაში არ გაიკეთა: "დილა" საქართველოში 28 ივნისს მოფრინავს, ოპერაციის შემთხვევაში კი გიორგის მინიმუმ ერთი კვირა საავადმყოფოში დარჩენა მოუწევდა. ამიტომ, ორი დღის მოთმენა ამჯობინა და ოპერაციას საქართველოში დაბრუნების შემდეგ გაუკეთებენ. ჯერ ნაადრევია იმაზე ლაპარაკი, დანიურ "ორჰუსთან" ითამაშებს თუ არა, მაგრამ ამის ალბათობა არსებობს. არადა, გიორგი გამოცდილი მცველია და მისი დახმარება ძალიან გვჭირდებოდა".*

ამავე დროს, გავრცელდა ხმები, თითქოს გორის "დილაში" გააგრძელებს კარიერას "ზესტაფონისა" და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი **შოთა გრიგალაშვილი.** მაგრამ ჯორბენაძის თქმით, ამ ტრანსფერზე "დილაში" ლაპარაკი არ ყოფილა.

■ ■ ■

ავსტრიულ შეკრებაზე გორის "დილამ" მესამე შეხვედრაში პირველად გაიმარჯვა. პალაუს სტადიონზე გორელებმა ავსტრიის პირველი ლიგის "ჰარტბერგი" 3:1 დაამარცხეს.

"დილადან" თავი გამოიჩინეს **მათე ვაწაძემ** (2 გოლი) და **გიორგი კახელიშვილმა.**

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# ურიდიამ დონეცკელებს გაუტანა

ყაზანის "რუბინი" სეზონისთვის ავსტრიაში ემზადება. გუნდთან ერთად შეკრებაზე ყაზანელთა ძირითად შემადგენლობასთან ერთად ორი ქართველი ფეხბურთელი ემზადება – საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ცენტრალური მცველი **საბა კვირკველია** და თავდამსხმელი **მერაბ ურიდია.**

აღსანიშნავია, რომ დონეცკის "შახტართან" საკონტროლო შეხვედრაში (ყაზანელებმა 3:2 მოიგეს) ორივე მონაწილეობდა: ურიდია მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა, მე-80 წუთზე კი **ბიბრას ნატხომ** შეცვალა. შეხვედრა ძირითადში დაიწყო კვირკველიამ, რომელიც 30-ე წუთზე **სესარ ნავასმა** შეცვალა, მაგრამ 57-ე წუთზე მოედანზე კვლავ დაბრუნდა.

67-ე წუთზე უკრაინელთა კარი ქართველმა თავდამსხმელმა აილო: ურიდიამ დონეცკელებს მეორე გოლი გაუტანა და თავისიანები 2:1 დააწინაურა.

**მერაბ მამულაშვილი**

## ქართული ფეხბურთი

● ლეგიონერი


ბუბა დაუშვილი

# დაუშვილმა უკრაინელებს სირბილში აჯობა

ლვოვის "კარპატის" პრესსამსახური კლუბის ქართველ ლეგიონერს, **მურთაზ დაუშვილს** მოსამზადებელ ეტაპზე ელაპარაკა. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ დაუშვილმა შეკრების დაწყებისას სამ კილომეტრზე სირბილში ტესტირებაზე საუკეთესო შედეგი აჩვენა.

*"ამის მიუხედავად, მაინც ვერ ვიტყვი, რომ გუნდში ყველაზე სწრაფი ვარ. დღეს მე გავიმარჯვე, ხვალ ვილაცა მაჯობებს. თანაც ეს ფეხბურთში ყველაზე მთავარი არც არის, ჩვენ ხომ სირბილისთვის არ ვემზადებით. სისწრაფე აუცილებელია, თუმცა, გამძლეობის გარეშე კარგი ფიზიკური მომზადება და სისწრაფეც არაფრად ღირს.*

*... არის ისეთი ვარჯიშები, რომლებიც არ მიყვარს, მაგალითად, სირბილი, ბარიერები, ნებისმიერი სხვა სახის დატვირთვები. მაგრამ როგორც პროფესიონალი, ვალდებული ვარ, მწვრთნელის ყველა დავალება შევასრულო. თუ გინდა წარმატებული სეზონი გქონდეს, მოსამზადებელ ეტაპზე თავდაუზოგავად უნდა იშრომო. მე ყველა მატჩში გამარჯვება მინდა. ამიტომ, კარგად უნდა ვივარჯიშო.*

*... როდესაც "კარპატიში" გადმოვედი, ჟურნალისტები თარჯიმნის დახმარებით მელაპარაკებოდნენ. მაშინ არც უკრაინული ვიცოდი, არც რუსული და ინგლისური. ახლა ბევრად უკეთ ვლაპარაკობ. შესაძლოა, ყველაფერს ვერ ვამბობ, მაგრამ კარგად მესმის, რაზე ლაპარაკობენ მწვრთნელები და თანაგუნდელები"* – ამბობს დაუშვილი.

**მერაბ მამულაშვილი**

● კარიერის დასასრული

# მოლდოვური მედია: თარხნიშვილის მასშტაბის არავინ გვყოლია

ფეხბურთი ისეთი თამაშია, თითქმის შეუძლებელია, მოთამაშემ მხოლოდ ერთი კლუბის ფორმა მოირგოს. **ჯანლუიჯი ბუფონის, პაოლო მალდინისა და ალესანდრო დელ პიეროს** მსგავსი ერთგული ტიპები ამიტომაც ფასობენ – ისინი სხვაგან არაფრის დიდებით არ გადადიოდნენ.

**ვაჟა თარხნიშვილის** მაგალითი მართლაც უნიკალურია – დუშეთის "არაგვის", გორის "ქართლის", "დილასა" და თბილისის "დინამოს" შემდეგ, გორელი ფეხბურთელი მოლდოვაში "ზესტაფონის" ამჟამინდელმა პრეზიდენტმა **ილია კოკაიამ** წაიყვანა და მას შემდეგ 13 წელი (?!) მოლდოვის სეპარატისტული რეგიონის კლუბის „შერიფის" ღირსებას იცავდა.

11-გზის მოლდოვის ჩემპიონი, 7-ჯერ თასის, 4-ჯერ კი სუპერთასის მფლობელი თარხნიშვილი 2002, 2006, 2007, 2009 წლებში ჩემპიონატის საუკეთესო მცველად დაასახელეს. ორჯერ ითამაშა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, ორჯერ გახდა "თანამეგობრობის თასის" გამარჯვებული.

2003 წელს ტირასპოლელებმა "თანამეგობრობის თასი" მოიპოვეს. ამის აღსანიშნავად დნესტრისპირეთში საზეიმო მონეტა დაამზადეს, რომელზეც "შერიფის" უცვლელი კაპიტნის გამოსახულება ალბეჭდეს. 2012 წლის იანვარში უეფას ვებგვერდმაც დააფასა და ევროპის ყველაზე ცნობილ ასაკოვან მოთამაშეთა შორის დაასახელა.

თარხნიშვილის გამოსამშვიდობებელი მატჩისთვის "შერიფის" ხელმძღვანელობამ ავტობუსები დაიქირავა, ახლომდებარე დასახლებებიდან გულშემატკივრებს მატჩზე უფასოდ დასწრების საშუალება რომ ჰქონოდათ. ამიერიდან კი "შერიფში" ვაჟას 5-ნომრიანი მაისურით ვერავინ ითამაშებს.

*"ცხადია, მალდინისა და დელ პიეროს დონის მოთამაშე არ იყო, მაგრამ ტირასპოლისთვის იყო ყველაფერი. მსგავსი*


ვაჟა თარხნიშვილი

*მასშტაბის პიროვნება არც გვყოლია და მომავალშიც არ ჩანს. ის "შერიფში" ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში გამოჩნდა. გადიოდა წლები, მაგრამ მასთან ერთად, როგორც ქართული ღვინო, უფრო და უფრო უკეთესი ხდებოდა"* – ამბობს "მოლდფუტბოლის" ჟურნალისტი.

ვაჟამ საქართველოს ნაკრებში 1998-99 წლებში მხოლოდ ორჯერ ითამაშა – **ვლადიმერ გუცაევმა** უკრაინისა და ესტონეთის ნაკრებებთან მიიწვია და შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა. პოზიციური თამაში ისედაც არ ეშლებოდა და ტანდაბლობის მიუხედავად (175 სმ არის), თავითაც მშვენივრად ირჯებოდა.

სიმაღლის გამო მაინც დაიწუნეს - "ატლანტიდების" ფეხბურთის მიმდევრობამ თარხნიშვილის სანაკრებო კარიერას წერტილი დაუსვა. მერე ნაკრებში მის მიწვევაზე ფიქრობდნენ, მაგრამ მორიგი პრობლემა ასაკი გახდა. არადა, 41 წლამდე ითამაშა.

თუმცა, პრობლემა სულ სხვა რამ იყო და არის – ჩვენს მოთამაშეებს თავად არ ვაფასებთ. ერთხელ არავის გასჩენია აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე სოლიდური კლუბის კაპიტნისა და ლიდერის საქართველოში ჩამოყვანის სურვილი. არადა, ტირასპოლში სულაც არ ილებდა მილიონებს.

მოლდოვური მედია და გულშემატკივრები უკმაყოფილონი არიან, თარხნიშვილი "ტირასპოლის" დონის გუნდთან კი არა, ევროპელი ვარსკვლავების, ან მისი მეგობრების ნაკრებთან მატჩით უნდა გაგვეცილებინაო.

მაგრამ თარხნიშვილს "შერიფთან' სასაყვედურო არაფერი აქვს – სამშობლოსგან განსხვავებით, ტირასპოლში მაინც დააფასეს და კარიერის დასრულების შემდეგ კლუბის სტრუქტურაში დაასაქმეს.

**მერაბ მამულაშვილი**

● სამინისტროს თასი

# რუსთავი საუკეთესოა!


სამინისტროს თასი რუსთავის გუნდმა მოიგო

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისა და ფეხბურთის ფედერაციის ორგანიზებით ჩატარებული მინი-ფეხბურთის ტურნირი მართლაც მასშტაბური გამოდგა: „სამინისტროს თასზე" საქართველოს 1500-მდე სამოყვარულო გუნდი მონაწილეობდა!

საუკეთესოები ჯერ რაიონულ და საქალაქო, შემდეგ კი რეგიონულ დონეზე გამოვლინდნენ, ფინალურ ეტაპზე კი 14 უძლიერესი გუნდი გავიდა.

ფინალურ ტურნირს ანაკლიამ უმასპინძლა და ჯერ მეოთხედფინალისტთა ვინაობა გაირკვა: ყვარელი - ლანჩხუთი 2:1, ქურთა - გლდანი 2:4, სამტრედია — ლაზიკა 3:4, აფხაზეთი - ვაკე 1:2, ამბროლაური - მცხეთა 2:1, ბორჯომი - ბათუმი 0:1. ამ წყვილებში გამარჯვებულებს გორისა და რუსთავის გუნდები დაემატნენ, რომლებიც მეოთხედფინალში კენჭისყრის შედეგად ავტომატურად გავიდნენ. მეოთხედფინალები საინტერესოდ წარიმართა: ყვარელი - გლდანი 1:6, რუსთავი - ბათუმი 4:2, გორი - ლაზიკა 3:3 (7:8, პენალტებში), ვაკე - ამბროლაური 3:3 (5:7, პენალტებში).

ტურნირის დასკვნით დღეს კი გადამწყვეტი შეხვედრები გაიმართა: ნახევარფინალში ლაზიკამ 4:2 დაამარცხა გლდანი, რუსთავმა 3:0 მოუგო ამბროლაურს. III ადგილისათვის მატჩში გლდანმა ამბროლაურს აჯობა (4:2) და ბრინჯაოს მედლებთან ერთად 2000 ლარიც ირგუნა. აი, ფინალური შეხვედრა კი მართლაც უშელავათო პაექრობაში წარიმართა: რუსთავისა და ლაზიკას მატჩის ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა (2:2); არანაკლებ დრამატული გამოდგა პენალტების სერიაც, სადაც, საბოლოოდ რუსთავმა იმძლავრა (9:8) და „სამინისტროს თასის" გამარჯვებულიც გახდა. ფინალში დამარცხებულ ლაზიკას ვერცხლის მედლებთან ერთად 3 000 ლარი ერგო, ხოლო „სამინისტროს თასის" ტრიუმფატორ რუსთავის გუნდს (მთავარი მწვრთნელი — **ვარლამ კილასონია**) მთავარი პრიზი, მედლები და 5 000 ლარი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ვლადიმერ ვარძელაშვილმა** გადასცა.

**გია გაგოშიძე**


შოთა არველაძე

ფრაგმენტები შოთა არველაძის ავტობიოგრაფიული წიგნიდან

# აიაქსი – ოცნების ახდენა

გაგრძელება. დასაწყისი:
**ლელო №110 (13716)**

ადრიანსემ გუნდში **ზლატან იბრაგიმოვიჩი, რაფაელ ვან დერ ვაარტი,** ეგვიპტელი **მიდო, ტომაშ გალაშეკი** და ბრაზილიელი **მაქსველი** მოიყვანა. მათი უმეტესობა ახლა მსოფლიო ვარსკვლავია... ამავე დროს, ახალი წესებიც შემოილო, მაგალითად, - ჭამის დროს გაზეთების კითხვა აიკრძალა. კიდევ კარგი, ტუალეტში ყოფნის დროს არ აკრძალა კითხვა, თორემ მართლა მთელ გუნდს გადაიკიდებდა. ვინც თამაშის წინ არ ივარჯიშებდა, მეორე დღეს არ ათამაშებდა. ჩემი აზრით, სწორედ ამან შეუშალა ხელი წარმატების მიღწევაში.

მწვრთნელთა საბჭოში იყო **ჯონ შხიპი**, რომელიც წარსულში ცნობილი ფეხბურთელი გახლდათ. მის გარდა — კოს, **პიტერ ბუფეც** ეხმარებოდა, ბუფე და კო ყოველთვის ერთ აზრზე იყვნენ და ყველაფერზე ერთნაირი შეხედულება ჰქონდათ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ბუფეს კოსგან განსხვავებული აზრი არასდროს მოგვისმენია... ხოლო ჯონ შხიპი ყოველთვის აფიქსირებდა საკუთარ აზრს, თუნდაც ის რადიკალურად განსხვავებული ყოფილიყო მთავარი მწვრთნელის პოზიციისაგან. ესეც, ალბათ, აიაქსური ფილოსოფიაა, — მწვრთნელთა საბჭოში განსხვავებული აზრის მქონე მწვრთნელის ყოლა, რადგან ორი განსხვავებული აზრი ჭეშმარიტებას ადვილად პოულობს და პრობლემების გადაჭრის დროსაც, ალბათ უფრო ეფექტურია. გადამწყვეტი სიტყვა, რალა თქმა უნდა, ადრიანსეს ეკუთვნოდა და მან თავდასხმაში მე და მახლასი დაგვაყენა, მე ცოტა უკნიდან, რასაც „აიაქსში" 10 ნომერს ეძახიან, ხოლო მახლასი 9-ზე. ამან თავისი შედეგი გამოიღო, — ორივემ ერთად, იმ სეზონში 38 გოლი გავიტანეთ, აქედან 20 ჩემს ანგარიშზეა. „არენაზე" როტერდამის „სპარტა" გავანადგურეთ, — ანგარიშით 9:0!.. ფეხბურთისთვის ეს უჩვეულო შედეგია, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ იმ დღეს ყველას ყველაფერი გამოგვდიოდა... მე „პოკერი" შევასრულე და **მარკო ვან ბასტენის** რეკორდამდე მხოლოდ ერთი ბურთი დამაკლდა. მთელი სტადიონი ფეხზე იდგა და ჩვენგან მეათე გოლის გატანას ელოდა, ჩემგან კი — მეხუთეს.

სტაბილური თამაშის მიუხედავად, ჰოლანდიის თასს და უეფას პირველივე ტურებში გამოვეთიშეთ. მთელი ჩვენი ყურადღება ჩემპიონატში სამეულში მოხვედრას შევალიეთ. „აიაქსისთვის" მთავარი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება გახლდათ. კოს **აარონ ვინტერთან** და **რიჩარდ ვიჩგესთან** გაუფუჭდა ურთიერთობა, ფაქტობრივად, არც ერთს არ ათამაშებდა. მან სრული ნდობა გამოუცხადა 17 წლის **რაფაელ ვან დერ ვაარტს**, რომელიც, მინდა ვთქვა, რომ, მიუხედავად მისი ასაკისა, არავის ჩამოუვარდებოდა. **კო** თავის კანონებს არ უხვევდა და ერთხელ მეც მომივიდა მასთან უსიამოვნება. მისი წესის თანახმად, ყოველი თამაშის შემდეგ, უკლებლივ ყველა ფეხბურთელი პრესოთახში უნდა შესულიყო და ჟურნალისტების შეკითხვებზე გაეცა პასუხი. ოთახი მესამე სართულზე იყო და თამაშის შემდეგ ასვლა დამეზარა, ისევ და ისევ მტკივანი ფეხის გამო. მეორე დღეს ეს ამბავი კომ გაიგო და მაიძულა, ჩვენი გასახდელიდან პრესოთახამდე, მესამე სართულზე ათჯერ ავსულიყავი, რათა ეს გზა არასოდეს დამვიწყებოდა. ბიჭები ისხდნენ და ჩემს საცოდაობას სიცილით აკვირდებოდნენ. კოს კი ეგონა, რომ ყველაფერში მართალი იყო და მასთან კამათი ყველას უჭირდა.

ერთხელ, ვარჯიშის წინ, იკითხა, ვინ არის დაღლილიო. მე, რიჩარდ ვიჩგემ, აარონ ვინტერმა, **ნიკოს მახლასმა** და ყველასთვის გასაკვირად, **ტომაშ გალაშეკმა** ავწიეთ ხელი, რასაც მისი მდგომარეობიდან გამოსვლა მოჰყვა... ჩხუბი დაგვიწყო, რომ პროფესიონალი ფეხბურთელი არ შეიძლება დაიღალოს, მით უმეტეს, თუ ეს საქმე გიყვართ და თან ამხელა გასამრჯელოს იღებთო. ჩემთვის საქმისადმი ასეთი მიდგომა გაუგებარი და სრულიად მიუღებელია. ვთხოვე, შეკითხვა გაემეორებინა. ბიჭები გაისუსნენ, გაკვირვებულმა კომ ერთხელ კიდევ გაიმეორა... მე ხელი კიდევ ერთხელ ავწიე და ვუთხარი, რომ დაღლილი იმას არ ნიშნავს, რომ ვარჯიში არ შემიძლია, უბრალოდ, მის კითხვას გულახდილად გავეცი პასუხი. რომ ეკითხა, შეგიძლიათ თუ არა ვარჯიშიო, რა თქმა უნდა პასუხი დადებითი იქნებოდა, რადგან ყველას უკვე ბუცები გვეცვა და ვარჯიშზე გასასვლელად



მზად ვიყავით. მინდოდა, სწორად გაეგო ჩვენი განწყობა და არა ისე, როგორც თვითონ წარმოედგინა. ამის შემდეგ კოს ვკითხე, — რამდენი ხნის დაქორწინებული ხარ-მეთქი? ჩემი კითხვით გაოცებულმა, მიპასუხა — დიდი ხანიაო... ყველა ჩუმად იჯდა და ჩვენს დიალოგს გაკვირვებული უგდებდა ყურს. სექსი ყოველდღე გაქვთ-მეთქი? ამ კითხვაზე პასუხი არ გამცა... ვიფიქრე, ოთახიდან გამაგდებს-მეთქი, მაგრამ უკან არ დავიხიე. ვუთხარი — ადამიანს ცოლი რომ მოჰყავს, ალბათ ძალიან უყვარს და ამიტომ მთელ ცხოვრებას მას უკავშირებს, მაგრამ ყოველდღე ხომ არა აქვთ სექსი, ხომ არსებობს დღეები, როცა არავინ არ გინდა და არც არაფერი გსიამოვნებს... თუ არსებობს ვინმე ისეთი, ვისაც არც ერთი დღე არ ჩაუგდია, — იქნებ მანახვოთ და ჩემს პატივისცემას პირადად დავუდასტურებ-მეთქი... ფეხბურთი ნამდვილად მიყვარს, ვგიჟდები, ამიტომაც მთელი ცხოვრება მას მივუძღვენი, მაგრამ ნამდვილად არსებობს დღეები, როცა ძალიან დაღლილი ვარ და მისგან დასვენება მსურს-მეთქი...

გაგრძელება იქნება

# ევრო 2012

მსაჯების შეცდომები

# ტოპ 10 გოლიდან დევიჩამდე

**ინგლისელთა კარში უკრაინელთა გოლის ჩაუთვლელობა, ეს დიდი ტურნირებზე მხოლოდ ერთია არბიტრების შეცდომათა გრძელი სიიდან, ლაპარაკი აღარ არის რიგით მატჩებზე. უსამართლოდ გაუქმებული და უსამართლოდ ჩათვლილი გოლები, გატანილი ხელით, თამაშგარედან, უცხო საგნების დახმარებით. დაბოლოს, ზედმეტი ყვითელი ბარათები, მსაჯების მიერ მოგონილი ჯარიმები. ერთი სიტყვით, თქვენ წინაშე ყველაზე ცნობილი სამსაჯო შეცდომებია ფეხბურთის ისტორიიდან. Sports.pl-ს მასალას მცირე შემოკლებით გთავაზობთ.**



ტერის კარის სიღრმიდან ბურთი გამოაქვს, მსაჯი აშკარა შეცდომას უშვებს

## 10. ინგლისი-უკრაინა. ევრო 2012

ვიწყებთ, რა თქმა უნდა, ცინცხალი სკანდალიდან. D ჯგუფის გადამწყვეტი შეხვედრის 62-ე წუთზე, მაშინ, როცა ორივე გუნდი 1/4-ფინალში გასასვლელად იბრძოდა, ინგლისელებმა ანგარიში გახსნეს. უკრაინელთა კონტრშეტევის დროს, **მილევსკიმ** ბურთი თამაშგარე მდგომარეობაში მიიღო და **დევიჩს** გადასცა. მსაჯმა თამაში არ გააჩერა. შედეგად დევიჩმა დაარტყა, ბურთი კარიდან **ჯონ ტერიმ** გამოიტანა, მაგრამ შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა, რომ ეს ხაზს შიგნიდან გააკეთა. არბიტრმა გოლი არ ჩათვალა. 1:0, ანგარიში, რომელიც ინგლისს აწყობდა, მატჩის ბოლომდე შენარჩუნდა. ჯგუფიდან გასასვლელად უკრაინელებს ფრეც არ ჰყოფნიდათ, მაგრამ ამას მნიშვნელობა უკვე აღარ აქვს. მსაჯის შეცდომა აშკარაა და თანაც ორმაგი.

## 9. გერმანია-ინგლისი. 2010. მუნდიალი

უკრაინელთა გოლის არჩათვლის შემდეგ გაახსენდათ, რომ ორი წლის წინ სწორედ ასეთ სიტუაციაში დაზარალდა თავად ინგლისიც. დაიწყო ლაპარაკი "ისტორიული სამართლიანობის" აღდგენაზე. ამ შეხვედრაში გერმანელებმა ინგლისელები 4:1 გაანადგურეს, თუმცა არავინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, მსაჯს 2:1-ზე **ფრენკ ლემპარდის** გოლი რომ ჩაეთვალა.

## 8. ინგლისი-გერმანია. 1966. მუნდიალი

საფუძველი, რომ "სამართლიანობის აღდგენაზე" გველაპარაკა, ლემპარდის შემთხვევაშიც გვქონდა. 1966 წელს ინგლისი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა იმ გოლის წყალობით, რომელიც დიდი ალბათობით არც იყო. ფინალური მატჩის შემდეგ ტაბლოზე 2:2 ენთო. გუნდებს შეხვედრის ბედი ოვერტაიმში უნდა გადაეწყვიტათ. 101-ე წუთზე, **ჯეფრი ჰერსტის** ყუმბარისებური დარტყმა ხარიხას მოხვდა, დაეცა ხაზს და მოედანზე გადმოვარდა. მთავარმა არბიტრმა **ტოფიკ ბახრამოვთან** კონსულტაციის შემდეგ გოლი ჩათვალა. გერმანელები ამ გადაწყვეტილებას ხმამაღლა აპროტესტებდნენ, მაგრამ უშედეგოდ. 120-ე წუთზე ჰერსტმა კიდევ ერთხელ გაიტანა და გუნდს ჯერჯერობით პირველი და უკანასკნელი ტიტული მოუტანა ისტორიაში.

## 7. ღმერთის ხელი...

ინგლისელები კიდევ არაერთხელ გაიხსენებენ 1986 წლის ყველაზე სახელგანთქმულ გოლს. მსოფლიოს ჩემპიონობიდან 20 წლის თავზე, ფოლკლენდის კუნძულების ომის დამთავრებიდან 4 წელიწადში, ინგლისი 1/4-ფინალში არგენტინას დაეჯახა. მარადონას მეორე გოლი ნამდვილად შევიდა ფეხბურთის ისტორიაში – მან სოლო გარღვევა მოაწყო, გზაზე ყველა მოატყუა, ვინც შეხვდა და გაიტანა. თუმცა არანაკლებ დასამახსოვრებელი იყო მისი პირველი გოლი. ის, რომ ეს ბურთი ხელით გავიდა, სტადიონზე ყველამ დაინახა ტუნისელი არბიტრის **ალი ბინ ნასერის** გარდა. სწორედ ასე გაჩნდა "ღმერთის ხელი". არგენტინელები დღესაც სიამაყით იხსენებენ, თუ როგორ დაამარცხეს ინგლისელები.

## 6. ...ანრის ხელი...

არგენტინელებმა შეძლეს და ხელით გატანილი გოლით ლეგენდა შექმნეს. სამხრეთ აფრიკაში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე გასასვლელად **ტიერი ანრიმ** მარადონას "მიღწევა" გაიმეორა, მაგრამ მას ამის შემდეგ მხოლოდ მტრები და კრიტიკოსები მოუმრავლდნენ. საფრანგეთის ნაკრებმა კი სერიოზული მხარდაჭერა დაკარგა გულშემატკივართა შორის. ირლანდიასთან დამატებით დროში, ანრი **ვილიამ გალასის** ჩაწოდებას ვერ უსწრებდა, მაგრამ საქმე გაიიოლა და ბურთი ხელით შეიგდო. ეპიზოდი ყველამ დაინახა არბიტრ **მარტინ ჰანსონის** გარდა. გოლი ჩაითვალა. ფრანგები მსოფლიოს ჩემპიონატზე გაემგზავრნენ.

## 5. ...და ფურტოკის ხელი

თავის გამოჩენა პოლონელებმაც მოახერხეს. რა თქმა უნდა, **ფურტოკის** გოლი ისეთი განთქმული არ არის, როგორც მარადონასი და თავის დროზე არც ისეთი განხილვადი თემა ყოფილა, როგორც ანრის ხელი, მაგრამ ის ისტორიაში მაინც შევიდა. საამაყო აქ, პრინციპში, არც არაფერია, რადგან გოლი სან მარინოსთან სამარცხვინო მატჩში გავიდა.

## 4. ბურთის მიმწოდებლის დახმარებით

სამსაჯო შეცდომებს შორის უნიკალური და ფანტასტიკური კურიოზებიც ხდება. დიახ, "სანტაკრუზენშესა" და "ატლეტიკო სოროკაბას" მატჩში (ბრაზილია) ანგარიში 1:0 იყო, როცა მსაჯმა ბურთების მიმწოდებლის პასით გატანილი ბურთი ჩათვალა.

## 3. საჰაერო ბურთის დახმარებით

ბრაზილიელ არბიტრს შეუძლია თავი დაიმშვიდოს იმით, რომ მსგავსი კურიოზები ინგლისის პრემიერლიგაშიც ხდება. 2009 წელს "სანდერლენდი"-"ლივერპულის" შეხვედრაში მასპინძლებმა გადამწყვეტი გოლი საჰაერო ბურთის დახმარებით გაიტანეს. **მაიკ ჯონსმა** გოლი ჩათვალა მიუხედავად მერსისაიდელთა მხრიდან დიდი პროტესტისა.

## 2. გრემ პოლის სამი ყვითელი

არბიტრები შეიძლება შეცდნენ არა მხოლოდ საკამათო გოლის მომენტში. ზოგიერთს მათემატიკასთანაც პრობლემა აქვს. 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ავსტრალიასთან შეხვედრაში **გრემ პოლმა იოსიპ შიმუნიჩს** სამი ყვითელი ბარათი უჩვენა იქამდე, სანამ გააძევებდა. მას არც სხვა ეპიზოდებში მორიდებია ყვითელი ბარათების გამოყენება. თამაშის შემდეგ კი რატომღაც სამატჩო ოქმის ჩაბარება ძალიან დააგვიანა. ის ფინალური შეხვედრის განსჯის ერთ-ერთ კანდიდატად განიხილებოდა, მაგრამ ამ შეცდომის შემდეგ... ძალიან მალე მან კარიერა დაასრულა.

## 1. 2002 წლის მუნდიალი

იაპონიასა და სამხრეთ კორეაში ჩატარებული მუნდიალი ისტორიაში შევიდა, როგორც სამსაჯო შეცდომების ტურნირი. ყველაზე კოშმარული გამოდგა 1/8-ფინალური მატჩი იტალიასა და სამხრეთ კორეას შორის. მსაჯმა იტალიელებს სუფთა გოლი არ ჩაუთვალა, **ფრანჩესკო ტოტი** კი იმიტომ გააძევა, რომ მეტოქეს საჯარიმოში შეეჯახა. სპეციალისტები შემდეგ კითხულობდნენ, ნუთუ მსაჯის მოქმედებებში წინასწარი განზრახვა არ იყოო. ამ მატჩის ეკვადორელი მსაჯი **ბაირონ მორენო** რამდენიმე წლის შემდეგ ნიუ იორკში დაიჭირეს 6 კგ ნარკოტიკის შენახვა-გადაზიდვისთვის. იმავე ჩემპიონატზე არბიტრმა **ჰანდურმა** კორეა-ესპანეთის შეხვედრაში ევროპელებს ორი სუფთა გოლი არ ჩაუთვალა, რამაც მასპინძლებს 1/2-ფინალში გასვლის საშუალება მისცა.

საფრანგეთის ნაკრები

# ნასრის ორწლიანი დისკვალიფიკაცია ელის

"ეკიპის" ცნობით, საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ **სამირ ნასრის** ესპანეთთან წაგებული (0:2) 1/4-ფინალური მატჩის შემდეგ ჟურნალისტის სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო, შესაძლოა, 2-წლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. "ლელო" უკვე წერდა, რომ მისქსტზონაში ფრანგმა რეპორტიორმა ფეხბურთელს მატჩთან დაკავშირებით ორიოდე სიტყვის თქმა სთხოვა, რასაც ლამის შეხლა-შემოხლა მოჰყვა. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ სამირმა მასმედიელს ჯერ პირადად აგინა, შემდეგ კი ოჯახის წევრები "მოუკითხა" უხეშად. ამას ფედერაციის პრეზიდენტმა **ნოელ ლე გრემ** მიუღებელი საქციელი უწოდა. უშუალოდ ფედერაციამ კი ფეხბურთელის მიმართ დისციპლინური საქმის წარმოება დაიწყო. საკითხის განხილვა როდის მოხდება, ეს ჯერჯერობით უცნობია. "ეკიპის" ვებგვერდზე ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, 56% ნასრის სამაგალითოდ დასჯას ემხრობა. სხდომაზე აუცილებლად განიხილავენ **იან მვილას, ატემ ბენ არფასა** და **ჟერემი მენეზის** საქმეებსაც, რომელთაც გუნდში არეულობის შეტანა ედებათ ბრალად.

## სიმართლის პირში მთქმელი

"ეკიპი" კომენტარისთვის ნასრის მეგობარ **ბაკარი სანიას** დაუკავშირდა, ვისი თქმითაც, ფეხბურთელსა და ჟურნალისტს შორის კონფლიქტის მიზეზი სამირის ფიცხი და გულწრფელი ხასიათია. აი, რა თქვა "არსენალის" ვარსკვლავმა, ვინც ევროპის ჩემპიონატი მძიმე ტრავმის გამო გამოტოვა: *"ჩემთვის ძნელია ნასრის საქციელზე შორიდან მსჯელობა, მაგრამ იმის თქმა კი შემიძლია, რომ ის არის ადამიანი, ვისაც ძალიან უყვარს პირში სიმართლის თქმა. ხანდახან ეს კარგია, მაგრამ ასე მოქცევა ყოველთვის არ შეიძლება. პრესის წარმომადგენლებს სჩვევიათ ფეხბურთელების პროვოცირება. ჩემთვის ეს ნაცნობი სიტუაციაა"*. სანიამ იქვე საფრანგეთის ნაკრების სამომავლო პერსპექტივებზეც ილაპარაკა: *"საფრანგეთს ახალგაზრდა და ამბიციური გუნდი ჰყავს. ძალიან ბევრი ფეხბურთელისთვის ეს პირველი დიდი ტურნირი იყო კარიერაში. შეგიძლიათ არანორმალური მინოდოთ, მაგრამ ამ გუნდს მინიმუმ ფინალამდე გაღწევა შეეძლო. ჩვენ ისეთივე ეფექტური ფეხბურთის ჩვენებას ვცდილობთ, როგორსაც 1998-2000 წლების საფრანგეთის ნაკრები ახერხებდა. ლორან ბლანს რაც შეეხება, შემიძლია ვთქვა, რომ მან უზარმაზარი სამუშაო ჩაატარა და შეუძლებელია, ეს არ დაინახო. ნაკრებს მეტი დროის გატარება სჭირდება ერთად, რათა გუნდის შიგნით კონფლიქტები თავიდან ავირიდოთ"*.



სამირ ნასრის სერიოზული უსიამოვნებები ელის

ევროს მიღმა ტრანსფერები

## ჩელსი შიურლეს გადასწვდა

"ჩელსიმ" ამ ზაფხულს **მარკო მარინისა** და **ედენ აზარის** ტრანსფერებში 38 მილიონი ფუნტი (47-48 მლნ ევრო) დახარჯა. ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულებს კიდევ რამდენიმე პოზიციაზე სურთ გაძლიერება. უკვე ვწერდით, რომ დედაქალაქელები "უიგანიდან" ნიგერიელი **ვიქტორ მოზესის** შეძენას გეგმავდნენ, მაგრამ საბოლოოდ გარიგება არ შედგა. გუნდის პრეზიდენტმა **დეივ უილანმა** ფეხბურთელის 4 მილიონ (5 მლნ ევრო) ფუნტად გაშვებაზე კატეგორიული უარი თქვა. ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელთან გამოთხოვება არც გუნდის მთავარი მწვრთნელის **რობერტო მარტინესის** გეგმებში შედიოდა. მოკლედ, მოზესი უკვე წარსულია. ლონდონელთა ბანაკში მასზე უკვე აღარავინ ფიქრობს. ინფორმაციას ადასტურებს ფეხბურთელის აგენტი **ტონი ფენიგანი**.

სამაგიეროდ, "ლურჯებმა" "ლევერკუზენიდან" გერმანიის ნაკრების ვინგერის, 21 წლის **ანდრეა შიურლეს** შეძენა მოისურვეს. ევროპის ჩემპიონატს "ჩელსის" სკაუტებიც ესწრებიან და ბუნებრივია, ფეხბურთელის თამაშს, თუკი მას ამის საშუალება კიდევ მიეცა, თვალს მიადევნებენ. ცოტა უცნაურია, მაგრამ ლონდონელებს ფეხბურთელში მხოლოდ 7 მილიონი ფუნტი (8,75 მლნ ევრო) ემეტებათ. მაშინ, როცა გერმანელი ჟურნალისტების ვარაუდით, შიურლე მინიმუმ 18-19 მილიონი ევრო ეღირება. ჩვენი ინგლისელი კოლეგები წერენ, რომ "ჩელსი" ანდრეათი ევროპის ჩემპიონატამდე დიდი ხნით იყო დაინტერესებული. **რობერტო დი მატეოს** მიაჩნია, რომ მაღალი, სწრაფი, მოძრავი და ტექნიკური განაპირა თავდამსხმელი მის გუნდს ტაქტიკის გამრავალფეროვნების საშუალებას მისცემს. დადის ხმები, რომ გერმანიის ნაკრების ფეხბურთელს "მილანიც" აკვირდება. დაბოლოს, გეტყვით, რომ შიურლეს "ლევერკუზენთან" ხელშეკრულება 2016 წლის ივლისამდე აკავშირებს.

## ჟირუ უკვე ოფიციალურად არსენალელია




ოლივიე ჟირუ

"არსენალში" **ოლივიე ჟირუს** ტრანსფერი გადაწყვეტილი რომ იყო, უკვე დავწერეთ. სიახლე ის არის, რომ საქმეს გუშინ ბოლო წერტილი დაესვა – "მონპელიეს" ლიდერმა სამედიცინო შემოწმება გაიარა და პირადი კონტრაქტის უკანასკნელი დეტალები შეათანხმა. ხელმოწერის ოფიციალური ცერემონიალი უახლოეს დღეებში გაიმართება. *"მოხარულები ვართ გაცნობოთ, რომ ჟირუ არსენალელია. ის ფიზიკურად ძალიან ძლიერია და თავით მშვენივრად თამაშობს. მან უკვე დაამტკიცა, რომ უმაღლეს დონეზე თამაში შეუძლია. მომდევნო სეზონში მას დიდ იმედებს ვუკავშირებთ,"* – განაცხადა **არსენ ვენგერმა**. *"მე "არსენალის" საფეხბურთო ფილოსოფია მხიბლავს. ეს გუნდი ყოველთვის მომწონდა და იმედი მაქვს, რომ მასთან ერთად დიდ წარმატებებს მივაღწევ,"* – დასძინა ფეხბურთელმა.

გვერდი მოამზადა

**ლევან ბიბილაშვილმა**

უცხოური ფეხბურთი

● პრემიერლიგა. ტრანსფერები

# ჯერჯერობით დიდი ხმაურის გარეშე

გთავაზობთ ინგლისური პრემიერლიგის ტრანსფერების ცხრილს, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ სატრანსფერო ფანჯარა უკვე ერთი თვეა, გახსნილია, ჯერჯერობით არცთუ ისე შთამბეჭდავად გამოიყურება. როგორც ჩანს, მთავარი მოვლენები ჯერჯერობით წინ გველის. ცოტა უცნაურია, რომ საქმეში ჯერ არ ჩართულა "მანჩესტერ სიტი", ვის გამოჩენასაც ბაზარზე, როგორც წესი, ძალიან დიდი ხმაური მოსდევს ხოლმე. მიუხედავად ყველაფრისა, კლუბებმა რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი გარიგება უკვე დადეს. პრემიერლიგას დიდი დანაკარგი აქვს - დიდიე დროგბა ჩინეთში წავიდა კარიერის გასაგრძელებლად, თუმცა აქვს საყურადღებო ნამატიც – "ჩელსიმ" ედენ აზარი გადაიბირა, "მანჩესტერ იუნაიტედმა" - შინჯი კაგავა. დაბოლოს, აუცილებლად მიაქციეთ ყურადღება, რომ კლუბები ჯერჯერობით თავისუფალ აგენტებზე აკეთებენ აქცენტს. გარიგებათა აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ამ კატეგორიის ფეხბურთელებთან არის დადებული.



ჩელსიში ედენ აზარის ტრანსფერი ჯერჯერობით ყველაზე ძვირად ღირებული და ყველაზე მნიშვნელოვანია

**მანჩესტერ სიტი**

**მოვიდნენ**: არავინ
**წავიდნენ**: არავინ

**მანჩესტერ იუნაიტედი**

**მოვიდნენ**: პაუელი (ქრიუ) – 5 მლნ, კაგავა (დორტმუნდი) – 15 მლნ
**წავიდნენ**: კუშჩაკი (ბრაიტონი) - თავისუფალი აგენტი, დე ლაე (ლესტერი) - თავისუფალი აგენტი, ჯეიმსი (ლესტერი) - თავისუფალი აგენტი, ოუენი (?) - თავისუფალი აგენტი

**არსენალი**

**მოვიდნენ**: პოდოლსკი (კიოლნი, 13 მლნ), ჟირუ (მონპელიე) – თანხა უცნობია
**წავიდნენ**: ალმუნია (?) - თავისუფალი აგენტი

**ტოტენჰემი**

**მოვიდნენ**: გილფი სიგურდსონი (ჰოფენჰაიმი) – 10 მლნ
**წავიდნენ**: ნელსენი (ქუინზ პარკი) - თავისუფალი აგენტი, კრანჩარი (დინამო კ) – 7 მლნ

**ნიუკასლი**

**მოვიდნენ**: ამალფიტანო (რეიმსი) - თავისუფალი აგენტი
**წავიდნენ**: არავინ

**ჩელსი**

**მოვიდნენ**: აზარი (ლილი) – 40 მლნ, მარინი (ვერდერი) – 9,8 მლნ
**წავიდნენ**: დროგბა (შანხაი შენხუა) - თავისუფალი აგენტი

**ევერტონი**

**მოვიდნენ**: არავინ
**წავიდნენ**: ნსიალა (აკრინგტონი) - თავისუფალი აგენტი, ფორშოუ (ბრენტფორდი) - თავისუფალი აგენტი

**ლივერპული**

**მოვიდნენ**: არავინ
**წავიდნენ**: კუიტი (ფენერბაჰჩე) – 1 მლნ, ამუ (პრესტონი) - თავისუფალი აგენტი

**ფულჰემი**

**მოვიდნენ**: არავინ
**წავიდნენ**: მერფი (ბლექბერნი) - თავისუფალი აგენტი, ჯონსონი (ქუინზ პარკი) - თავისუფალი აგენტი

**ვესტ ბრომვიჩი**

**მოვიდნენ**: არავინ
**წავიდნენ**: მეტოკი (შეფილდ უენსდი) - თავისუფალი აგენტი

**სუონსი**

**მოვიდნენ**: არავინ
**წავიდნენ**: არავინ

**ნორვიჩი**

**მოვიდნენ**: არავინ
**წავიდნენ**: დრური (ლიდსი) - თავისუფალი აგენტი

**სანდერლენდი**

**მოვიდნენ**: არავინ
**წავიდნენ**: რივეროსი (კაისერისპორი) – 0,3 მლნ, კარსონი (ბერი) - თავისუფალი აგენტი

**სტოკ სიტი**

**მოვიდნენ**: არავინ
**წავიდნენ**: დევისი (ბრედფორდი) - თავისუფალი აგენტი

**უიგანი**

**მოვიდნენ**: არავინ
**წავიდნენ**: დიამე (ვესტ ჰემი) - თავისუფალი აგენტი, კერკლანდი (შეფილდ უენსდი) - თავისუფალი აგენტი

**ასტონ ვილა**

**მოვიდნენ**: ჰოლმენი (ალკმაარი) - თავისუფალი აგენტი
**წავიდნენ**: ემილ ჰესკი (ლესტერი)

**ქუინზ პარკი**

**მოვიდნენ**: გრინი (ვესტ ჰემი) - თავისუფალი აგენტი, ჯონსონი (ფულჰემი) - თავისუფალი აგენტი, ნელსენი (ტოტენჰემი) - თავისუფალი აგენტი, დიაკიტე (ნანსი) – 4 მლნ
**წავიდნენ**: არავინ

**რედინგი**

**მოვიდნენ**: მაკლირი (ნოტინგემ ფორესტი) - თავისუფალი აგენტი
**წავიდნენ**: არავინ

**საუთჰემპტონი**

**მოვიდნენ**: როდრიგესი (ბარნლი) – 8,65 მლნ
**წავიდნენ**: ჟაიდი – დაასრულა კარიერა, ჰოლმსი (პრესტონი) - თავისუფალი აგენტი, დინი (ბრენტფორდი) - თავისუფალი აგენტი, ბიალკოვსკი (ნოთს ქაუნთი) - თავისუფალი აგენტი, მარტინი (კრისტალ პალასი) - იჯარა

**ვესტ ჰემი**

**მოვიდნენ**: დიამე (უიგანი) - თავისუფალი აგენტი, ჰენდერსონი (პორტსმუთი) – 0,745 მლნ, იასკელაინენი (ბოლტონი) - თავისუფალი აგენტი
**წავიდნენ**: გრინი (ქუინზ პარკი) - თავისუფალი აგენტი, ბოფონი (ეშკისეჰისპორი) - თავისუფალი აგენტი

*P.S თანხები ევროებშია მოცემული.*

**ლევან ბიბილაშვილი**

● პალერმო

# ძამპარინის ბალცარეტი არ ეთმობა

## სილვესტრი კი უკვე დათმო



ფედერიკო ბალცარეტის მიმართ ინტერესმა იმატა

ევროპის მიმდინარე ჩემპიონატზე, **ფედერიკო ბალცარეტი** შესანიშნავად ასპარეზობს და შესაბამისად, მის მიმართ არაერთ გუნდს გაუჩნდა ინტერესი. განაპირა მცველი "პალერმოს" საკუთრებაა და ბუნებრივია, რომ დაინტერესებული კლუბები სწორედ სიცილიელებთან ცდილობენ კონტაქტის დამყარებას. უკანასკნელი ინფორმაციის თანახმად, ფედერიკოს გადაბირების სურვილი პსჟ-ს, "მილანის' და "ნაპოლის" მესვეურებმა გამოთქვეს – ამას "პალერმოს" პრეზიდენტი, **მაურიციო ძამპარინი** ადასტურებს:

*"ფედერიკოს მიმართ არაერთი გუნდი იჩენს ინტერესს, მათ შორის პსჟ, "მილანი' და "ნაპოლი". ვერ ვიტყვი, რომ ევროპის ჩემპიონატის დროს ბალცარეტის ფასმა ერთი-ორად აიწია, ისედაც არ ღირდა იაფი, რადგან მასთან განშორების არავითარი სურვილი არ გვაქვს. ხელშეკრულების ვადა კლუბთან მომდევნო ზაფხულს ეწურება და აქედანვე ვზრუნავთ, რომ კონტრაქტი გავახანგრძლივოთ. ევროპის ჩემპიონატი დასრულდება და ამ საქმეს აუცილებლად მოვაბამთ თავს. სიმართლე გითხრათ, დარწმუნებული ვიყავი, რომ ფედერიკო კონტინენტის პირველობაზე თავს საუკეთესოდ წარმოაჩენდა".*

ამასობაში, "პალერმო" უკვე შეელია ერთ ფეხბურთელს და მილანის "ინტერში" გაუშვა – ლაპარაკია 27 წლის ცენტრალურ მცველ **მატიას სილვესტრიზე**, რომელმაც სიცილიურ გუნდში მხოლოდ ერთი სეზონი დაყო, 29 მატჩი ჩაატარა და 5 გოლი შეაგდო, რაც მისი ამპლუის ფეხბურთელისთვის შესანიშნავი შედეგია. ძამპარინიმ უკვე დაადასტურა, რომ სილვესტრი მომდევნო სეზონიდან "ნერაძურიში" იასპარეზებს.

**ლაშა წიკლაური**

● მილანი

# სექვესტრი და თანაც, როგორი...

## მილანმა ხელფასებში 4.4 მილიონი ევრო დაზოგა

დიდხანს საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ **მატია ფლამინის** "მილანის" დატოვება მოუწევდა, მაგრამ რეალობა სხვაგვარი გამოდგა – 28 წლის ფრანგმა ნახევარმცველმა კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა და კიდევ მინიმუმ ერთი წლით, "მილანში" დარჩება. თუმცა, ამისთვის ფლამინის გვარიან დათმობაზე მოუხდა წასვლა – თუ აქამდე, სეზონში 4.5 მილიონ ევროს იღებდა, ამიერიდან მხოლოდ 1.6 მილიონს აიღებს. მიუხედავად ამისა, მატია უაღრესად კმაყოფილია:

*"ფულს ჩემთვის არასდროს ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა და ამჯერადაც ასეა. გასული სეზონის მეორე ნახევარმა დამარწმუნა, რომ "მილანისთვის' სარგებლობის მოტანა შემიძლია და არ მსურს, გუნდი ასეთ მომენტში დავტოვო. "როსონერიში" არაერთი წელი გავატარე, მაგრამ საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე არ მიჩვენებია – მსურს, მომდევნო სეზონში მაინც დავიმკვიდრო ადგილი ძირითად შემადგენლობაში და თავი საუკეთესო კუთხით წარმოვაჩინო".*

"მილანის" მესვეურებმა ხელფასი კიდევ ერთ ფეხბურთელს, **სალი მუნტარის** შეუმცირეს და ამჯერად, მიზეზი საჯარიმო სანქცია გახლდათ. საქმე იმაშია, რომ განელმა ნახევარმცველმა მეგობრებთან ერთად ქვიშის ფეხბურთის თამაში განიზრახა და საკმაოდ მძიმე ტრავმა მიიღო – ექიმთა პირველადი დასკვნით, სალიმ შეიძლება 5-6 თვეც კი დაისვენოს, რაც იმას ნიშნავს, რომ სეზონის სტარტზე გუნდს ვერ დაეხმარება. "მილანის" მესვეურებმა ფეხბურთელის საქციელს უპასუხისმგებლო უწოდეს და მას ხელფასი გაუნახევრეს – კონტრაქტის თანახმად, მუნტარის მომდევნო სეზონში 3 მილიონი ევრო უნდა აელო, მაგრამ მხოლოდ 1.5 მილიონს მიიღებს.

**ლაშა წიკლაური**

● გალათასარაი

# გალას დიდი გეგმები



გალათასარაის იევჰენ კონოპლიანკა ძალიან ძვირად უღირს

"გალათასარაი" თურქეთის ჩემპიონი 4-წლიანი პაუზის შემდეგ პირველად გახდა. კლუბის ხელმძღვანელობას შემადგენლობის გასაძლიერებლად დიდი გეგმები აქვს. პირველ რიგში მათ "იუვენტუსიდან" იჯარით აყვანილი ბრაზილიელი საყრდენი ნახევარმცველის, 29 წლის **ფელიპე მელოს** ტრანსფერის გამოსყიდვა სურთ. "ლომები" მზად არიან, "ბებერ ქალბატონს" ფეხბურთელში 9 მილიონი ევრო მიუთვალონ. "იუვესგან" მელოს შეძენას მოსკოვის "სპარტაკიც" გეგმავს.

"მილიიეთის" ცნობით, **ფატიჰ თერიმს** შუა ხაზში კიდევ ერთი ფეხბურთელის დამატება სურს. ლაპარაკია დნეპროპეტროვსკის "დნიპროსა" და უკრაინის ნაკრების მარცხენა ნახევარმცველ **იევჰენ კონოპლიანკაზე**. მწვრთნელი მზადაა, უკრაინულ კლუბს 6 მილიონი ევრო გადაუხადოს და პლუს, ოთხი ფეხბურთელიდან რომელიმეს არჩევის საშუალება მისცეს. როგორც ჩანს, "ლომებს" კონოპლიანკა ძვირად ულირთ, რადგან ლაპარაკია სერიოზულ მოთამაშეებზე – **მილან ბაროშზე, კოლინ კაზიმ-რიჩარდსზე, ალბერტ რიერასა** და **სერქან ილდირიმზე**. ტრანსფერის ბედი წესით, უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში უნდა გადაწყდეს.

და რაც მთავარია, თერიმს კვალიფიციური თავდამსხმელის შეძენაც სურს, რათა გუნდმა ჩემპიონთა ლიგაში ღირსეულად იასპარეზოს. თურქული პრესის ცნობით, სტამბულელები "ლიონიდან" **ლისანდრო ლოპესის** გადაბირებას აპირებენ და მზად არიან, ფრანგებს 29 წლის არგენტინელში 9 მილიონი ევრო გადაუხადონ. "ლიონი" თავდასხმის ლიდერს 12 მილიონად აფასებს.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ამბები

### დეშამი მარსელიდან მიდის

შარშანდელი სეზონის ჩაგდების შემდეგ (პროვანსელებმა ჩემპიონატში მე-10 ადგილი დაიკავეს) ხშირად იწერებოდა, რომ "მარსელის" თავკაცი **დიდიე დეშამი** გუნდს დატოვებდა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობა ამას კატეგორიულად გამორიცხავდა. "ეკიპის" ცნობით, მიუხედავად 2014 წლამდე მოქმედი კონტრაქტისა, 43 წლის სპეციალისტმა "ველოდრომიდან" აბარგება თავად გადაწყვიტა და ეს ინფორმაცია პრეზიდენტ **ვენსან ლაბრუინს** უკვე მიაწოდა. გარდა იმისა, რომ დიდიეს გარემოს შეცვლა სურს, ამბობენ, რომ მას "მარსელის" მფლობელ **მარგარიტა ლუი-დრეიფუსთან** გაუფუჭდა ურთიერთობა. პრესამ დეშამის სავარაუდო მემკვიდრეთა სია უკვე გამოაქვეყნა - **ანტუან კომბუარე, ერიკ გერეტსი** და **ელი ბოპი**.

### ტოტენჰემმა ლივერპულს დაასწრო

იქამდე, ვიდრე "ლივერპული" **გილფი სიგურდსონთან** დაკავშირებით რამეს გადაწყვეტდა, "ტოტენჰემმა" დრო იხელთა და "ჰოფენჰაიმს" ისლანდიელში 10 მილიონი ევრო შესთავაზა. სოფლელები "დეზებს" უმალ დათანხმდნენ და მხარეებმა ხელი ხელს დაჰკრეს. შეგახსენებთ, რომ სიგურდსონისადმი განსაკუთრებული ინტერესი ინგლისში მას მერე გაჩნდა, რაც მან "სუონსიში" ფანტასტიკურად ჩაატარა პრემიერლიგის შარშანდელი სეზონის მეორე წრე. მარტში ის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

### ტერაქტი ფეხბურთის მატჩისას

ერაყის ცენტრალურ ნაწილში, ქალაქ ელ-ჰილაში 25 ივნისს ფეხბურთის მატჩისას, სადაც ერთმანეთს იუნიორ ფეხბურთელთა გუნდები ხვდებოდნენ, შემზარავი ტერაქტი მოხდა, რამაც 9 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, კიდევ 30 მძიმედაა დაშავებული, მათ შორის არიან როგორც ფეხბურთელები, ისე მაყურებლები. თვითმხილველების თქმით, დანაღმული ავტობუსი აფეთქდა.

**ლევან ბიბილაშვილი**

ლა ლიგა. ტრანსფერები

# ლა ლიგა დიდი ცვლილებების წინ

**ესპანეთში სატრანსფერო ფანჯარა რამდენიმე დღეში გაიხსნება, თუმცა ლა ლიგაში მიდი-მოდი კარგა ხნის დაწყებულია. ჩვენ გთავაზობთ „მარკას“ შეგროვილ საინტერესო სატრანსფერო სიას, სადაც ნაჩვენებია, თუ რომელმა ფეხბურთელებმა დატოვეს გუნდები, რომლები დაბრუნდნენ იჯარიდან და ვინ შეიმატეს მათ. აგრეთვე, თითოეულ გუნდს კიდევ ერთი (და ალბათ, ყველაზე საინტერესო) გრაფა აქვს - „ინტერესი“, სადაც თავმოყრილია იმ ფეხბურთელთა სია, რომელთა შეძენაც სურთ. „მარკა“ ამ შემთხვევაში ძირითადად კულუარულ ინფორმაციებს ეყრდნობა, რომლებიც ხშირად მართლდება.**

### ბილბაო

**მივიდნენ**: -
**იჯარიდან**: უსტარიცი, სერახერია, დე სერიო, ბალენზიაგა, ორბაისი.
**წავიდნენ**: ოსიო, კოიკილი, გაბილონდო.
**ინტერესი**: ადურისი (ვალენსია), ბენიატი (ბეტისი), ისმაელ ლოპესი (ლუგო), მიკელ რიკო (გრანადა), რაულ გარსია (ატლეტიკო).

### ატლეტიკო

**მივიდნენ**: სებოლია როდრიგესი (პორტუ), კატა დიასი (ხეტაფე), ემრე (ფენერბაჰჩე).
**იჯარიდან**: ხოელი, დიეგო კოშტა, პულიდო, რაულ გარსია.
**წავიდნენ**: ანტონიო ლოპესი, პერეა, დიეგო (ვოლფსბურგი), პიცი (ბრაგა), რუბენ პერესი (ბეტისი).
**ინტერესი**: ალვარო ვასკესი (ესპანიოლი), ხურადო (შალკე), ტელიო (ბარსელონა), ლასანა დიარა (რეალი), ბოტია (სპორტინგი).

### ბარსელონა

**მივიდნენ**: ტიტო ვილანოვა (მწვრთნელი)
**იჯარიდან**: -
**წავიდნენ**: ხოსეპ გვარდიოლა (მწვრთნელი), ენრიკე
**ინტერესი**: ხორდი ალბა (ვალენსია), ტიაგო სილვა (მილანი), მარიო მანჯუკიჩი (ვოლფსბურგი), მიროსლავ კლოზე (ლაციო), ამატი (ესპანიოლი).

### ბეტისი

**მივიდნენ**: აგრა (ოლანენშე), რუბენ პერესი (ატლეტიკო),
**იჯარიდან**: ესეკიელი, კალაორო
**წავიდნენ**: სანტა კრუსი (სიტი), პაულაუ, მარიო, ისიდორო, ირინეი, უსტარიცი (ბილბაო), ჯეფერსონ მონტერო (მორელია).
**ინტერესი**: ნოლიტო (ბენფიკა), კიკო ფემენია (ბარსელონა ბ), მუნიესა (ბარსელონა ბ), ფონტასი (ბარსელონა ბ), ხავი ალამო (უელვა), დიამე (უიგანი), ხუანფრანი (რეალ კასტილია), რობერტო ლაგო (სელტა), მიჩუ (რაიო ვალეკანო), ნეირა (ლანუსი), ტრეხო (სპორტინგი).

### სელტა

**მივიდნენ**: -
**იჯარიდან**: დანი აბალო
**წავიდნენ**: ოიერი (ოსასუნა), ორელანა (გრანადა).
**ინტერესი**: ტონიო (რასინგი), ხავი ვარასი (სევილია).

### დეპორტივო

**მივიდნენ**: ანდრე სანტუში (სპორტინგი)
**იჯარიდან**: -
**წავიდნენ**: გუარდადო (ვალენსია), მორელი, ხერმან ლუქსი, ბორხა ფერნანდესი, პაბლო ალვარესი, კოლოტო (ესპანიოლი), ლასადი.
**ინტერესი**: ტიაგუ პინტუ (რიუ ავე), ბერნარდელო (ალმერია).

### ესპანიოლი

**მივიდნენ**: კოლოტო (დეპორტივო)
**იჯარიდან**: ბენ საჰარი, მოლინა, ადრიან ლუნა.
**წავიდნენ**: რომარიკი, დიდაკ ვილა, ვეისი, კოუტინიო, პანდიანი.
**ინტერესი**: ნიკოლას ბლანდი (ბოკა ხუნიორსი), შიკაბალა (მელილია), კაისედო (ლოკომოტივი მ.), სერხიო ტეხერა (ჩელსი), ლობატო (ბარსელონა ბ).

### ხეტაფე

**მივიდნენ**: ლაფიტა (სარაგოსა), დავიდ აბრაამი (ბასილეა).
**იჯარიდან**: კოლუნგა, მოსკერა, პინტოსი, სარდინერო, ესკასი.
**წავიდნენ**: ალექსისი (სევილია), რუბენ პერესი (ატლეტიკო), მასილელა (მაკაბი ჰაიფა), პედრო რიოსი, პედრო ლეონი (რეალი), მოია (ვალენსია).
**ინტერესი**: ხავი ტორესი (ლევანტე)

### გრანადა

**მივიდნენ**: ანკელა (მწვრთნელი), დანი ბენიტესი (უდინეზე), მაინსი (უდინეზე).
**იჯარიდან**: ორელანა
**წავიდნენ**: კარლუშ მარტინში (ბენფიკა), ფრანკო ხარა (ბენფიკა), ჟულიო სეზარი (ბენფიკა), ხოსე ხუანი, აბელ გომესი, ხეიხო (უდინეზე), ნიომი (უდინეზე), იგჰალო (უდინეზე), ხაიმე რომერო (უდინეზე), უჩე (ვილიარეალი), ენრიკე (სან პაულუ), აბელ რესინო (მწვრთნელი).
**ინტერესი**: გაბრიელ ტორხე (უდინეზე), ანტონიო ლოპესი (ატლეტიკო), ფობერტი (ვესტ ჰემი), ტონიო (რასინგი).

### ლევანტე

**მივიდნენ**: კონე, ანხელი
**იჯარიდან**: -
**წავიდნენ**: ლეზალი, ხავი ვენტა (ვილიარეალი), დელ ორნო, ბოტელიო (რაიო ვალეკანო), კეილორ ნავასი, დავიდ ნავარო, კაბრალი, ფარინოსი, ხავი ტორესი, რუბენ სუარესი.
**ინტერესი**: მონტანიესი (ალკორკონი)

### მალაგა

**მივიდნენ**: -
**იჯარიდან**: აპონიო, სანდრო სილვა, ივან გონსალესი, ედინიო, ხავი ლოპესი.
**წავიდნენ**: ვან ნისტელროი (ფეხბურთს თავი დაანება), ელდერ როსარიო.
**ინტერესი**: კიაერი (ვოლფსბურგი), ადებაიორი (ტოტენჰემი), ბორხა ვალერო (ვილიარეალი), ბრუნო სორიანო (ვილიარეალი), ჯეკო (მანჩესტერ სიტი), ბერბატოვი (მანჩესტერ იუნაიტედი), ჰუნტელაარი (შალკე).

### მაიორკა

**მივიდნენ**: -
**იჯარიდან**: -
**წავიდნენ**: კასერესი, სენდროსი, მარტი კრესპი, ჩიკო (ჯენოა), ტისონე, ჩორი კასტრო (რეალ სოსიედადი).
**ინტერესი**: ხავი მარკესი (ესპანიოლი), რუბენ მინიო (ბარსელონა ბ).

### ოსასუნა

**მივიდნენ**: ნანო (ნუმანსია), სისი (ვალიადოლიდი).
**იჯარიდან**: ოიერი
**წავიდნენ**: სერხიო, რაულ გარსია, რაიტალა, კალეხა, რიკარდო, როვერსიო.
**ინტერესი**: სისი (ვალიადოლიდი)



გადავა თუ არა ხორდი ალბა ბარსელონაში, უახლოეს დღეებში გადაწყდება

### რეალი

**მივიდნენ**: -
**იჯარიდან**: პედრო ლეონი, გაგო, როისტონ დრენტე.
**წავიდნენ**: -
**ინტერესი**: ლუკას მოურა (სან პაულუ), სილვა (მანჩესტერ სიტი), პიშჩეკი (ბორუსია), ხავი მარტინესი (ბილბაო), რამირესი (ჩელსი), ფელაინი (ევერტონი), მაიკონი (ინტერი), ტევესი (მანჩესტერ სიტი), სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი).

### რაიო ვალეკანო

**მივიდნენ**: პაკო ხემესი (მწვრთნელი)
**იჯარიდან**: ხული, რაფა გარსია, კერო.
**წავიდნენ**: დანი პაჩეკო (ლივერპული), დიეგო კოშტა (ატლეტიკო), ხოელი (ატლეტიკო), პულიდო (ატლეტიკო), რაულ ბრავო, არმენტეროსი, ტამუდო (მექსიკა), კობენიო, არიბასი, მოვილია, მიჩელი, სანდოვალი (მწვრთნელი).
**ინტერესი**: ბერნატი (ვალენსია), არიბასი, დიეგო კოშტა.

### რეალ სოსიედადი

**მივიდნენ**: ჩორი კასტრო (მალიორკა), რუბენ პარდო, ხავი რიოსი.
**იჯარიდან**: სარპონგი, ვიგერა.
**წავიდნენ**: ველა, არანბურუ (ფეხბურთს თავი დაანება), ტონიო რამირესი.
**ინტერესი**: ველა (არსენალი)

### სევილია

**მივიდნენ**: დიეგო ლოპესი (ვილიარეალი), ხავი ერვასი (კორდობა), რაბელიო (კოლო კოლო), მადურო (ვალენსია).
**იჯარიდან**: აკოსტა, ბერნარდო, რომარიკი, ალექსისი.
**წავიდნენ**: კანუტე, კონე (ლევანტე), არმენტეროსი, დე მული.
**ინტერესი**: ალვარო ვასკესი (ესპანიოლი), ტონიო (რასინგი).

### ვალენსია

**მივიდნენ**: პელეგრინო (მწვრთნელი), ჟოაო პერეირა (სპორტინგი), ანდრეს გუარდადო (დეპორტივო), ხონათან ვიერა (ლას პალმასი).
**იჯარიდან**: მოია
**წავიდნენ**: ემერი (მწვრთნელი, სპარტაკი მ.), მიგელი, ბრუნო, დეალბერტი (ყუბანი), მადურო (სევილია).
**ინტერესი**: ალვარო ვასკესი (ესპანიოლი), ხავი მარკესი (ესპანიოლი), ხოსე ანხელი (რომა), დიდაკ ვილა (მილანი), ბურიტო მარტინესი (ველეს სარსფილდი), სიკეირა (გრანადა), გამეირო (პარი სენ ჟერმენი).

### ვალიადოლიდი

**მივიდნენ**: -
**იჯარიდან**: ლასარო, კიკე.
**წავიდნენ**: სისი (ოსასუნა), ალემანი (ლას პალმასი), ფერნანდო ვარელა, ხუანიტო, ნაფტი, ხოფრე, აკინო, მატაბუენა.
**ინტერესი**: -

### სარაგოსა

**მივიდნენ**: -
**იჯარიდან**: ლაგვარდია, გონი, დობლასი.
**წავიდნენ**: და სილვა (პაჩუკა), ლაფიტა (ხეტაფე), აპონიო (მალაგა), ლეო ფრანკო, პაბლო ალვარესი, ხუან კარლოსი, დუიმოვიჩი, მიკაელი, სუკულინი, არანდა, მატეოსი, პარედესი, ბარერა.
**ინტერესი**: აპონიო (მალაგა), ადრიან კოლუნგა (ხეტაფე), დიეგო კოშტა (ატლეტიკო), პედრო რიოსი (ხეტაფე), სუკულინი, მიკაელი, ლეო ფრანკო, პაბლო ალვარესი, არანდა, ბორხა გარსია (კორდობა), მონტანიესი (ალკორკონი), არიბასი (რაიო ვალეკანო), კანი (ვილიარეალი), პულიდო (ატლეტიკო), ულოა (ალმერია), ლუის ალბერტო (სევილია), ხავი ვარასი (სევილია), უგო ალმეიდა (ბეშიქთაში).

ბარსელონა

# 20 წლის შემდეგ

20 აგვისტოს „ბარსელონა“ „ჟოან გამპარის ტროფეისთვის“ იტალიურ „სამპდორიას“ გაეჯიბრება. კატალონიელებს მეტოქე შემთხვევით არ აურჩევიათ, მატჩი ჩემპიონთა ლიგის 20-წლის წინანდელ ფინალს მიეძღვნება, რომელიც „უემბლიზე“ გაიმართა ამ გუნდებს შორის. სწორედ ამ მატჩში წარუდგენენ პუბლიკას ახალ, 2012/13 წლების სეზონის „ბარსელონას“, **ტიტო ვილანოვას** და მის სამწვრთნელო ჯგუფს, რომელშიც ორშაბათიდან თბილისის „დინამოს“ ყოფილი თავკაცი **ალექს გარსიაც** შევიდა. ის „ბარსას“ პირველ გუნდში ანალიტიკოსის თანამდებობას დაიკავებს, მას მერე, რაც **ხორდი როურა** ვილანოვამ ასისტენტად გადაიყვანა. შეგახსენებთ, რომ 20 წლის წინათ, **რონალდ კუმანის** მიერ 111-ე წუთზე გატანილი გოლის წყალობით ჩემპიონთა თასს „ბარსელონა“ დაეუფლა. გენუის „სამპდორია“ ერთწლიანი განშორების შემდეგ, სერია A-ს დაუბრუნდა მას მერე, რაც პლეი ოფის ფინალში „ვარეზე“ დაამარცხა.

გუშინ „ბარსას“ პრეზიდენტმა **სანდრო როსელმა** პრესკონფერენციაზე 2011/12 წლების სეზონი შეაჯამა და სამომავლო გეგმებზეც ილაპარაკა. *„მომავალ სეზონში „ბარსელონას“ უმთავრესი მიზანი ტიტულის დაბრუნება იქნება“*, - განაცხადა როსელმა, რომელმაც თქვა, რომ კლუბის ხელმძღვანელობა სრულად ენდო ტიტო ვილანოვას და მას მომავალშიც ყველანაირ მხარდაჭერას აღმოუჩენს. როსელმა გასულ სეზონში მსაჯობა დაიწუნა, აგრეთვე განაცხადა, რომ **ჟოზე მოურინიო** ტიტო ვილანოვაზე მიტანილი იერიშისთვის აუცილებლად უნდა დაისაჯოს. როსელმა ფინანსებზეც ილაპარაკა და აღნიშნა, რომ კლუბის ისტორიაში საუკეთესო შედეგს მიაღწია - სეზონი 40-მილიონიანი მოგებით დასრულა.



სანდრო როსელი გუშინდელ პრესკონფერენციაზე

რეალი

# ჩაბის საუკეთესო ასეული

**ჩაბი ალონსომ** თავის მე-100 მატჩში ესპანეთის ნაკრების მაისურით დუბლი შეასრულა ფრანგთა კარში. ის მესამე რეალელია, რომელმაც დუბლი შეასრულა ევრო 2012-ზე. ახლა კი მთავარზე - ყველა იმ ფეხბურთელს შორის, რომელთაც ეროვნულ გუნდებში 100 და მეტი შეხვედრა აქვთ გამართული (მათ შორის, **ლევან კობიაშვილიცაა**), ჩაბი ალონსოს ყველაზე წარმატებული კარიერა აქვს - იმ 100-დან, რომელშიც 30 წლის ბასკმა ნახევარმცველმა ითამაშა, ესპანეთის ნაკრებმა 79 მოიგო. 79%-იანი შედეგით ალონსო პირველია და უსწრებს **ჩავის** (76%), **კასილიასს** (73%), **ზიდანს** (68%) და **დესაის** (67%).

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

1/2 ფინალების წინათქმა

# ევრო 2012

27 ივნისი. დონეცკი.
დონბას არენა. 22:45

| პორტუგალია | ესპანეთი |
|---|---|
|  |  |

**სავარაუდო შემადგენლობები**

| პორტუგალია | ესპანეთი |
|---|---|
| პატრისიო | კასილიასი |
| ჟ. პერეირა | არბელოა |
| ბრუნო ალვეში | ს. რამოსი |
| პეპე | პიკე |
| ფ. კოენტრაო | ალბა |
| ველოზო | ბუსკეტსი |
| მეირელეში | ჩ. ალონსო |
| ნანი | ჩავი |
| მოუტინიო | სილვა |
| რონალდო | ინიესტა |
| ალმეიდა | ფაბრეგასი |

**ტრავმა**

| პორტუგალია | ესპანეთი |
|---|---|
| პოშტიგა | არავინ |

**დისკვალიფიკაცია**

| პორტუგალია | ესპანეთი |
|---|---|
| არავინ | არავინ |

**მსაჯი**

კიუნეით ჩაკირი (თურქეთი)

**მიმდინარე სტატისტიკა**

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| VS გერმანია | 0:1 |
| VS დანია | 3:2 |
| VS ჰოლანდია | 2:1 |
| **1/4 ფინალი** | |
| VS ჩეხეთი | 1:0 |

**მეკარე:** *რუი პატრისიო (4 თამაში)*
**მცველები:** *პეპე (4, 1 გოლი), ბრუნო ალვეში (4), ფაბიო კოენტრაო (4), ჟოაო პერეირა (4), როლანდო (3).*
**ნახევარმცველები:** *მიგელ ველოზო (4), ჟოაო მოუტინიო (4), რაულ მეირელეში (4), ნანი (4), კუშტოდიო (2).*
**თავდამსხმელები:** *კრიშტიანო რონალდო (4, 3), ელდერ პოშტიგა (4, 1), ნელსონ ოლივეირა (3), სილვესტრე ვარელა (2, 1), უგო ალმეიდა (1)..*

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| VS იტალია | 1:1 |
| VS ირლანდია | 4:0 |
| VS ხორვატია | 1:0 |
| **1/4 ფინალი** | |
| VS საფრანგეთი | 2:0 |

**მეკარე:** *იკერ კასილიასი (4 თამაში)*
**მცველები:** *ჟერარდ პიკე (4), სერხიო რამოსი (4), ალვარო არბელოა (4), ხორდი ალბა (4), ხავი მარტინესი (1)*
**ნახევარმცველები:** *სესკ ფაბრეგასი (4, 2 გოლი), ანდრეს ინიესტა (4), ჩავი ერნანდესი (4), ჩაბი ალონსო (4, 2), სერხიო ბუსკეტსი (4), დავიდ სილვა (4, 1), ხესუს ნავასი (2, 1), სანტი კასორლა (2).*
**თავდამსხმელები:** *ფერნანდო ტორესი (3, 2), ალვარო ნეგრედო (1), პედრო (1).*

**ურთიერთშეხვედრები**

**34 თამაში**
**15 ესპანეთი, 7 პორტუგალია,**
**12 ფრე, 70-43 (ესპ.)**

**ბოლო ოფიციალური დაპირისპირება**

**29.06. 2010 ესპანეთი-პორტუგალია 1:0 მუნდიალი 2010**

■ პირველი იბერიული დერბი 1921 წელს მადრიდში გაიმართა. ესპანეთის ნაკრებმა 3:1 იმარჯვა. ამის შემდეგ ესპანელთა უპირატესობა აშკარაა. განსაკუთრებით ეს მსოფლიოს ჩემპიონატებში (ან საკვალიფიკაციო ბატალიებში) გამართულ დუელებს ეხება - ესპანელებმა 5-დან 4 თამაში მოიგეს და ერთი ფრედ დაასრულეს, ბურთების შეფარდება კი 19-4-თანაა.
■ მაგრამ არის ერთი კატეგორია, სადაც პორტუგალიელები ყოჩაღობენ: ევროპის ჩემპიონატებზე! 1984 წელს მარსელში მატჩი 1:1 დასრულდა, ხოლო 2004 წელს ლისაბონში პორტუგალიამ 1:0 მოიგო.
■ 1934 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩში ესპანეთის ნაკრებმა 9:0 გაანადგურა პორტუგალია.

# ეშინია თუ არა ესპანეთს კრიშტიანო რონალდოსი

## დიდი ბრძოლა დიდი ფინალისთვის

ორი დღეც და ზუსტად ორი წელიწადი გავიდოდა კეიპთაუნის მატჩიდან, როცა ბოლო მუნდიალის მერვედფინალში „ფურია როხამ“ დავიდ ვილიას გოლის წყალობით 1:0 დაამარცხა „სელეშაუ“ (19-მატჩიანი წაუგებელი სერია დაუმსხვრია) და ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა ტიტულს. ორი წლის მერე იბერიული დერბი ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში გამეორდა. ამ თამაშს უკვე უწოდებენ „კლასიკოს“, რადგან ის რაღაცით „რეალისა“ და „ბარსელონას“ დაპირისპირებას აგონებთ. თუმცა რაღა რაღაცით - თეორიულად შესაძლებელია დღეს „რეალის“ 8 ფეხბურთელი და 7 ბარსელონელი ვიხილოთ „დონბას არენაზე“.

**პრესკონფერენცია**

### პაულუ ბენტუ



კარგი შანსი გვაქვს ისტორიაში მეორედ გავიდეთ ევროპის ჩემპიონატის ფინალში. ხვალ ამ სტადიონზე უდიდესი მოტივაციით გავალთ სათამაშოდ. მართალია, მეტოქეზე ორი დღით მეტი დავისვენეთ, მაგრამ მხოლოდ ამის იმედად სათამაშოდ არ გავდივართ. გარწმუნებთ, ხვალ ჩვენი თამაში, მეტოქის გეგმა-სტრატეგიაზე არ იქნება დამოკიდებული.

### ვისენტე დელ ბოსკე



რა თქმა უნდა, 2010 წლის მუნდიალის მატჩი უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ამხანაგური შეხვედრა, რომელშიც პორტუგალიამ აშკარად გვაჯობა. სჯობს, წარსულზე აღარ ვიფიქროთ - ხვალ კი შეგვიძლია, საკუთარი თამაში მოვახვიოთ მეტოქეს. სიმართლე გითხრათ, მირჩევნია პორტუგალიამ დაცვის რედუტები გააძლიეროს, ვიდრე შემტევი ფეხბურთი გვეთამაშოს, რადგან შეტევაში უკეთ ვიცით, როგორ მოვძებნოთ მეტოქის რიგებში სისუსტეები.

### შავი კატა

რადგან შესავალში წარსული დაპირისპირება ვახსენეთ, ამ თემას კიდევ შევეხებით. მსოფლიოს ჩემპიონატი დიდი ხნის დასრულებული არ იყო, ეს ორი ნაკრები ერთმანეთს ლისაბონში ამხანაგურად რომ გაეჯიბრა და პორტუგალიელებმაც ჯავრი გვარიანად იყარეს **ვისენტე დელ ბოსკეს** გუნდზე - 4:0 გაანადგურეს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები. **ელდერ პოშტიგამ** დუბლი შეასრულა, თითო გოლი კი **კარლუშ მარტინშმა** და **უგო ალმეიდამ** გაიტანეს, მაგრამ ამ მატჩის მთავარი გმირი იყო **კრიშტიანო რონალდო**, რომელმაც მხოლოდ ერთი ტაიმი ითამაშა! ეს იყო „როხას“ ყველაზე დიდი მარცხი 1963 წლის შემდეგ, რონალდომ კი ამ შეხვედრაში სუპერგოლი გაიტანა, რომელიც თანაგუნდელის სულსწრაფობის გამო არ ჩაუთვალეს: რონალდომ წინ წასული **სერხიო რამოსი** დაინახა და მარცხნიდან შეიჭრა, საჯარიმოში მან **პიკეს**, **ჩაბი ალონსოს** და **პუიოლს** თავბედი აწყევლინა და ბურთი თავზე გადაუგდო **კასილიასს**. მაგრამ წამით ადრე, სანამ ბურთი კარის ხაზს გადაკვეთდა, მას **ნანი** შეეხო და მსაჯმაც თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. ჩვენი აზრით, ასე კარგად, როგორც კრიშტიანომ ლისაბონში ითამაშა, სანაკრებო დონეზე მას თავი არ გამოუჩენია. ამ ეპიზოდის შემდეგ კი კრიშტიანოსა და ნანის შორის შავმა კატამ გაირბინა.

### იძულებითი ცვლილება

**პაულუ ბენტუს** საყვარელი სიტყვა ალბათ სტაბილურობაა, 43 წლის თავკაცმა ზედიზედ 6-ჯერ გამოიყვანა ერთნაირი სასტარტო შემადგენლობა, მაგრამ ახლა ძალიანაც რომ მოინდომოს, მეშვიდედ იგივეს ვერ გაიმეორებს - ჩეხეთთან მატჩში **ელდერ პოშტიგამ** კუნთი დაიზიანა და ნახევარფინალში თამაშს ვერაფრით შეძლებს. ასე რომ, ბენტუს საფიქრალი გაუჩნდა.

**უგო ალმეიდა** კარგად ჩაერთო თამაშში, მაგრამ ეს მისი პირველი გამოსვლა იყო ევრო 2012-ზე, თანაც ესპანეთთან პორტუგალია ალბათ კონტრშეტევებზე ააწყობს თამაშს და რამდენად აწყობს ტანმაღალი და ნაკლებად მოძრავი ვეტერანი? შესაძლოა, ახალგაზრდა **ნელსონ ოლივეირას** გამოყენებაც, თუმცა ის ჯერჯერობით ვერ უმართლებს ბენტუს.

ცენტრფორვარდის საკითხი აქტუალურია ესპანელთა ბანაკშიც. რა გზას აირჩევს ამჯერად ვისენტე დელ ბოსკე, ათამაშებს **ფერნანდო ტორესს** თუ **სესკ ფაბრეგასს**. ჯერჯერობით, 4 სტარტიდან 2 ფაბრეგასის (იტალიასთან და საფრანგეთთან) და 2 ტორესის (ირლანდიასთან და ხორვატიასთან) იყო. სხვა მხრივ გვეეჭვება, დელ ბოსკემ გადააადგილებებს მიმართოს.

**მთავარი დუელი**

### კრიშტიანო რონალდო VS ალვარო არბელოა

თანაგუნდელთა დაპირისპირება გამოუვალია. რონალდო **არბელოას** ფლანგიდან შეუტევს. აქამდე ალვარო არბელოა მარჯვენა მცველებს შორის საუკეთესოა. მას სერიოზული შეცდომა არ დაუშვია და შეტევებშიც კარგად ერთვება. თუმცა მთავარი გამოცდა ესპანელს ახლა ელის. ასევე კარგი იყო ჩეხი **გებრე სელასიე** ევროზე, სანამ რონალდოს გადაეყრებოდა... თავად რონალდო ამბობს, რომ არანაირ დაძაბულობას არ გრძნობს ესპანელებთან თამაშის წინ.

### ფრაზები

**სესკ ფაბრეგასი:** *„პორტუგალიის ნაკრები კონტრშეტევებზე ძალიან ძლიერია“*
**იკერ კასილიასი:** *„პიკე ყოველთვის კარგად უმკლავდებოდა რონალდოს. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა ძალთა ეს თანაფარდობა მაწყობს“*
**სერხიო ბუსკეტსი:** *„თუ ევროს მოვიგებთ, მიკი როკეს ხსოვნას მივუძღვნით“*
**კრიშტიანო რონალდო:** *„დიდებული იბერიული დაპირისპირება გველის, რომლის მოგებაც აშკარად შეგვიძლია“.*
**ჩაბი ალონსო:** *„ესპანეთი განსაკუთრებულ ყურადღებას რონალდოს განეიტრალებას არ მიანიჭებს“.*

### იცით თუ არა, რომ...

■ პორტუგალიელთა ახლანდელი თავკაცი პაულუ ბენტუ „ოვიედოში“ თამაშობდა 1996 წლიდან 2000-ის ჩათვლით და პირველად ეროვნული ნაკრების მაისურა სწორედ ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ მოირგო - 1992 წლის ამხანაგურ მატჩში (0:0).
■ როგორც ფეხბურთელმა, ვისენტე დელ ბოსკემ ერთხელ მოაგებინა „სამეფო კლუბს“ „პორტუს“ წინააღმდეგ ჩემპიონთა თასზე (1979/80 წწ.), როგორც „რეალის“ მწვრთნელმა მან პორტუგალიურ კლუბებს სამჯერ მოუგო და ერთხელ ფრე ეთამაშა.
■ არის შანსი, რომ მომავალ სეზონში „ვალენსიას“ დაცვის ორი ფრთა **ჟოაო პერეირას** და **ხორდი ალბას** ჩააბარონ. ეს იმ შემთხვევაში, თუ ალბა „ბარსელონაში“ არ წავა, თორემ პერეირა უკვე ოფიციალურად შეიძინა „ვალენსიამ“ ლისაბონის „სპორტინგიდან“.
■ ამ მატჩამდე ორივე ნაკრებმა ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგო.
■ ერთი გოლიც და კრიშტიანო რონალდო ევროპის ჩემპიონატების გოლთა სარეკორდო რაოდენობას (ოღონდ, საკვალიფიკაციო მატჩების ჩათვლით) - 22-ს - დააგროვებს. 22 გოლი აქვთ გატანილი თურქ **ჰაქან შუქურს** და დანიელ **იონ დალ ტომასონს**.
■ პორტუგალიელებმა ევრო 2012-ზე 6-ჯერ გაარტყეს ბურთი ძელს, აქედან რონალდოს ანგარიშზე ოთხჯერ ძელს გარტყმული ბურთია.
■ სულ 7 ფეხბურთელს აქვს გატანილი ევროპის სამ სხვადასხვა ჩემპიონატზე გოლები. ესენი არიან: **იურგენ კლინსმანი, ვლადიმირ შმიცერი, ნუნუ გომეში, ტიერი ანრი, ზლატან იბრაჰიმოვიჩი**, ელდერ პოშტიგა და კრიშტიანო რონალდო.
■ ზედიზედ 18 მატჩია, რაც ესპანელებს ოფიციალურ შეხვედრაში არ წაუგიათ. ბოლო მარცხი 2010 წლის მუნდიალზე, შვეიცარიის ნაკრებთან მოდის.
■ 299 წუთია, რაც იკერ კასილიასს გოლი არ გაუშვია.

**სტატისტიკური შედარება**

| პორტუგალია | კატეგორია | ესპანეთი |
|---|---|---|
| 6 | გოლი | 8 |
| 70 | დარტყმა | 67 |
| 33 | ზუსტი | 44 |
| 37 | არაზუსტი | 23 |
| 5 | ბლოკი | 2 |
| 6 | ძელი | 0 |
| 35 | კუთხური | 33 |
| 8 | თამაშგარე | 15 |
| 7 | გაფრთხილება | 6 |
| 0 | გაძევება | 0 |
| 60 | ჯარიმა | 43 |
| 55 | ჯარიმა (მათზე) | 63 |

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ეს წამია, დავიდ ვილიამ პორტუგალიელთა კარი დალაშქრა და ესპანეთი მუნდიალის მეოთხედფინალში გაიყვანა

# დიდი მატჩის მოლოდინში

## პრანდელი შეტევას გვპირდება, ლიოვმა გომესი გააოცა

ესპანეთის და პორტუგალიის ნაკრებების მიმართ ჩვენი სიმპათიის მიუხედავად, ფაქტია, რომ ნეიტრალურ გულშემატკივართათვის გაცილებით დიდ ინტერესს გერმანია-იტალიის მომავალი ნახევარფინალური ჯახი იწვევს. ესაა ევროპის ორი ყველაზე ტიტულოვანი ნაკრების დაპირისპირება, რომლებიც მუდმივად უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვიან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გერმანია და იტალია დღეს მხოლოდ ამ მატჩით ცხოვრობენ და ჟურნალისტებიც უხვად გვაწვდიან ორივე ბანაკიდან აკრეფილ ინფორმაციებს.



ჩეზარე პრანდელი გერმანიასთანაც შემტევ ფეხბურთს არჩევს



ბასტიან შვაინშტაიგერი სრულ მზადყოფნაშია

### შვაინი მზადაა

მთელი გერმანია **ბასტიან შვაინშტაიგერის** ჯანმრთელობაზე ნერვიულობდა, რომელსაც ტრავმა ჰქონდა და რამდენიმე ვარჯიშის გამოტოვება მოუხდა. დიახ, ჰქონდა, რადგან გერმანელთა ერთ-ერთი ლიდერი უკვე სრულ მზადყოფნაშია და გუშინ, დილის წვრთნაზე გუნდთან ერთად იყო. ასე რომ, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, შვაინშტაიგერი იტალიას პირველივე წუთებიდან დაუპირისპირდება.

ამასობაში, გერმანიის საფეხბურთო კავშირი უეფა-მ 31 200 აშშ დოლარით დააჯარიმა, რომელიც გულშემატკივართა საქციელმა განაპირობა – ბუნდესგუნდის ერთ-ერთი მატჩისას, გერმანელმა ფანებმა ტრიბუნებზე ფაშისტური სიმბოლიკა გადმოფინეს და ბუნებრივია, რომ ევროპის უმაღლეს საფეხბურთო ორგანოში ეს არ გამოპარვიათ. გერმანიის საფეხბურთო კავშირის მესვეურებმა მოუწოდეს ქომაგებს, მსგავსი ქმედებებისგან თავი შეიკავონ.

**კომენტარები**

გერმანელთა სამწვრთნელო პროცესი ღიაა და ბუნებრივია, რომ ბუნდესგუნდს ჟურნალისტები ბუზებივით ეხვევიან. შესაბამისად, კომენტარებიც უხვად რიგდება და ბევრი საინტერესო ამბის გაგებაც შეიძლება. მაგალითად, თურმე **მარიო გომესი** გაოცებული ყოფილა, როდესაც შეიტყო, რომ **იოახიმ ლიოვმა** საბერძნეთის წინააღმდეგ, ძირითად შემადგენლობაში არ დააყენა...

**მარიო გომესი:** *"როდესაც გავიგე, რომ ბერძნებთან მატჩისთვის ძირითად შემადგენლობაში არ დამაყენეს, გავოცდი და ვერაფრით მივხვდი, რაში იყო საქმე. თუმცა, შემდეგ შევურიგდი მწვრთნელის გადაწყვეტილებას და ჩემს შანსს დაველოდე. დიდი იმედი მაქვს, რომ ნახევარფინალურ პაექრობას პირველივე წუთიდან დავიწყებ, რადგან ევროპის მიმდინარე ჩემპიონატზე შედეგიანად ვასპარეზობ. ჩემი აზრით, სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრას ვიმსახურებ".*

**მიროსლავ კლოზე:** *"ჩემი აზრით, საკითხის ასე დაყენება: კლოზე თუ გომესი? – არასწორია, რადგან ჩვენ ორივე ერთ საქმეს ვემსახურებით. მარიო ძალიან ძლიერი ფორვარდია და იმსახურებს ძირითადში ყოფნას, მაგრამ როდესაც თამაშის საშუალება მომეცა, არც მე დავტოვე მოედანი უგოლოდ. ვფიქრობ, რომ გერმანიის ნაკრებს ორივე ვჭირდებით და გასაყოფი არაფერი გვაქვს. იოახიმ ლიოვს არჩევანი აქვს, მწვრთნელისთვის კი ეს ყველაზე დიდი ბედნიერებაა".*

**მესუთ იოზილი:** *"მიზანი ევროპის ჩემპიონობაა და მჯერა, რომ ეს ჩვენს ძალებს არ აღემატება. უკრაინა-პოლონეთში გამარჯვებისთვის ჩამოვედით და საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად მიდის. თუმცა, მთავარი ბრძოლები წინ გვაქვს და ძალების მაქსიმალური მობილიზება გვმართებს. იტალიის ნაკრები სუსტი არასდროს ყოფილა, მაგრამ ამ ჩემპიონატზე თუ ასე კარგად იასპარეზებდა, ნამდვილად არ მეგონა. ჯგუფურ ტურნირზე, ესპანეთს ტოლი არ დაუდეს, ინგლისის ნაკრები კი აშკარად დაჩაგრეს და ნახევარფინალში სრულიად დამსახურებულად გავიდნენ. იტალიას ანდრეა პირლოს სახით, ლიდერი ჰყავს, რომელიც აგერ უკვე მერამდენე წელია, უმაღლეს დონეზე ასპარეზობს. სხვათა შორის, პირლოს ხშირად მადარებენ, მაგრამ ეს ნაკლებად მაინტერესებს – მე, მე ვარ და ვცდილობ ისევე გამოვადგე ბუნდესგუნდს, როგორც პირლო ეხმარება თავის ნაკრებს. წინ ძალიან საინტერესო მატჩი გველის და იმედია, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება".*

### კიელინიც მწყობრშია

"სკუადრა აძურას" გულშემატკივრები ყველაზე მეტად **ჯორჯო კიელინის** მდგომარეობაზე ნერვიულობდნენ, რომელმაც ტრავმის გამო, მეოთხედფინალური მატჩი გამოტოვა. საბედნიეროდ, ჯორჯომ უკვე მოიშუშა ტრავმა და შვაინშტაიგერის არ იყოს, მანაც მოასწრო ერთი სრულფასოვანი წვრთნის ჩატარება. გამომდინარე აქედან, კიელინი გერმანიასთან ალბათ სასტარტო შემადგენლობაში იქნება და შესაბამისად, რეზერვში **ლეონარდო ბონუჩი** გადაინაცვლებს.

კითხვის ნიშნები იყო **ინაციო აბატესთან** დაკავშირებით, რომელმაც ინგლისთან კოჭი დაიზიანა და შესაცვლელი შეიქნა. მის ნაცვლად თამაშში ჩართულმა **კრისტიან მაჯომ** ყვითელი ბარათი მიიღო, გაფრთხილებათა ლიმიტი ამოწურა და დისკვალიფიკაციაც მიიღო; მოკლედ, **ჩეზარე პრანდელი** ერთი ხანობა ურთულეს ვითარებაში იყო, როდესაც ერთი მარჯვენა მცველი დისკვალიფიცირებული ჰყავდა, ხოლო მეორე ტრავმირებული. საბედნიეროდ, არც აბატეს ტრავმა გამოდგა სერიოზული, თითქმის სრულად განიკურნა და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, გერმანიის წინააღმდეგ აუცილებლად ითამაშებს. იგივე შეიძლება ითქვას **დანიელე დე როსისა** და **რიკარდო მონტოლივოზე**, რომლებიც ასევე 100%-ით ჯანმრთელად არიან. მოკლედ, იტალიელებს საკადრო პრობლემები აღარ აწუხებთ – რა თქმა უნდა, თუ მაჯოს დისკვალიფიკაციას არ ჩავთვლით.

**კომენტარები**

ჩეზარე პრანდელი ძალიან აქტიურად ურთიერთობს ჟურნალისტებთან და მისი კომენტარები თითქმის ყოველდღე ვრცელდება. სენიორ ჩეზარემ ამჯერადაც საკმაოდ ვრცლად და საინტერესოდ ისაუბრა, ბოლოს კი სიტყვა იტალიური ფეხბურთის ცოცხალ ლეგენდას, **დინო ძოფს** გადავცეთ, რომელსაც გერმანიის ნაკრებთან დაპირისპირების დიდი გამოცდილება აქვს...

**ჩეზარე პრანდელი:** *"გერმანია ფავორიტია და ამ მოსაზრებას ვიზიარებ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფინალში აუცილებლად იოახიმ ლიოვის გუნდი გავა. ინგლისელებთან შეხვედრაში კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ძალიან ძლიერი გუნდი გვყავს და ნებისმიერი თამაშის მოგება შეგვიძლია. დაცვაში ჩაჯდომას არც გერმანელებთან ვაპირებთ, რადგან შეტევა კარგად დავცადეთ – დავრწმუნდით, რომ როდესაც სამ ათეულზე მეტჯერ დაარტყამ მეტოქის კარის მიმართულებით, გამარჯვება აუცილებლად შენ დაგრჩება. მირჩევნია კონტრშეტევაზე გავუშვათ გოლი, ვიდრე თუნდაც 20 წუთი ყრუ დაცვაში ვიჯდეთ. მოკლედ, ვეცდებით, რომ მოედნის ცენტრი ავითვისოთ და პირველ ნომრად ვითამაშოთ. ამბობენ, რომ თავდამსხმელები მოიკოჭლებენ? – ანტონიო კასანოს თითქმის მთელი სეზონი გაუცდა, ამ მოკლე დროში კი ოთხი მატჩი ჩაატარა და თავი ნამდვილად არ შეურცხვენია. შესაძლოა, ცოტა გადაიღალა და ეს ამბავი მაწუხებს, მაგრამ მჯერა, რომ საუკეთესო კასანო ჯერ კიდევ არ გვინახავს. რაც შეეხება მარიო ბალოტელის, ინგლისელებთან პაექრობაში დიდი სამუშაო გასწია, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში არ უმართლებდა. როდესაც მარიო მოედანზეა, ორი მცველი მუდმივად მიწეპებული ჰყავს, ეს ჩვენთვის უკვე დიდი პლუსია და თუ გოლების გატანას მოუხშირებს, მოედანზე ყოფნას 100%-ით გაამართლებს. მე მჯერა როგორც ბალოტელის, ისე კასანოსი და დარწმუნებული ვარ, რომ თავის სიტყვას კიდევ იტყვიან".*

**დინო ძოფი:** *"იოახიმ ლიოვს ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავს, ყველა რგოლში დაბალანსებული, რომელსაც გამოკვეთილ სისუსტეს ვერ უპოვი. საერთოდ, გერმანელები ტრადიციულად ასე არიან, მაგრამ ჩვენ მაინც სულ ვუგებთ. მჯერა, ამჯერადაც ასე იქნება და ფინალში "სკუადრა აძურა" გავა. ჩეზარე პრანდელის გუნდმა შემტევი და შემოქმედებითი ფეხბურთი აჩვენა, რომლის წყალობითაც მილიონობით გულშემატკივრის გული მოიგო. მოკლედ, ჩემი აზრით, უფრო გერმანელებს უნდა ეშინოდეთ ჩვენი, ვიდრე ჩვენ მათი".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**







## უცხოური ფეხბურთი

გერმანია. კალენდარი

# ბუნდესლიგა 2012-13

**I ტური. 24 აგვისტო**

დორტმუნდი-ვერდერი
ჰანოვერი-შალკე
ბორუსია (მ)-ჰოფენჰაიმი
შტუტგარტი-ვოლფსბურგი
ფრაიბურგი-მაინცი
აუგსბურგი-ფორტუნა
ჰამბურგი-ნიურნბერგი
აინტრახტი-ლევერკუზენი
ფიურტი-ბაიერნი

**II ტური. 1 სექტემბერი**

ბაიერნი-შტუტგარტი
შალკე-აუგსბურგი
ლევერკუზენი-ფრაიბურგი
ვოლფსბურგი-ჰანოვერი
ვერდერი-ჰამბურგი
ნიურნბერგი-დორტმუნდი
ჰოფენჰაიმი-აინტრახტი
მაინცი-ფიურტი
ფორტუნა-ბორუსია (მ)

**III ტური. 15 სექტემბერი**

დორტმუნდი-ლევერკუზენი
ბაიერნი-მაინცი
ბორუსია (მ)-ნიურნბერგი
შტუტგარტი-ფორტუნა
ჰანოვერი-ვერდერი
ფრაიბურგი-ჰოფენჰაიმი
აუგსბურგი-ვოლფსბურგი
ფიურტი-შალკე
აინტრახტი-ჰამბურგი

**VII ტური. 6 ოქტომბერი**

ბაიერნი-ჰოფენჰაიმი
შალკე-ვოლფსბურგი
ბორუსია (მ)-აინტრახტი
შტუტგარტი-ლევერკუზენი
ჰანოვერი-დორტმუნდი
ფრაიბურგი-ნიურნბერგი
მაინცი-ფორტუნა
აუგსბურგი-ვერდერი
ფიურტი-ჰამბურგი

**VIII ტური. 20 ოქტომბერი**

დორტმუნდი-შალკე
ლევერკუზენი-მაინცი
ვოლფსბურგი-ფრაიბურგი
ვერდერი-ბორუსია (მ)
ნიურნბერგი-აუგსბურგი
ჰოფენჰაიმი-ფიურტი
ჰამბურგი-შტუტგარტი
აინტრახტი-ჰანოვერი
ფორტუნა-ბაიერნი

**IX ტური. 27 ოქტომბერი**

ბაიერნი-ლევერკუზენი
შალკე-ნიურნბერგი
შტუტგარტი-აინტრახტი
ჰანოვერი-ბორუსია (მ)
ფრაიბურგი-დორტმუნდი
მაინცი-ჰოფენჰაიმი
აუგსბურგი-ჰამბურგი
ფიურტი-ვერდერი
ფორტუნა-ვოლფსბურგი

**XIII ტური. 24 ნოემბერი**

ბაიერნი-ჰანოვერი
შალკე-აინტრახტი
ვოლფსბურგი-ვერდერი
ჰოფენჰაიმი-ლევერკუზენი
ფრაიბურგი-შტუტგარტი
მაინცი-დორტმუნდი
აუგსბურგი-ბორუსია (მ)
ფიურტი-ნიურნბერგი
ფორტუნა-ჰამბურგი

**XIV ტური. 28 ნოემბერი**

დორტმუნდი-ფორტუნა
ბორუსია (მ)-ვოლფსბურგი
შტუტგარტი-აუგსბურგი
ჰანოვერი-ფიურტი
ვერდერი-ლევერკუზენი
ნიურნბერგი-ჰოფენჰაიმი
ფრაიბურგი-ბაიერნი
ჰამბურგი-შალკე
აინტრახტი-მაინცი

**XV ტური. 1 დეკემბერი**

ბაიერნი-დორტმუნდი
შალკე-ბორუსია (მ)
ლევერკუზენი-ნიურნბერგი
ვოლფსბურგი-ჰამბურგი
ჰოფენჰაიმი-ვერდერი
მაინცი-ჰანოვერი
აუგსბურგი-ფრაიბურგი
ფიურტი-შტუტგარტი
ფორტუნა-აინტრახტი

**XIX ტური. 26 იანვარი**

დორტმუნდი-ნიურნბერგი
ბორუსია (მ)-ფორტუნა
შტუტგარტი-ბაიერნი
ჰანოვერი-ვოლფსბურგი
ფრაიბურგი-ლევერკუზენი
აუგსბურგი-შალკე
ჰამბურგი-ვერდერი
ფიურტი-მაინცი
აინტრახტი-ჰოფენჰაიმი

**XX ტური. 2 თებერვალი**

შალკე-ფიურტი
ლევერკუზენი-დორტმუნდი
ვოლფსბურგი-აუგსბურგი
ვერდერი-ჰანოვერი
ნიურნბერგი-ბორუსია (მ)
ჰოფენჰაიმი-ფრაიბურგი
მაინცი-ბაიერნი
ჰამბურგი-აინტრახტი
ფორტუნა-შტუტგარტი

**XXI ტური. 9 თებერვალი**

დორტმუნდი-ჰამბურგი
ბაიერნი-შალკე
ბორუსია (მ)-ლევერკუზენი
შტუტგარტი-ვერდერი
ჰანოვერი-ჰოფენჰაიმი
ფრაიბურგი-ფორტუნა
აუგსბურგი-მაინცი
ფიურტი-ვოლფსბურგი
აინტრახტი-ნიურნბერგი



**IV ტური. 22 სექტემბერი**

შალკე-ბაიერნი
ლევერკუზენი-ბორუსია (მ)
ვოლფსბურგი-ფიურტი
ვერდერი-შტუტგარტი
ნიურნბერგი-აინტრახტი
ჰოფენჰაიმი-ჰანოვერი
მაინცი-აუგსბურგი
ჰამბურგი-დორტმუნდი
ფორტუნა-ფრაიბურგი

**V ტური. 26 სექტემბერი**

ბაიერნი-ვოლფსბურგი
შალკე-მაინცი
ბორუსია (მ)-ჰამბურგი
შტუტგარტი-ჰოფენჰაიმი
ჰანოვერი-ნიურნბერგი
ფრაიბურგი-ვერდერი
აუგსბურგი-ლევერკუზენი
ფიურტი-ფორტუნა
აინტრახტი-დორტმუნდი

**VI ტური. 29 სექტემბერი**

დორტმუნდი-ბორუსია (მ)
ლევერკუზენი-ფიურტი
ვოლფსბურგი-მაინცი
ვერდერი-ბაიერნი
ნიურნბერგი-შტუტგარტი
ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი
ჰამბურგი-ჰანოვერი
აინტრახტი-ფრაიბურგი
ფორტუნა-შალკე

**X ტური. 3 ნოემბერი**

დორტმუნდი-შტუტგარტი
ბორუსია (მ)-ფრაიბურგი
ლევერკუზენი-ფორტუნა
ჰანოვერი-აუგსბურგი
ვერდერი-მაინცი
ნიურნბერგი-ვოლფსბურგი
ჰოფენჰაიმი-შალკე
ჰამბურგი-ბაიერნი
აინტრახტი-ფიურტი

**XI ტური. 10 ნოემბერი**

ბაიერნი-აინტრახტი
შალკე-ვერდერი
შტუტგარტი-ჰანოვერი
ვოლფსბურგი-ლევერკუზენი
ფრაიბურგი-ჰამბურგი
მაინცი-ნიურნბერგი
აუგსბურგი-დორტმუნდი
ფიურტი-ბორუსია (მ)
ფორტუნა-ჰოფენჰაიმი

**XII ტური. 17 ნოემბერი**

დორტმუნდი-ფიურტი
ბორუსია (მ)-შტუტგარტი
ლევერკუზენი-შალკე
ჰანოვერი-ფრაიბურგი
ვერდერი-ფორტუნა
ნიურნბერგი-ბაიერნი
ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი
ჰამბურგი-მაინცი
აინტრახტი-აუგსბურგი

**XVI ტური. 8 დეკემბერი**

დორტმუნდი-ვოლფსბურგი
ბორუსია (მ)-მაინცი
შტუტგარტი-შალკე
ჰანოვერი-ლევერკუზენი
ნიურნბერგი-ფორტუნა
ფრაიბურგი-ფიურტი
აუგსბურგი-ბაიერნი
ჰამბურგი-ჰოფენჰაიმი
აინტრახტი-ვერდერი

**XVII ტური. 15 დეკემბერი**

ბაიერნი-ბორუსია (მ)
შალკე-ფრაიბურგი
ლევერკუზენი-ჰამბურგი
ვოლფსბურგი-აინტრახტი
ვერდერი-ნიურნბერგი
ჰოფენჰაიმი-დორტმუნდი
მაინცი-შტუტგარტი
ფიურტი-აუგსბურგი
ფორტუნა-ჰანოვერი

**XVIII ტური. 19 იანვარი**

ბაიერნი-ფიურტი
შალკე-ჰანოვერი
ლევერკუზენი-აინტრახტი
ვოლფსბურგი-შტუტგარტი
ვერდერი-დორტმუნდი
ნიურნბერგი-ჰამბურგი
ჰოფენჰაიმი-ბორუსია (მ)
მაინცი-ფრაიბურგი
ფორტუნა-აუგსბურგი

**XXII ტური. 16 თებერვალი**

დორტმუნდი-აინტრახტი
ლევერკუზენი-აუგსბურგი
ვოლფსბურგი-ბაიერნი
ვერდერი-ფრაიბურგი
ნიურნბერგი-ჰანოვერი
ჰოფენჰაიმი-შტუტგარტი
მაინცი-შალკე
ჰამბურგი-ბორუსია (მ)
ფორტუნა-ფიურტი

**XXIII ტური. 23 თებერვალი**

ბაიერნი-ვერდერი
შალკე-ფორტუნა
ბორუსია (მ)-დორტმუნდი
შტუტგარტი-ნიურნბერგი
ჰანოვერი-ჰამბურგი
ფრაიბურგი-აინტრახტი
მაინცი-ვოლფსბურგი
აუგსბურგი-ჰოფენჰაიმი
ფიურტი-ლევერკუზენი

**XXIV ტური. 2 მარტი**

დორტმუნდი-ჰანოვერი
ლევერკუზენი-შტუტგარტი
ვოლფსბურგი-შალკე
ვერდერი-აუგსბურგი
ნიურნბერგი-ფრაიბურგი
ჰოფენჰაიმი-ბაიერნი
ჰამბურგი-ფიურტი
აინტრახტი-ბორუსია (მ)
ფორტუნა-მაინცი

**XXV ტური. 9 მარტი**

ბაიერნი-ფორტუნა
შალკე-დორტმუნდი
ბორუსია (მ)-ვერდერი
შტუტგარტი-ჰამბურგი
ჰანოვერი-აინტრახტი
ფრაიბურგი-ვოლფსბურგი
მაინცი-ლევერკუზენი
აუგსბურგი-ნიურნბერგი
ფიურტი-ჰოფენჰაიმი

**XXVI ტური. 16 მარტი**

დორტმუნდი-ფრაიბურგი
ბორუსია (მ)-ჰანოვერი
ლევერკუზენი-ბაიერნი
ვოლფსბურგი-ფორტუნა
ვერდერი-ფიურტი
ნიურნბერგი-შალკე
ჰოფენჰაიმი-მაინცი
ჰამბურგი-აუგსბურგი
აინტრახტი-შტუტგარტი

**XXVII ტური. 30 მარტი**

ბაიერნი-ჰამბურგი
შალკე-ჰოფენჰაიმი
შტუტგარტი-დორტმუნდი
ვოლფსბურგი-ნიურნბერგი
ფრაიბურგი-ბორუსია (მ)
მაინცი-ვერდერი
აუგსბურგი-ჰანოვერი
ფიურტი-აინტრახტი
ფორტუნა-ლევერკუზენი

**XXVIII ტური. 6 აპრილი**

დორტმუნდი-აუგსბურგი
ბორუსია (მ)-ფიურტი
ლევერკუზენი-ვოლფსბურგი
ჰანოვერი-შტუტგარტი
ვერდერი-შალკე
ნიურნბერგი-მაინცი
ჰოფენჰაიმი-ფორტუნა
ჰამბურგი-ფრაიბურგი
აინტრახტი-ბაიერნი

**XXIX ტური. 13 აპრილი**

ბაიერნი-ნიურნბერგი
შალკე-ლევერკუზენი
შტუტგარტი-ბორუსია (მ)
ვოლფსბურგი-ჰოფენჰაიმი
ფრაიბურგი-ჰანოვერი
მაინცი-ჰამბურგი
აუგსბურგი-აინტრახტი
ფიურტი-დორტმუნდი
ფორტუნა-ვერდერი

**XXX ტური. 20 აპრილი**

დორტმუნდი-მაინცი
ბორუსია (მ)-აუგსბურგი
ლევერკუზენი-ჰოფენჰაიმი
შტუტგარტი-ფრაიბურგი
ჰანოვერი-ბაიერნი
ვერდერი-ვოლფსბურგი
ნიურნბერგი-ფიურტი
ჰამბურგი-ფორტუნა
აინტრახტი-შალკე

**XXXI ტური. 27 აპრილი**

ბაიერნი-ფრაიბურგი
შალკე-ჰამბურგი
ლევერკუზენი-ვერდერი
ვოლფსბურგი-ბორუსია (მ)
ჰოფენჰაიმი-ნიურნბერგი
მაინცი-აინტრახტი
აუგსბურგი-შტუტგარტი
ფიურტი-ჰანოვერი
ფორტუნა-დორტმუნდი

**XXXII ტური. 4 მაისი**

დორტმუნდი-ბაიერნი
ბორუსია (მ)-შალკე
შტუტგარტი-ფიურტი
ჰანოვერი-მაინცი
ვერდერი-ჰოფენჰაიმი
ნიურნბერგი-ლევერკუზენი
ფრაიბურგი-აუგსბურგი
ჰამბურგი-ვოლფსბურგი
აინტრახტი-ფორტუნა

**XXXIII ტური. 11 მაისი**

ბაიერნი-აუგსბურგი
შალკე-შტუტგარტი
ლევერკუზენი-ჰანოვერი
ვოლფსბურგი-დორტმუნდი
ვერდერი-აინტრახტი
ჰოფენჰაიმი-ჰამბურგი
მაინცი-ბორუსია (მ)
ფიურტი-ფრაიბურგი
ფორტუნა-ნიურნბერგი

**XXXIV ტური. 18 მაისი**

დორტმუნდი-ჰოფენჰაიმი
ბორუსია (მ)-ბაიერნი
შტუტგარტი-მაინცი
ჰანოვერი-ფორტუნა
ნიურნბერგი-ვერდერი
ფრაიბურგი-შალკე
აუგსბურგი-ფიურტი
ჰამბურგი-ლევერკუზენი
აინტრახტი-ვოლფსბურგი

ოლიმპიზმი. თბილისი-2015



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო


თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# ნაბიჯი მომავლისკენ!

## ლოგოს, ჰიმნისა და სლოგანის პრეზენტაცია

**ტრადიციულად, ივნისის ბოლო კვირას მსოფლიოს გარკვეული ნაწილი ოლიმპიურ კვირეულს მასპინძლობს, რომელიც წლეულს 23 ივნისს დაიწყო და 49 ქვეყანაში აღინიშნება. მათ შორის - საქართველოშიც, რომელიც ბოლო წლებში აქტიურად ეხმიანება ამ ღონისძიებას. თუმცა წლევანდელი კვირეული გასცდა კონკრეტულად ამ იდეის ფარგლებს და ბევრად ფართო დატვირთვა შეიძინა - კვირეულის ფარგლებში მოეწყო „თბილისი-2015“ ოლიმპიური ფესტივალის ლოგოს, ჰიმნისა და სლოგანის პრეზენტაცია.**

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტმა ამ ყველაფერზე კონკურსი გამოაცხადა, რომელიც უკვე დასრულდა, გამარჯვებული ნომინანტებიც გამოვლინდნენ და დასაჩუქრდნენ კიდეც, თუმცა მაშინვე ითქვა, რომ ორგანიზატორები გააგრძელებდნენ უკეთესი ვარიანტების ძიებას სარეკლამო კომპანიებისთვის დაკვეთის ხარჯზე. საბოლოოდ მართლაც ასე მოხდა - დაკვეთა სარეკლამო კომპანია „ვინთვორსმა“ შეასრულა, რომელმაც საკმაოდ მიმზიდველი, ახალგაზრდულ სტილში გადაწყვეტილი ლოგო დაამზადა, ფესტივალის სლოგანი კი „ნაბიჯი მომავლისკენ!“ იქნება.

გუშინ ახალი ატრიბუტიკის პრეზენტაცია ვარდების რევოლუციის მოედანზე გაიმართა საზეიმო ვითარებაში, რაც ოლიმპიური გარბენით დასრულდა. ღონისძიების მთავარი მასპინძელი ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტი იყო, თუმცა არანაკლები წვლილი შეიტანეს საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ და დედაქალაქის მერიამ. ამ სამივე უწყების ხელმძღვანელების გარდა ღონისძიებას ესწრებოდნენ ფესტივალის პროგრამაში შემავალი სპორტის 9 სახეობის ფედერაციების თავკაცები და „თბილისი-2015“-ის დირექტორი **არჩილ გეგენავა**. თბილისის მერი **გიგი უგულავა** მონაწილეებს მიესალმა: *„უპირველესად, წარმატებები მინდა ვუსურვო ლონდონის ოლიმპიადაში მონაწილე ქართველ სპორტსმენებს, რომლებსაც სულ მალე მოუწევთ თამაშებში გამოსვლა.*

*იქნებ დღევანდელი გადასახედიდან 2015 წლის ოლიმპიური ფესტივალი შორს გვეჩვენება, მაგრამ დრო სწრაფად გაივლის და ჩვენი ახალგაზრდები აუცილებლად გვასახელებენ. ჩვენ არამარტო უნდა მოვემზადოთ ამ ფესტივალისთვის, არამედ უნდა გავიმარჯვოთ. მთავარია, არა მონაწილეობა, არამედ გამარჯვება. ისევე უნდა ვიბრძოლოთ საბოლოო წარმატებისთვის, როგორც შარშან ნოემბერში ვეცადეთ და ფესტივალის მასპინძლობისთვის ბრძოლაში გავიმარჯვეთ. მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დავიწყეთ, თუმცა კიდევ ბევრი რამეა გასაკეთებელი და ასაშენებელი, რათა ესოდენ დიდ სპორტულ ღონისძიებას კარგად ვუმასპინძლოთ. ეს იმის გარანტია იქნება, რომ მომავალში ქალაქი მზად იქნება კიდევ უფრო დიდი მასშტაბის სპორტული შეჯიბრებების ჩასატარებლად. აქ იგულისხმება ქალაქი მთელი თავისი ატრიბუტიკით - აეროპორტი, სასტუმროები, სპორტული ბაზები, ყველაზე მთავარი - 5 000-მდე მომზადებული მოხალისე, რომელიც მასპინძლობას გაუწევს ფესტივალს. კიდევ ერთხელ გილოცავთ, რადგან ეს მთელი ქალაქის, მთელი ქვეყნის გამარჯვებაა. ადამიანი იმედით ცოცხლობს, ეს ფესტივალი კი ჩვენი ქვეყნის წარმატების საწინდარია“.*

პრეზენტაციაზე ფესტივალის ჰიმნი დუეტმა „ჯორჯიამ“ შეასრულა **მაკა ზამბახიძისა** და **რატი დურგლიშვილის** შემადგენლობით. ისინი ამ თამაშების საარჩევნო მარათონშიც აქტიურად იყვნენ ჩართულები და ჰიმნსაც კარგად იცნობენ - ეს იმ ინგლისური ტექსტის გადმოქართულებული ვარიანტია, რომელიც მათ ბელგრადში საარჩევნო კამპანიისას შეასრულეს. ღონისძიების წამყვანმა **დიმა ობოლაძემ** ფესტივალის ელჩები, 11 ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი წარადგინა: **მზია ჯუღელი, ქეთევან ლოსაბერიძე, დავით გობეჯიშვილი, დავით ხახალეიშვილი, გიორგი ასანიძე, ვაჟა კაჭარავა, რაფაელ ჩიმიშკიანი, რობერტ შავლაყაძე, რომან რურუა, მანუჩარ კვირკველია** და **კახი კახიაშვილი**. ფესტივალის ლოგო ხუთ ოლიმპიურ ფერშია გადაწყვეტილი. ამგვარადვე იყვნენ შემოსილები და ამავე ფერის საჰაერო ბურთებით შეიარაღებული ღონისძიებაში მონაწილე ბავშვებიც. პრეზენტაციის დასასრულს მათ ეს ბურთები ჰაერში გაუშვეს, თვითონ კი ვარდების მოედნიდან თავისუფლების მოედნამდე ოლიმპიურ გარბენში ჩაებნენ, რომელშიც მაღალჩინოსნებიც მონაწილეობდნენ.

**ირაკლი თავაძე**

ოლიმპიზმი

# ათენიდან-ლონდონამდე ქუთაისის გალერეაში



ოლიმპიური თამაშების წარმოშობის ისტორიული ექსკურსით იწყება ქუთაისის სამხატვრო გალერეაში ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადისადმი მიძღვნილი გამოფენა „ათენიდან - ლონდონამდე", რომელიც ქუთაისის სპორტული მუზეუმის ხელმძღვანელის, ცნობილი მკვლევარის **ზურაბ ჯავახაძის** თაოსნობით მოეწყო. ოლიმპიადებზე ქართველი სპორტსმენების მონაწილეობის ამსახველ ფოტოებთან ერთად გამოფენაზე წარმოდგენილია მუზეუმში დაცული სხვადასხვა ექსპონატი. აქვეა გამოფენილი ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე ქვეყნების მონეტების კოლექცია. ცალკე კუთხე აქვს დათმობილი თემას „სპორტი და პოლიტიკა“, სადაც ყურადღებას მსოფლიოს ორი დიდი დიქტატორის, სტალინისა და ჰიტლერის ფოტოებიც იპყრობს. ზურაბ ჯავახაძემ გალერიის კედლებზე მათი მოხვედრა საინტერესო ისტორიას დაუკავშირა: „1936 წლის ბერლინის XI ოლიმპიადაზე ორგანიზატორებმა ჰიტლერის მითითებით ყველაფერი იღონეს, რომ დიდი სპორტული ფორუმი არიული რასის ფიზიკური სრულყოფილების დემონსტრირებად ექციათ. გერმანელებმა ყველას აჯობეს არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში, მაგრამ ბერლინის თამაშების გმირად შავკანიანი ამერიკელი სპორტსმენი ჯესი ოუნსი იქცა, რომელმაც მძლეოსნობაში 4 ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა. ჰიტლერის გაცოფებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ყოველი მედლის მიღების შემდეგ ზანგ სპორტსმენს გამარჯვებას ულოცავდა. წონასწორობა დაკარგული ფიურერი, სამჯერ მილოცვის შემდეგ სასწრაფოდ გაშორდა ოლიმპიურ ჩემპიონს. რაც შეეხება სტალინს, მან 1948 წლის ლონდონის ოლიმპიადაზე სსრკ-ის ნაკრების გამოსვლაზე შემდეგი მიზეზით თქვა უარი: ფაშიზმზე გამარჯვების შემდეგ მსოფლიოში უძლიერესი ქვეყნის სახელი დავიმკვიდრეთ, ოლიმპიადაზე მარცხი კი ჩვენს ავტორიტეტს შელახავს, ამიტომ კარგად მოემზადეთ და მომდევნო ოლიმპიურ თამაშებზე იასპარეზეთო"...

ზურაბ ჯავახაძის თქმით, ამ გამოფენის უპირველესი მიზანი ოლიმპიური თამაშების ისტორიის შესახებ საზოგადოების ინფორმირებაა. „გამოფენას ბევრი დამთვალიერებელი სტუმრობს, მათ შორის უცხოელებიც." –აღნიშნა ზურაბ ჯავახაძემ.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

კრივი

# ჭაბუკების ევროპა




ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გრძელდება ჭაბუკ მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს რვა წარმომადგენელი ჩაება. ოთხდღიანი პაექრობების შემდეგ ბულგარულ რინგს ჩვენებურთაგან მხოლოდ ორი სპორტსმენი შემორჩა. 52 კილოგრამ წონით კატეგორიაში **გიორგი ცისკარიშვილმა** პირველ წრეში ალბანელი რექსჰილო ზენელი დაამარცხა 11:6, მეორეში ინგლისელ პეტერ მაკგრეილთან ფრედ - 8:8 დაამთავრა შეხვედრა. მსაჯების გადაწყვეტილებით გამარჯვება ქართველ მოკრივეს მიეკუთვნა. დღეს იგი რუსი ჯაბრაილ ვიზირხანოვის მძლეველ (15:8) სომეხს - ერიკ პეტროსიანს დაუპირისპირდება.

დღეს გავა რინგზე 63 კილოში **ნუკრი ადამიაც**, რომელმაც მეორე წრეში (პირველში ისვენებდა) ერიკ ჟერმაკს (პოლონეთი) აჯობა - 14:11. ჩვენებურს მეტოქეობას გაუწევს თურქი ოგულქან ოზთურქი. ამ უკანასკნელმა რუმინელი ნინელ ჯორჯე ჩამოიშორა გზიდან - 12:6.

პირველ წრეში წარმატებით იასპარეზა **შოთა ვაჩაძემ** (48 კგ) - ფრანგ აიმერ ტრენერს მოუგო - 15:5, მაგრამ გუშინ სულეიმან ბამატოვს (რუსეთი) დანებდა 6:15 და მაყურებლებში გადაინაცვლა. მისი ბედი კიდევ ხუთმა ქართველმა მოკრივემ გაიზიარა: **ბადრი ნიფურია** (46) - პაულ კრუგერი (გერმანია) 4:12, **ლაშა გურული** (50) - ბრანდონ დაორდი (ინგლისი) 5:11, **აჩიკო ტურავა** (57) - არკადი პლემენიჩენკო (რუსეთი) 9:14, **თეიმურაზ ჩხეიძე** (60) - დენის პესოტსკი (უკრაინა) 12:20, **ბექა დანელია** (66) - არტურ კრიჟანოვსკი (გერმანია) - შეხვედრა მე-3 რაუნდში შეწყდა ალემანის აშკარა უპირატესობის გამო.

**ვაჟა დანელია**

მხატვრული ტანვარჯიში

# სალომე ფაჟავამ ესპანეთში იყოჩაღა


სალომე ფაჟავა

მეოცე საუკუნის მწვრთნელის - **ნელი სალაძის** მხატვრული ტანვარჯიშის აკადემიის აღსაზრდელებმა ამ დღეებში ესპანეთისა და თურქეთის საერთაშორისო ტურნირებში წარმატებით იასპარეზეს.

უკრაინელი მსოფლიოს ჩემპიონი ელენა ვიტრიჩენკო კარგა ხანია, ესპანეთში ცხოვრობს, სადაც მან წლეულს მესამედ ჩაატარა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრებაში 10 ქვეყნის 30 კლუბის 130-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა სხვადასხვა ასაკში. 1997 წელს დაბადებულთა შორის თავი გამოიჩინა გუნდურში წლევანდელი ევროპის პირველობის ბრინჯაოს პრიზიორმა **სალომე ფაჟავამ** (მწვრთნელები - **ელისო ბედოშვილი, ინგა საკაშვილი, ლალი დოლიძე**). მრავალჭიდში სალომემ პირველი ადგილი დაიკავა. მეორე-მესამე ადგილები ადარ ელჰაიკმა (ისრაელი) და იანა სლობოდსკაიამ (რუსეთი, ომსკი) გაინაწილეს. საგულისხმოა, რომ ფაჟავამ რგოლით, ბაფთითა და გურზებით ვარჯიშშიც ოქროს მედლები მოიპოვა.

- რგოლითა და გურზებით გამოსვლისას ორ-ორჯერ მომიწია სარბიელზე გასვლამ, - მითხრა ესპანეთიდან დაბრუნებულმა სალომემ. - ტექნიკამ გვიმტყუნა - ვარჯიშების დაწყებისას მუსიკა ორჯერ შეწყდა და კარგა ხანს ველოდი მის ჩართვას. ტექნიკური ხარვეზების მიუხედავად, ორივე სახეობაში პროგრამები უნაკლოდ შევასრულე და პირველი ადგილები დავიკავე.

15-წლიანებში გურზებით ბრინჯაოს მედალი ერგო **ანა ზუმბულიძეს**. მრავალჭიდში მან მე-5 ადგილი დაიკავა, 1998 წელს დაბადებულებში მე-4 ადგილზე გავიდა **სალომე ურუშაძე**, არადა, როგორც ინგა საკაშვილმა გვითხრა, პირველი დღის შემდეგ მხოლოდ ლიდერს ჩამორჩებოდა.

სტამბოლის საერთაშორისო ტურნირში ექვსი ტანმოვარჯიშე ცდიდა ძალებს. მათგან 12 წლის **მარინე კაკაბაძე** გამოირჩა - სახტუნაოთი პირველი ადგილი დაიკავა. ამავე საგნით 10-წლიანებში მესამე იყო მისი და - **ირინე კაკაბაძე**, **ნატა თაბაგარს** კი მე-2 ადგილი ერგო. 9-წლიანებში ვერცხლის მედლით დაკმაყოფილდა **სალომე ოქროპირიძე**. 1999 წელს დაბადებულთა შორის **ნინი როხვაძე** მრავალჭიდში მე-3 ადგილზე გავიდა. 10 წლის **სალომე ოთარაშვილი** უსაგნოდ ვარჯიშში მე-5 ადგილს დასჯერდა.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# მსოფლიოს ორი საგზურისთვის

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება 20-წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა, რომელიც შესარჩევი შეჯიბრებაცაა - გამარჯვებულები თანატოლთა შორის მსოფლიოს ჩემპიონატში იასპარეზებენ.

გუშინ მეორე ტურში კვლავ უშელავათობით გამოირჩა გოგონათა პაექრობა - ექვსივე შეხვედრაში გამოვლინდა მოგებული: ლიკა კობეშავიძე-ანა შამათავა 0:1, ადა კაკუტია-ანა კუჭავა 0:1, მარიამ ჯავახიშვილი-ნანი უნაფქოშვილი 0:1, ნატო იმნაძე-თეა ჭოლაძე 1:0, დეა გოგიშვილი-ნინო გუმბერიძე 1:0, მარიამ ჭოლაძე-მაია მუმლაძე 1:0. ამდენად, ორი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ შამათავა, კუჭავა და უნაფქოშვილი დაწინაურდნენ. ვაჟებში ექვსი ოროსანი გვყავს - ზურაბ ჯავახაძე, ნიკოლოზ ქუმსიაშვილი, გიორგი ნიკოლაშვილი, შალვა ნადირაშვილი, ლევან ბრეგაძე და დიმიტრი კვარაცხელია, რომლებმაც, შესაბამისად, ალექსანდრე ებრალიძე, რევაზ ტეტუნაშვილი, ნინო ხომერიკი, აბდულ მამედოვი, ნოე თუთისანი და ბექა მოდრეკილაძე დაამარცხეს. ვაჟთა ტურნირში მოასპარეზე ქეთევან ხომერიკმა ალექსანდრე ხახუტაშვილს გააჩერებინა საათი. ნიკა ღვამბერია-ირაკლი ბერაძე და ირაკლი ჯანიაშვილი-გუგა ბურდული დაზავდნენ.

დღეს მე-3 ტურის შეხვედრები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

● საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები

# ფალშ სტარტი

**26 ივნისი, თბილისი**

**აკადემიას დარბაზი**

**საქართველო-ისრაელი 54:77**

21:18, 13:21, 10:11, 10:27

**საქართველო:** ტეტელაშვილი (2პ), ელიაძე, ფხაკაძე (3ქ, 3პ), სანაძე (16ქ, 4მ), ბოქოლიშვილი (8ქ, 3მ, 2პ), ლობჟანიძე (3ქ), მაჩალაძე, თენეიშვილი (3ქ, 3მ), ალხანაიძე (6ქ, 8მ), როგავა, ლომინეიშვილი (6ქ, 4მ), ბურჯანაძე (9ქ, 15მ).

**ისრაელი:** მაიორი (5ქ), აბრამოვიჩი (3ქ, 3პ), დაუსენი (11ქ, 8მ), დრაპიჩი, ლავიე (16ქ, 3პ), არიელქსი (4ქ, 3პ), ლევანოვსკი (4ქ, 6მ), კლინმილცი, ბლაიზერი (10ქ, 15მ, 4დ), ტიმორი (13ქ, 7მ, 7პ), ელიასპური (4ქ, 8მ), ალტიტი (7ქ, 9მ).

**მსაჯები:** დ. ბერეკაშვილი, ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი

54:77 - ეს ანგარიში გაზეთის მე-12 გვერდზე გადაფურცვლისთანავე თვალში გეცემათ. საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ისრაელთან შეხვედრა 23 ქულის სხვაობით დათმო. ეს იყო ჩვენი ახალგაზრდული გუნდის პირველი მატჩი ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების გზაზე. სტარტი არ გამოვიდა, იყო ფალშ სტარტი, რაც მძლეოსანთა ენაზე ნაჩქარევ დასაწყისს, არასწორ სტარტს ნიშნავს.

20-წლამდელებმა მართლაც ცუდად დაიწყეს, მაგრამ ჩვენი მიზანი სწორედ ისაა, მკითხველს ამის მიზეზი განვუმარტოთ. 54:77 წაგება რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა.



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

■ ■ ■

დავიწყოთ იქიდან, რომ შეხვედრა თბილისში იმართებოდა და ჩვენი ნაკრების კალათბურთელებს „აკადემიას" დარბაზში ახლობლები ქომაგობდნენ. მოთამაშეებს ძალიან სურდათ, თავი დადებითი კუთხით წარმოეჩინათ, რამაც შეხვედრის დასაწყისში მათი ნერვიულობა გამოიწვია (ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანდა ტრიბუნებიდან). მღელვარება კი შედეგს რომ არ გამოიღებს, ყველამ კარგად იცის. მაგალითად, ისრაელის ნაკრების წევრები პირველ წუთებზე ქართველთა დაბომბვას (ჩვენი გუნდი სამქულიანს სამქულიანზე აგდებდა) არ შეუშინდა და მშვიდად განაგრძო თამაში, მიჰყვა მწვრთნელის მითითებებს და უმთავრესად ქართველთა ფარქვეშიდან ცდილობდა ხეირის ნახვას. რა გამოუვიდა, ბოლოს მოგახსენებთ.

■ ■ ■

23-ქულიანი სხვაობით მარცხის მეორე, მთავარი მიზეზი მზადებაში უნდა ვეძებოთ. ჩვენი გუნდის მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა** თამაშამდე თქვა: ამჟამად ფიზმომზადებას გავდივართ და ისრაელთან თამაშებისას გუნდი სათანადო ფორმაში ვერ იქნებაო.

არ ვიცით, როგორ ემზადება ისრაელი, მაგრამ გუშინდელი შეხვედრის მიხედვით თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეტოქე ქართველებზე უკეთეს ფორმაშია. ისრაელის ნაკრები გაცილებით სხარტად მოქმედებდა და მეორე პერიოდის დასაწყისში, როცა სამხრეთელებმა ანგარიშში გაგვასწრეს, ნამდვილად ძნელი წარმოსადგენი იყო ქართველთა ისეთი ტრანსფორმაცია, მეორე ტაიმში თამაშის შემოტრიალებას რომ განაპირობებდა. სამწუხაროდ, ყველაზე ცუდად მეოთხე პერიოდი ჩავატარეთ და 10:27 დავმარცხდით.

მეორე ტაიმში დალმასვლას თავისი ობიექტური მიზეზი აქვს, რაზეც მთავარი მწვრთნელი დავით უსტიაშვილი მოგვახსენებს:

*- კმაყოფილი არ ვარ. ვიცოდი, რომ სეზონის პირველ თამაშში გაგვიჭირდებოდა. გუნდში ბევრი ახალი კალათბურთელია, რომელსაც ასეთ დონეზე თამაშის გამოცდილება არ აქვს და მომდევნო შეხვედრებში გაცილებით უკეთესად ითამაშებს. მთავარი, რაზეც ყურადღება უნდა გამახვილდეს, ისაა, რომ ჩვენი გუნდი ჯერ სათანადო ფორმაში არ არის, შეკრება „დინამოს" ბაზაზე გავიარეთ და დილა-საღამოს ვვარჯიშობდით. კალათბურთელები სერიოზულად იტვირთებოდნენ და გასაკვირი არაა, ისრაელთან მეორე ტაიმში დაღლა რომ დაეტყოთ. ამხანაგური შეხვედრების წინ დატვირთვების მოკლება საჭიროდ არ ჩავთვალეთ, რადგან ჩვენი მთავარი ამოცანაა, ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის იყოს სათანადო კონდიციებში. ევროპის ახალგაზრდული პირველობა კი 12 ივლისს იწყება.*



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

■ ■ ■

წაგებას კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა - ისრაელმა ფარქვეშ აშკარად გვაჯობა. სტატისტიკაზე ქვემოთ მოგახსენებთ, აქ კი გეტყვით, რომ ებრაელებს, მართალია, 210 სმ-ს აცილებული ერთი კალათბურთელიც არ ჰყავდათ, მაგრამ ციყვებივით დახტოდნენ, მოხსნას მოხსნაზე და დაფარებას დაფარებაზე აგროვებდნენ...

1992 წელს დაბადებულთა შორის საქართველოს ნაკრებში ყველაზე მაღალი 204 სმ სიმაღლის **ავთანდილ ლომინაშვილია**. არადა, იყო დრო, 20-წლამდელთა ნაკრებში 210 სმ-ს გადაცილებული არაერთი კალათბურთელი გვყავდა, 207-208 სმ-იანებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ცენტრის პოზიციაზე ერთმანეთს ლომინაშვილი და **ალხანაიძე** ცვლიდნენ. მძიმე ფორვარდის ამპლუაში კი **ბექა ბურჯანაძე** (1994 წელსაა დაბადებული) ირჯებოდა. საბოლოოდ ამ ტრიომ ბევრი იმუშავა და ბურთი 27-ჯერ მოხსნა, მაგრამ ეს წარმატებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

...ციფრებზე მომდევნო ქვეთავში დაწვრილებით მოგახსენებთ.

■ ■ ■

საქართველოს ნაკრებმა ბურთი 44-ჯერ მოხსნა, რაც 22-ით ნაკლებია ებრაელთა მონაგარზე. ჩვენმა სტუმრებმა 66-დან 26-ჯერ საქართველოს ნაკრების ფარზე მოხსნეს. ეს მეტად მაღალი მაჩვენებელია. ებრაელებს ასევე დიდი უპირატესობა ჰქონდათ სამწამიანი ზონიდან ტყორცნების რეალიზებაში - 44:18. ერთადერთი, რაშიც ისრაელს ვაჯობეთ, სამქულიანები იყო - 7:3. თუმცა, შვიდის ჩასაგდებად 33 ცდა დაგვჭირდა, მაშინ როცა სტუმრებმა სულ 16 სამიანი ისროლეს.

■ ■ ■

დღეს 19 საათზე საქართველოსა და ისრაელის ახალგაზრდული ნაკრებები ერთმანეთს მეორედ დაუპირისპირდებიან.

● საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები

# კადეტები ბელარუსით იწყებენ

საქართველოს კადეტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **გია კაზანჯიანის** ინტერვიუ ერთი კვირის წინათ შემოგთავაზეთ, სადაც იგი გუნდის მოსამზადებელ გეგმაზე ლაპარაკობდა. გუნდის სრულ შემადგენლობას მოგვიანებით გაგაცნობთო, დაგვპირდა. ჰოდა, გუშინ კალათბურთის ფედერაციის საიტზე გამოქვეყნდა 16-წლამდელთა ნაკრების 14-კაციანი სია.

ჩვენი კადეტები B დივიზიონში საასპარეზოდ მზადებას ბელარუსით იწყებენ. ისინი გუშინ მინსკში გაფრინდნენ, სადაც ბელარუს 16-წლამდელებთან 27 და 28 ივნისს ორ საკონტროლო მატჩს გამართავენ. ქართველები შინ 29 ივლისს დაბრუნდებიან და 1 ივლისს სლოვაკეთისკენ აიღებენ გეზს, სადაც სამ საკონტროლო მატჩს გამართავენ.

რაც შეეხება უშუალოდ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის (B დივიზიონი) მატჩებს, წლეულს მათ რუმინეთის დედაქალაქი ბუქარესტი უმასპინძლებს. საქართველო, ტურნირის მასპინძელ რუმინეთთან, ჩერნოგორიასთან, ბოსნიასა და ესტონეთთან ერთად C ჯგუფში იასპარეზებს. ქვეჯგუფში პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები ფინალური ეტაპის საგზურისთვის ბრძოლას გააგრძელებენ. B დივიზიონის 2 საუკეთესო გუნდი ფინალური ეტაპის საგზურს მიიღებს.

**საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები**

1. ლუკა ზაქრაძე (თსუ)
2. ლევან გოგოლაძე (ორბი-კარდინალი)
3. იური ხალათიანი (ზაზა)
4. დათო ლომიძე (ავერსი)
5. ლევან მასხულია (აკადემია)
6. ნუგზარ ტაბაღუა (რუსთავი)
7. სოსო მაჭავარიანი (სოხუმი)
8. თემურ პეტრიაშვილი (აკადემია)
9. ვახტანგ ქვარაია (ავერსი)
10. მაიზერ რევაზაშვილი (მაკაბი)
11. გიორგი გუგეშაშვილი (ორბი-კარდინალი)
12. დათო მაჭარაძე (ქუთაისი)
13. დიმიტრი ბობილევი (ორბი-კარდინალი)
14. ვილი ისიანი (შსს აკადემია)

***მთავარი მწვრთნელი:** გია კაზანჯიანი*

***ასისტენტები:** ირაკლი ტომარაძე, დიმიტრი ყაკობოვი*

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



მსოფლიოს ალაფი



# იაპონია ისევ დაუძლეველი ბარიერია

**საქართველო-იაპონია 33:36**

საქართველო. 15. საბა ნიკოლავა, 14. ზურაბ ძნელაძე, 13. მერაბ შარიქაძე, 12. გიგა გაგოშვილი, 11. ლევან გაგოშვილი, 10. გოდერძი ჭინჭარაული, 9. ვაჟა ხუციშვილი. 1. გიორგი თეთრაშვილი, 2. ვაჟა თაგაური, 3. ზაზა ნავროზაშვილი, 4. მინდია ელგუჯაური, 5. სანდრო ქოიავა, 6. ელგუჯა სურგულაძე, 7. ბექა მამრიკიშვილი, 8. ლაშა ლომიძე.

16. არჩილ ბეჟიაშვილი, 17. დავით ხიდეშელი, 18. ვახტანგ ახობაძე, 19. გურამ შენგელია, 20. გიორგი მისრიაშვილი, 21. გიორგი ბასილაია, 22. თამაზ მჭედლიძე.

5ლ: ძნელაძე (2), ხიდეშელი (2), სურგულაძე. 5გ: ნიკოლავა (2), მჭედლიძე (2).

სინბინი: ჭინჭარაული.

„მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის" ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში საქართველოს ნაკრებმა იაპონიის გუნდს ვერაფერი დააკლო და 33:36 დამარცხდა. შესაბამისად, ფინალში, რომელშიც გამარჯვებული მომავალ წელს საფრანგეთში გასამართი მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის საგზურს მოიპოვებს, იაპონიის ნაკრები გავიდა.

„ყველაზე მეტად ის მაღელვებს, რომ განვლილ მატჩებში მეტოქეებს ძალიან იოლად ვაძლევდით ჩვენი ჩათვლის მოედანში შეღწევის უფლებას. როგორც ჩანს, მეტი უნდა ვიმუშაოთ დაცვაში თამაშის დახვეწასა და ბოჭვების ხარისხზე. ჩვენი თამაშის ინტენსივობა მთელი მატჩის განმავლობაში უნდა იყოს ასი პროცენტი. წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმიერი გუნდის დამარცხება გაგვიჭირდება" - თქვა მატჩის წინ იაპონიის ნაკრების მწვრთნელმა **რუძი აკატაკემ.**

როგორც ჩანს, ჩვენი მეტოქის თავკაცმა სერიოზული სამუშაო ჩაატარა. ყოველ შემთხვევაში, ამომავალი მზის ქვეყნის შვილები იმ გუნდს, რომელმაც პირველ ორ მატჩში ზიმბაბვესა და კანადას გაჭირვებით მოუგო, არაფრით ჰგავდა.

თამაში ჩვენმა მორაგბეებმა აქტიურად დაიწყეს და პირველივე შეტევა მე-5 წუთზე ლელოთი დაასრულეს. შერკინება იაპონიის ნაკრების სასარგებლოდ მათსავე 22-მეტრიან ზონაში დაინიშნა. „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა" მეტოქე აშკარად დაჯაბნეს, ბურთი აართვეს და მესამეხაზელმა **ლაშა ლომიძემ** ათი მეტრი გაიარა. მორკინალთა ორი მოკლე დარტყმის შემდეგ ცხრა ნომერმა **ვაჟა ხუციშვილმა** მარცხენა, გრძელ ფრთაზე გაათამაშა და კიდესთან ახლოს გარემარბმა **ზურაბ ძნელაძემ** ლელო გაიტანა. ფულბეკმა **საბა ნიკოლავამ** ვერ გარდასახა - 5:0.

ამის შემდეგ პირველი ტაიმის ბოლომდე უპირატესობას იაპონელები ფლობდნენ. მათ ოთხი ლელო გაგვიტანეს, რომელთაგან სამი გარდასახეს და ერთი საჯარიმოც ზედ მიაყოლეს. შედეგად პირველი ნახევარი მეტოქემ 24 ქულის სხვაობით - 29:5 მოგვიგო.

ვერ ვიტყვით, რომ იაპონელებმა დაცვაში თამაში გამოაკეთეს და ამიტომ დაგვჩაგრეს. არა, დაცვაში გარჯა მათ არც დასჭირვებიათ. ჩვენმა მორაგბეებმა საკუთარი დერეფანი ხუთჯერ წააგეს, რამდენჯერმე შეტევისას ბურთი ხელიდან გაუვარდათ და შესაბამისად იაპონიის ნაკრები სულ შეტევაში იყო.

იმის თქმაც არ შეიძლება, რომ ისინი რაიმე განსაკუთრებულს აკეთებდნენ, ძალიან მარტივად, ბურთი ფეხით ჩვენი მოედნის ნახევარზე გადმოჰქონდათ. დერეფანს სუფთად იგებდნენ, მოლის მიძალების შემდეგ მორკინალები მოკლე დარტყმებს ახორციელებდნენ და ჩვენს მორაგბეებს გვარიანად რომ მოღლიდნენ და რაკში უხვად ჩაითრევდნენ, ბურთს ხაზზე უშვებდნენ. ასე გაგვიტანეს თითქმის ოთხივე ლელო.

მეორე ტაიმი, პირველის მსგავსად ისევ კარგად დავიწყეთ და ორ წუთში იაპონელთა ჩათვლის მოედნის ალება შევძელით. მოედნის ცენტრში მორკინალთა რამდენიმე მოკლე დარტყმის შემდეგ მეტოქის ხაზი **ელგუჯა სურგულაძემ** გაჭრა და ბურთი ფულბეკ საბა ნიკოლავას გაატანა, ამას გარემარბი ზურაბ ძნელაძე წამოეშველა და მეორე ლელო მიითვალა. ნიკოლავამ ამჯერად გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 12:29.

ეს ანგარიში 65-ე წუთამდე შენარჩუნდა. „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა" მეტოქის 22-მეტრიან ზონასთან აუტი მოიგეს და მოლი შეკრეს, თხუთმეტი მეტრი გაიარეს და სურგულაძემ მოულოდნელად მოკლე ფრთიდან შეუტია. მისი შეჩერება მეტოქემ ვერ მოახერხა, ნიკოლავამ გარდასახა - 19:29.

თამაშის გადარჩენის შანსი გაჩნდა, თუმცა იაპონელებმა ერთ წუთში საპასუხო ლელო გაგვიტანეს, რაც როგორც მოგვიანებით გაირკვა, ჩვენი გუნდისთვის საბედისწერო გამოდგა - 36:19.

მატჩის დასრულებამდე დარჩენილ დროში შეცვლაზე შესულმა შერკინების კვაჭმა **დავით ხიდეშელმა** იყოჩაღა, ორი ლელო გაიტანა. აქედან ერთი - ბოლო წუთზე. ასევე შეცვლაზე შესულმა შუამარბმა **თამაზ მჭედლიძემ** კი ორივე გარდასახა და მატჩი სამი ქულის სხვაობით დავთმეთ - 33:36.

**A ჯგუფი**

კანადა-ზიმბაბვე 66:45

**სატურნირო მდგომარეობა**

1. იაპონია - 15 ქულა, 2. საქართველო - 10, 3. კანადა - 7, 4. ზიმბაბვე - 2.

**30 ივნისი**

**VII ადგილისთვის**

ზიმბაბვე-რუსეთი

**V ადგილისთვის**

კანადა-ჩილე

**III ადგილისთვის**

ტონგა-საქართველო

**ფინალი**

იაპონია-აშშ

ჭაბუკთა ლიგა

# რვიდან შვიდი ცნობილია

**საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა B ლიგაში XI ტურის მატჩებით გათამაშების პირველი ეტაპი დასრულდა. ჯერჯერობით გარკვეული ოთხიდან მხოლოდ სამი გუნდის ვინაობაა, რომლებიც შემოდგომის დადგომისთანავე დასავლეთ ზონაში გამარჯვებულებს შეუერთდებიან და პირველობისთვის ბრძოლას განაგრძობენ.**

მეოთხე გუნდის ვინაობის გაურკვევლობა კი იმ ინციდენტმა გამოიწვია, რომელიც A ჯგუფში თბილისის „ლელოს" პირველ გუნდსა და „არმიას" შორის მატჩში მოხდა. თამაშის 56-ე წუთზე, როცა ლელოელები 9:0 იგებდნენ, მოედანზე ჩხუბი ატყდა. მატჩის არბიტრმა კომისართან ერთად გადაწყვიტა, რომ თამაშის გაგრძელება შეუძლებელია და შეხვედრა ჩაიშალა. აღსანიშნავია, რომ „ლელო 1"-ს გამარჯვება სატურნირო თვალსაზრისით არაფერს აძლევდა, „არმიას" კი შემდეგ ეტაპზე გასასვლელად აუცილებლად უნდა მოეგო.

თამაშის პერიპეტიებზე უახლოეს დღეებში საქართველოს რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტი იმსჯელებს და ვერდიქტსაც გამოიტანს.

A ჯგუფში პირველობა არავის დაუთმო თბილისის „ჯიქებმა", რომელმაც ბოლო ტურში „ლელო 2" დაამარცხა - 129:3 და 44 ქულა დააგროვა. „ჯიქები" პლეი-ოფში ითამაშებენ.

დღეისათვის სატურნირო ცხრილის მე-2 საფეხური უკავია რუსთავის „ხარებს", რომელმაც შინ სძლია პატარძეულის „ვეფხვებს" 62:0. რუსთაველებს 42 ქულა აქვთ, მათ ერთი ქულით ჩამორჩება „არმია", თუმცა თუ სადისციპლინო კომიტეტმა არმიელები დასაჯა, მაშინ შემდეგ ეტაპზე ასპარეზობას „ხარები" განაგრძობენ.

ამავე ჯგუფში თბილისის „ტორნადო" მშრალი ანგარიშით დამარცხდა თბილისის „ყოჩებთან" - 0:28. გათამაშების დებიუტანტმა თბილისის „ჯვაროსნებმა" შარშანდელი ტურნირის ფავორიტ თბილისის „ივერიას" მოუგო - 29:20.

**B ლიგა**

**აღმოსავლეთი ზონა**

**A ჯგუფი**

ჯვაროსნები-ივერია 29:20, ხარები-ვეფხვები 62:0, ტორნადო-ყოჩები 0:28, ჯიქები-ლელო 2 129:3, არმია-ლელო 1 (ჩაიშალა).

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ჯიქები - 44 ქულა, 2. ხარები - 42, 3. არმია - 41, 4. ყოჩები - 30, 5. ლელო 1 - 29, 6. ჯვაროსნები - 23, 7. ტორნადო - 21, 8. ივერია - 20, 9. ლელო 2 - 9, 10. ვეფხვები - 5, 11. მუტრუკები - 0.

B ჯგუფიდან მეორე ეტაპზე თბილისური გუნდები, „აკადემია" და „ხულიგანა" გავიდნენ. აკადემიელებმა ტურნირი მხოლოდ ერთი წაგებით დაასრულეს და 44 ქულა დააგროვეს. ბოლო ტურში მათ შინ დიდი ანგარიშით 101:0 მოუგეს კასპის „თსუ ლომებს". „ხულიგანამ" კი, რომელიც ჯგუფის გამარჯვებულს ქულით ჩამორჩამ კიდევ უფრო გამანადგურებელი ანგარიშით სძლია დებიუტანტი თბილისის „ჩოხოსნები" - 156:0.

აღსანიშნავია, რომ „ხულიგანას" მსგავსად 43 ქულა დააგროვა თბილისის „არმაზმაც", თუმცა ვინაიდან ურთიერთშეხვედრაში „ხულიგანამ" 35:11 აჯობა, უპირატესობაც მას მიენიჭა. არმაზელებმა ბოლო ტურში უშანსოდ დატოვეს გათამაშების დებიუტანტი „წიქარა" - 138:3.

ამავე ჯგუფში თბილისის „თიბისიმ" დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა დედოფლისწყაროს „მიმინო" - 7:5. გურჯაანის „კახები" კი შინ დამარცხდნენ თბილისის „ლოკომოტივის" მეორე გუნდთან - 14:20.

**B ჯგუფი**

აკადემია-თსუ ლომები 101:0, წიქარა-არმაზი 3:138, ჩოხოსნები-ხულიგანა 0:156, თიბისი-მიმინო 7:5, კახები-ლოკომოტივი 2 14:20.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. აკადემია - 44 ქულა, 2. ხულიგანა - 43, 3. არმაზი - 43, 4. ლოკომოტივი 1 - 37, 5. კახები - 25, 6. მიმინო - 19, 7. თიბისი - 16, 8. თსუ ლომები - 15, 9. ჩოხოსნები - 14, 10. ლოკომოტივი 2 - 9, 11. წიქარა - 0.

შეგახსენებთ, რომ დასავლეთ ზონიდან შემდეგ ჯგუფურ ეტაპზე ქუთაისის სამი გუნდი და ფოთის „რაინდები" გავიდნენ. შეჯიბრება პირველ სექტემბერს დაიწყება. რვა გუნდი ორ ჯგუფად გაიყოფა და ორწრიანი დაპირისპირების შემდეგ ჩემპიონის ვინაობას ორ-ორი საუკეთესო პლეი ოფში გაარკვევს.



ტესტების გამოძახილი

# მაქოას სურს ფლანკერად დარჩეს

**ივნისის ტესტების ბოლო მატჩში ახალი ზელანდიის ნაკრებმა ირლანდიის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ ითამაშა და დიდი ანგარიშით 60:0 მოუგო.**

ასეთი დონის მატჩისთვის უცნაური ანგარიშის გარდა, უჩვეულო ისიც იყო, რომ „ოლ ბლექსის" ლიდერმა და კაპიტანმა, **რიჩი მაქოამ,** რომელმაც ეროვნულ გუნდში 106 კეპი მოიხვეჭა, რვა ნომრის პოზიციაზე ითამაშა. ცხადია, ეს მწვრთნელის მიერ მოფიქრებული ტაქტიკური გადაადგილება არ იყო. უბრალოდ, ამ პოზიციაზე მოთამაშე **კირან რიდი** ტრავმირებული გახლდათ და მთავარმა მწვრთნელმა **სტივ ჰანსენმა** მის ნაცვლად მაქოას დაყენება გადაწყვიტა. გაუმართლა კიდეც. მან ახალგაზრდა **სემ კენს** საშუალება მისცა ფლანკერად ეთამაშა, რომელსაც ნაკრებში შესანიშნავი დებიუტი ჰქონდა.

მატჩის შემდეგ რიჩის კლუბის, ქრაისთჩერჩის „კრუსეიდრზის" მთავარი მწვრთნელი **ტოდ ბლეკედერი** საგონებელში ჩავარდა. ის მაქოას შვიდი ნომრის პოზიციიდან, საპირისპირო მხარეს, ექვს ნომერზე გადაყვანას აპირებდა და ახლა აღარ იცის, როგორ მოიქცეს. გამოსავალი დამრიგებელს ისევ მაქოამ მოუძებნა.

„არ მინდა ამპლუა შევიცვალო. ისევ ფლანკერად მინდა ვითამაშო. ამ პოზიციაზე ასპარეზობისას ხომ ორჯერ მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშედ დამასახელეს.

გასულ უქმეებზე კირან რიდი ტრავმირებული იყო და სხვა გზა არ მქონდა, უნდა შემეცვალა. ყოველთვის ვამბობდი, რომ ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც ეს გუნდისთვის იქნება უკეთესი. ამიტომაც ვითამაშე ირლანდიასთან რვა ნომერზე. მინდა მომავალში ისევ ფლანკერი ვიყო, რადგან სწორედ ამ პოზიციაზე შემიძლია გუნდს ყველაზე მეტი სარგებლობა მოვუტანო.

ცხადია, რვა ნომერზე თამაშისას ცოტა განსხვავებული ემოცია მქონდა. არ ვიყავი მიჩვეული იმ სათამაშო უნარებს, რაც შერკინების შემკვრელს სჭირდება. ისე კი, მინდა გულახდილად ვთქვა, რომ ძალიან მომეწონა. დიდი სიამოვნება მივიღე, მით უფრო, რომ მეტოქეს დიდი ანგარიშით ვძლიეთ.

საინტერესოა, რომ ლიამ მესამთან და სემ კენთან ერთად მესამე ხაზში პირველად ვითამაშე. ამიტომ ცოტა მეტი დრო დაგვჭირდა საიმისოდ, რომ ერთმანეთის გაგვეგო, შევთამაშებულიყავით. ვფიქრობ, საბოლოოდ ცუდად არ გამოვიყურებოდით".


რიჩი მაქოა

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

● ფორმულა 1. ევროპის გრანპრის შემდეგ



ფერნანდო ალონსო

# ვალენსია: გმირები და ანტიგმირები

ნული ქულა **სებასტიან ფეტელისთვის** - ეს ევროპის გრანპრიზე დაფიქსირებული ყველაზე უცნაური შედეგია. კვალიფიკაციაში ულაპარაკო გამარჯვება ტექნიკურ პრობლემებსა და რბოლიდან გავარდნაში გადაიზარდა, რაც თანამედროვე ფორმულა 1-ში დიდი იშვიათობაა. საინტერესოა, რა განწყობით გავა ფეტელი შემდეგ რბოლაზე. ის უკვე დიდი ხანია არ ყოფილა ისეთ სიტუაციაში, როცა გარემოებები ადამიანზე მაღლა დგას. ერთი რამ ცხადია: ორი კვირის შემდეგ, სილვერსტოუნში სებასტიანი ერთ-ერთი ფავორიტი იქნება.

## გმირები

ვალენსიას ტრასაზე მე-11 ადგილიდან გამარჯვება მართლაც ფანტასტიკური შედეგია. თანაც, **ფერნანდო ალონსომ** მხოლოდ ერთი პოზიცია მოიგო ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე (მხედველობაში გვაქვს ფეტელის გავარდნა), დანარჩენ შემთხვევაში კი ესპანელი გასწრებებით მიიწევდა წინ. ამიტომაც ის გასული უქმეების მთავარი გმირია.

მეორე ადგილზეა „მისტერ სიმშვიდე". ეს მეტსახელი ფინელ **კიმი რაიკონენს** დიდი ხნის წინ შეარქვეს და რბოლაში ფინელმა ის გაამართლა. დღევანდელი რაიკონენი **ლუის ჰემილტონის** გაუმჯობესებულ ვერსიას წარმოადგენს: ასეთივე სწრაფი და მოხერხებული პილოტი, რომელიც ბრიტანელისგან განსხვავებით, ემოციებს ტრასის მიღმა ტოვებს. ისინი დიდი ხანი მოძრაობდნენ ერთად, მაგრამ კიმი შეტევაზე მხოლოდ მაშინ გადავიდა, როცა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ლუისს წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო.

გაგვახარეს ვეტერანებმა. **მარკ უებერმა**, როგორც ჩანს, უნდა სცადოს, რაც შეიძლება ცუდად გამოვიდეს კვალიფიკაციაში. ამის შემდეგ მას ძალიან წარმატებული რბოლები გამოსდის. ხასიათის სიმტკიცეში უებერს არანაირი პრობლემა არ აქვს - ბოლიდთან დაკავშირებულ პრობლემებს არ უმოქმედია მის საბრძოლო განწყობაზე. ძალიან დაეხმარა მარკს **მიხაელ შუმახერიც**, რომელმაც კარგი ხანი ატარა ავსტრალიელი.

თავად შუმის, რა თქმა უნდა, უებერის დახმარებაზე არ უფიქრია. გერმანელმა ლეგენდამ ბრწყინვალე რბოლა ჩაატარა, ბევრი გასწრება შეასრულა და მართალია, გამარჯვება ვერ მოიპოვა, მაგრამ პოდიუმიც კარგი ჯილდო გახდა მიხაელის მოთმინებისთვის.

## ანტიგმირები

ვალენსიაში იყო ძალიან ბევრი შეჯახება და საკამათო სიტუაცია, ამიტომაც ლოგიკურია ამ ინციდენტების გახსენება. ყველაზე სერიოზულ ავარიას ფინიშამდე ცოტა ხნით ადრე ჰქონდა ადგილი, როცა **პასტორ მალდონადომ** რბოლიდან გააგდო ლუის ჰემილტონი... ან ლუისი შეეჯახა პასტორს. სტიუარდებმა დამნაშავედ მალდონადო გამოაცხადეს, მაგრამ ამ შემთხვევაში სხვა რამ არის აღსანიშნავი. ჰემილტონმა იცოდა, რომ მისი ბოლიდის საბურავები წესრიგში არ იყო. ორი კვირის წინ, იმავე სიტუაციაში მყოფ ალონსოს თავი არ მოუკლავს, მშვიდად გაატარა კონკურენტები და ქულების ნაკლები რაოდენობით დაკმაყოფილდა. ჰემილტონმა კი თითქოს დაივიწყა, რომ ამ სეზონში შეიძლება ნებისმიერი წვრილმანი გადამწყვეტი იყოს. ლუისის მთავარი შეცდომა ის არის, რომ ავარიული სიტუაციის შექმნა დაუშვა.

**ჰეიკი კოვალაინენისა** და **ჟან-ერიკ ვერნის** შეჯახებაში ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, დამნაშავე იყო. ვერნმა ვერ შეაფასა სიტუაცია, რატომღაც მარჯვნივ მიმართა საჭე, რითაც რბოლა გაუფუჭა საკუთარ თავსა და ჰეიკის. უკვე ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ასეთი სუსტი გამოსვლების შემდეგ, ვერნმა, შესაძლოა, დაკარგოს ადგილი გუნდში.

ორ ინციდენტში მიიღო მონაწილეობა **კამუი კობაიაშიმ. ბრუნო სენასთან** შეჯახებაში დამნაშავედ ბრაზილიელი გამოაცხადეს, რომელსაც უბრალოდ დაავიწყდა სარკეში ჩახედვა. მოგვიანებით კი კობაიაშიმ სასჯელი მიიღო იმის გამო, ტრასიდან გადააგდო **ფელიპე მასა**. ასეთი მანევრი რომელიმე დაბალ სერიაში, შესაძლოა, მომხიბვლელად გამოჩენილიყო, მაგრამ ფორმულა 1-ში ეს დაუშვებელია. ამ ინციდენტის გამო იაპონელი სერიოზულად დაისაჯა: მომდევნო რბოლაში, რომელიც სილვერსტოუნში გაიმართება, კამუი სასტარტო ბილიკზე ხუთი საფეხურით დაიწევს უკან.

# საგულისხმო სტატისტიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგი ეტაპის შემდეგ, ცნობილმა ენციკლოპედიურმა ბაზამ - Forix-მა რამდენიმე საინტერესო სტატისტიკური მონაცემი შემოგვთავაზა.**

## ალონსოს გამარჯვება

- **ფერნანდო ალონსომ** კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ შეუძლია პრაქტიკულად უიმედო სიტუაციიდან რბოლის მოგება - ვალენსიაში სტარტი მე-11 პოზიციიდან აიღო. ფერნანდომ კარიერაში მეორედ მოიგო რბოლა იმ დროს, როცა სასტარტო ბილიკზე პირველი ათეულის მიღმა იმყოფებოდა. ასეთი რამ ფორმულა 1-ის ისტორიაში 26-ედ მოხდა.

- მართალია ალონსომ რბოლა მოიგო, მაგრამ ფერნანდომ ზედიზედ 31-ედ ვერ შეძლო პოულის მოპოვება. მან გაიმეორა კარიერაში ყველაზე გრძელი სერია პოულების გარეშე - ბელგია'07-დან და გერმანია'09-მდე.

- ალონსომ პირველად მოიგო საშინაო გრანპრი ბარსელონას 2006 წლის ეტაპის შემდეგ.

## კვალიფიკაცია

- **სებასტიან ფეტელმა** კარიერაში 33-ე პოული მოიპოვა და ამ მაჩვენებლით გაუთანაბრდა **ალენ პროსტსა** და **ჯიმ კლარკს**. ახლა, გერმანელი ამ დუეტთან მესამე-მეხუთე ადგილებს იყოფს. სებაზე ზემოთ არიან **აირტონ სენა** (65) და **მიხაელ შუმახერი** (68).

- **ლუის ჰემილტონმა** სეზონში მეხუთედ აიღო სტარტი პირველი რიგიდან.

- მე-19 ადგილი კვალიფიკაციაში - უარესი შედეგია **მარკ უებერისთვის** 2009 წლის იაპონიის გრანპრის შემდეგ. ვალენსიაში მარკმა იმდენივე პოზიცია მოიგო, რამდენიც შანხაიში წინა რბოლის დროს, როცა მე-18 ადგილიდან აიღო სტარტი და მესამეზე გავიდა.



ვალენსიის სტარტი

## რბოლა

- მიხაელ შუმახერმა შეწყვიტა თავის კარიერაში ყველაზე ხანგრძლივი სერია პოდიუმების გარეშე - ის 47 რბოლა გრძელდებოდა. დიდ სპორტში დაბრუნების შემდეგ პირველი პოდიუმი გერმანელისთვის 155-ეა კარიერაში.

- შუმიმ ვალენსიაში პოდიუმი 43 წლისა და 5 თვის ასაკში მოიპოვა - ის მე-12 ყველაზე ასაკოვანი პილოტია, ვინც პირველ სამეულში შეაღწია. რეკორდი ეკუთვნის **ლუიჯი ფაჯოლის** - მან 53 წლის ასაკში შეაღწია პირველ სამეულში.

- თუ კანადის გრანპრის პოდიუმზე ასული პილოტების (ჰემილტონი, **გროსჟანი, პერესი**) საშუალო ასაკი 25 წელი და 3 თვე იყო, ამჯერად პირველი სამეულის (ალონსო, **რაიკონენი**, შუმახერი) საშუალო ასაკი 35 წელი და 8 თვე გახლდათ. ისტორიაში ყველაზე ასაკოვანი პოდიუმი 1994 წელს, ავსტრალიაში დაფიქსირდა - **მენსელის, ბერგერისა** და **ბრანდლის** საშუალო ასაკში 37 წელსა და 3 თვეს შეადგენდა.

- ფინიშზე მეხუთე ადგილზე მისვლით, **ნიკო ჰიულკენბერგმა** კარიერაში საუკეთესო შედეგს მიაღწია. „ფორს ინდიას" პილოტებმა ჯამში 16 ქულა მოიპოვეს და ეს გუნდის ისტორიაში საუკეთესო მაჩვენებელია.

- **ნიკო როსბერგმა** კარიერაში მესამედ დააფიქსირა წრეზე საუკეთესო დრო. ეს მეცხრე საუკეთესო წრეა „მერსედესის" ისტორიაში.

- ზედიზედ ხუთი რბოლაა **ჯენსონ ბატონი** ვერ ახერხებს პოდიუმზე ასვლას. ასეთი უიღბლო სერია ბრიტანელს 2009 წლის შემდეგ არ ჰქონია. მაგრამ სწორედ მან გადაარჩინა რბოლა „მაკლარენისთვის" და გააგრძელა ამ გუნდის სერია 46 ეტაპამდე, როცა ის მინიმუმ ერთი ქულას მაინც ილებდა. ეს არის მეორე ყველაზე ხანგრძლივი სერიის გამეორება (ის „ფერარის" ეკუთვნის). რეკორდი კი ზედიზედ 55 შედეგიანი რბოლაა, რომელიც ასევე „ფერარის" საკუთრებაა.

- კორეის 2010 წლის რბოლის შემდეგ, „რედ ბულის" ბოლიდი პირველად გამოეთიშა ბრძოლას მექანიკური პრობლემების გამო - ფეტელის მანქანაზე ძრავა გამოვიდა მწყობრიდან. სებასტიანი ამ მიზეზით რბოლას 2009 წლის შემდეგ პირველად გამოეთიშა. ფეტელის განაწყენება გასაგებია - ბოლო ოთხ რბოლაში მისი მანქანა მაშინ გამოვიდა მწყობრიდან, როცა ის ლიდერობდა რბოლაში - ევროპა 2012, აბუ დაბი 2011, კორეა 2010 და ავსტრალია 2010.

# ფეტელი ფერარიში გადასულა?



მომავალი თანაგუნდელები



ტელეარხი Italia1 იტყობინება, რომ 2014 წელს „ფერარიში" **ფერნანდო ალონსოს** მეწყვილე **სებასტიან ფეტელი** იქნება. იტალიელი ჟურნალისტები ირწმუნებიან, რომ გერმანელმა უკვე გააფორმა სამწლიანი კონტრაქტი და იტალიურ საჯინიბოში 2016 წლის ბოლომდე დარჩება.

ფეტელის შესახებ ახალი ამბის გარდა, Italia1 ირწმუნება, რომ „ფერარიში" ჯერ არ იციან, ვინ იქნება ალონსოს მეწყვილე 2013 წელს. ერთი ვერსიით, „სკუდერიამ", შესაძლოა, კიდევ ერთი წლით დაიტოვოს **ფელიპე მასა**. მეორე ვარიანტი „რედ ბულის" პილოტის **მარკ უებერის** ტრანსფერს ითვალისწინებს.

ამასთან, ტელეარხი ასახელებს პილოტთა სავარაუდო ხელფასების ოდენობას. ფელიპე მასა ან მარკ უებერი 2013 წელს 5 მილიონ ევროს მიიღებენ, სებასტიან ფეტელის ხელფასი წელიწადში 15 მილიონი ევრო იქნება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

| | ავს | მალ | ჩინ | ბაჰ | ესპ | მონ | კან | ევრ | ბრიტ 08.07 | გერ 22.07 | უნგ 29.07 | ბელ 02.09 | იტა 09.09 | სინ 23.09 | იაპ 07.10 | კორ 14.10 | ინდ 28.10 | ა-დაბ 04.11 | აშშ 18.11 | ბრა 25.11 | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ალონსო** (ფერარი) | 10 | 25 | 2 | 6 | 18 | 15 | 10 | 25 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 111 |
| **უებერი** (რედ ბული) | 12 | 12 | 12 | 12 | -- | 25 | 6 | 12 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 91 |
| **ჰემილტონი** (მაკლარენი) | 15 | 15 | 15 | 4 | 4 | 10 | 25 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 88 |
| **ფეტელი** (რედ ბული) | 18 | -- | 10 | 25 | 8 | 12 | 12 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 85 |
| **როსბერგი** (მერსედესი) | -- | -- | 25 | 10 | 6 | 18 | 8 | 8 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 75 |
| **რაიკონენი** (ლოტუსი) | 6 | 10 | -- | 18 | 15 | 2 | 4 | 18 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 73 |
| **გროსჟანი** (ლოტუსი) | -- | -- | 8 | 15 | 12 | -- | 18 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 53 |
| **ბატონი** (მაკლარენი) | 25 | -- | 18 | -- | 2 | -- | -- | 4 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 49 |
| **პერესი** (ზაუბერი) | 4 | 18 | -- | -- | -- | -- | 15 | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 39 |
| **მალდონადო** (უილიამსი) | -- | -- | 4 | -- | 25 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 29 |
| **დი რესტა** (ფორს ინდია) | 1 | 6 | -- | 8 | -- | 6 | -- | 6 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 27 |
| **კობაიაში** (ზაუბერი) | 8 | -- | 1 | -- | 10 | -- | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 21 |
| **მ. შუმახერი** (მერსედესი) | -- | 1 | -- | 1 | -- | -- | -- | 15 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 17 |
| **ჰიულკენბერგი** (ფ-ინდია) | -- | 2 | -- | -- | 1 | 4 | -- | 10 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 17 |
| **სენა** (უილიამსი) | -- | 8 | 6 | -- | -- | 1 | -- | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 16 |
| **მასა** (ფერარი) | -- | -- | -- | 2 | -- | 8 | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 11 |
| **ვერნი** (ტორო როსო) | -- | 4 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 4 |
| **რიკარდო** (ტორო როსო) | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩოგბურთი

# ყვირილს ისევ ებრძვიან



მარია და ვიქტორია

ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ (WTA) დაიწყო ბრძოლა ქალი მოთამაშეების წინააღმდეგ, რომლებიც მატჩების ...როს ხმამაღლა ყვირიან. ამის შესახებ წერს გაზეთი USA ...oday.

საფრანგეთის ღია პირველობის დროს, პარიზში გაიმარ...ა მოლაპარაკებები WTA-ის, ჩოგბურთის საერთაშორისო ...ედერაციისა (ITF) და „დიდი სლემის" ტურნირების წარმო...ადგენლებს შორის. ამ შეხვედრის შემდეგ გადაწყდა, რომ ...ნდა შემოიღონ ხმაურის დასაშვები დონე, რომელიც შეიძ...ება ჩოგბურთელმა კორტზე გამოსცეს. ხმაურის დონის მა...ონტროლირებელი სპეციალური ხელსაწყო უახლოეს ...ერიოდში შეიქმნება.

სიახლის დანერგვას საბავშვო და იუნიორების ჩოგბურთ...ი აპირებენ, მოქმედ ქალ ჩოგბურთელებზე კი ის არ გავრ...ელდება. ასევე საჩოგბურთო აკადემიებისთვის შეიქმნება ...აგანმანათლებლო პროგრამა, რომელმაც ამ პრობლემას უნ...ა ებრძოლოს.

პირველად კორტზე ყვირილის წინააღმდეგ ბრძოლისთვის ...TA-ს 2012 წლის დასაწყისში მოუწოდეს. კერძოდ, **კაროლინ ვოზნიაცკიმ** და **აგნიეშკა რადვანსკამ** დაიჩივლეს **მარია შარაპოვასა** და **ვიქტორია აზარენკას** „ხმაურიანი" თამაშის სტილის გამო.

ვოზნიაცკის თქმით, ხმამაღალი ყვირილი არ აძლევს მეტოქის დარტყმის მომენტის დაფიქსირების საშუალებას, რაც ძალიან ართულებს საპასუხო დარტყმის მომზადებას. პასუხად აზარენკამ განაცხადა, რომ ბავშვობიდან ყვირის და არაფრის შეცვლას არ აპირებს.

# ...ტატისტიკა სერენას სასარგებლოდ


აგნიეშკა რადვანსკა

სტატისტიკოსებმა გამოითვალეს, რომ წლევანდელ უიმ...ლდონზე გამარჯვების კარგი შანსი აქვს **სერენა უილიამსს**. ...ასული წლების ტურნირებიდან გამომდინარე, ყოველთვის, ...როცა დები - **ვენუსი** და სერენა უიმბლდონზე წყვილთა თან...რიგში თამაშობდნენ, რომელიმე მათგანი აუცილებლად იმარ...ჯვებდა ერთეულთა თანრიგში. 2000, 2001, 2007 და 2008 წლებში ეს გააკეთა ვენუსმა, 2002, 2003, 2009 და 2010 წლებში - სერენამ.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ იმ სეზონებში, როცა დები წყვილებში გამოდიოდნენ, მათი რვა მარცხიდან ხუთი ერთმანეთში გამართულ შეხვედრებზე მოდის.

წლევანდელ უიმბლდონზე დებმა უილიამსებმა წყვილთა ტურნირშიც შეიტანეს განაცხადი. ბოლო მატჩი წყვილებში მათ 2010 წელს წააგეს.

■ ■ ■

კიდევ ერთი საინტერესო სტატისტიკური ფაქტი აღმოაჩინეს წლევანდელ უიმბლდონთან დაკავშირებით. როგორც ირკვევა, პოლონელი **აგნიეშკა რადვანსკა** WTA-ის რეიტინგის TOP15-ში ერთადერთი ჩოგბურთელია, ვისაც არასოდეს უთამაშია „დიდი სლემის" ტურნირების ნახევარფინალში, და ეს იმის მიუხედავად, რომ აგნიეშკა მსოფლიოს მესამე ჩოგანი გახლავთ.

პოლონელი სამჯერ იყო ავსტრალიის ღიას მეოთხედფინალში და ორჯერ ამავე ეტაპზე როლან გაროსზე ითამაშა, მაგრამ უფრო შორს წასვლა ვერ შეძლო.

მიმდინარე უიმბლდონზე რადვანსკამ პირველ რაუნდში სლოვაკი **მაგდალენა რიბარიკოვა** დაამარცხა და მეორე წრეში რუს **ელენა ვესნინას** შეხვდება.

● კრივი

# კლიჩკომ ტყუილი ამხილა

სუპერმძიმე წონაში WBC-ის ჩემპიონმა **ვიტალი კლიჩკომ** განაცხადა, რომ ჯერჯერობით არ არის გარკვეული მისი მომავალი ბრძოლის ჩატარების ადგილი და თარიღი. ამის შესახებ უკრაინული მედია იუწყება.

ადრე იტყობინებოდნენ, რომ უფროსი კლიჩკო პირველ სექტემბერს გამართავდა შეხვედრას სირიული წარმოშობის გერმანელთან **მანუელ ჩართან**. ამ უკანასკნელმა თავად განაცხადა, რომ მოაწერა ხელი კლიჩკოსთან ბრძოლის კონტრაქტს და შეხვედრა კიევის ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართებოდა.

მაგრამ ახლა უკრაინელი მოკრივე აცხადებს, რომ არ იცის სად ჩატარდება მისი მორიგი შეხვედრა. ამასთან ვიტალი ამბობს, რომ, როგორც კი კონკრეტული ინფორმაცია გაჩნდება, ის მაშინვე სპეციალურ პრესკონფერენციას მოიწვევს, სადაც გამოაცხადებს ბრძოლის თარიღსა და ადგილს.

ვარაუდობენ, რომ მომავალი ორთაბრძოლა ბოლო იქნება 40 წლის კლიჩკოს კარიერაში. ამის შემდეგ ის აპირებს სერიოზული ყურადღება მიაქციოს პოლიტიკურ კარიერას და მონაწილეობა მიიღოს უმაღლესი რადას არჩევნებში, რომელიც 28 ოქტომბერს უნდა გაიმართოს.


ვიტალი კლიჩკო

● ცურვა

# ლოხტე-ფელპსი 1:0



ლოხტე და ფელპსი გუშინდელი ფინიშის შემდეგ

აშშ-ის ქალაქ ომაჰაში დაიწყო ქვეყნის ჩემპიონატი, რომლის შედეგების მიხედვით უნდა დაკომპლექტდეს ამერიკის ნაკრების შემადგენლობა ლონდონის ოლიმპიური თამაშებისთვის.

პირველობის მთავარი ინტრიგა გახლავთ 14-გზის ოლიმპიური ჩემპიონის **მაიკლ ფელპსისა** და თანამედროვე ცურვის ახალი ლიდერის **რაიან ლოხტეს** დაპირისპირება. შეგახსენებთ, რომ ლოხტე 11 დისციპლინაში აპირებს ოლიმპიური საგზურის მოპოვებას, ფელპსი - შვიდში. ამასთან, აუზში მათი ინტერსები ექვსჯერ უნდა გადაიკვეთოს.

ჩემპიონატის პირველ დღეს ამ მოცურავეთა პირველი დუელი 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში შედგა და ის ლოხტეს გამარჯვებით დასრულდა. მისი დრო იყო 4 წუთი და 7,06 წამი, რაც მეორე ადგილზე გასული ფელპსის შედეგზე 83 მეასედი წამით უკეთესი იყო. ორივე მოცურავემ მოიპოვა ამ დისციპლინაში ლონდონში გამოსვლის უფლება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● კალათბურთი

# სუპერმენმა ჰიუსტონი აირჩია?

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის წამყვანი ცენტრი **დუაიტ ჰოვარდი** კვლავაც ვერ გარკვეულა თავისი მომავალი კარიერის შესახებ. ამჟამად, „ორლანდოს" ლიდერს ახალი ვარიანტი გამოუჩნდა - მან შეიძლება „ჰიუსტონში" გააგრძელოს გამოსვლა.

NBA-ის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, თუ დუაიტ ჰოვარდი გაცვლის შედეგად „როკეტსის" რიგებში აღმოჩნდა, იქ დიდხანს არ გაჩერდება. 2012-13 წლების სეზონის შემდეგ, თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებს და სავარაუდოდ, უფრო ამბიციურ გუნდში გადავა.

როგორც ამერიკელი ჟურნალისტები ვარაუდობენ, გუშინ, „ჰიუსტონის" მიერ განხორციელებული გაცვლა სწორედ „სუპერმენის" ხელში ჩაგდებას ემსახურება. „როკეტსის" ხელმძღვანელობამ ფორვარდი **ჩეიზ ბადინგერი** „მინესოტაში" გაუშვა, სანაცვლოდ კი 2012 წლის დრაფტზე მე-18 ნომრის არჩევანი მიიღო.

ახლა, „ჰიუსტონის" განკარგულებაშია დრაფტზე მე-14, მე-16 და მე-18 ნომრების არჩევის უფლება. სავარაუდოდ, ამ სამ არჩევანს გამოიყენებენ ტექსასელები ჰოვარდის გადასაბირებლად.

■ ■ ■

„დღეს, „ინდიანა პეისერსის" პრეზიდენტი **ლარი ბერდი** კლუბის მფლობელ **ჰერბ საიმონთან** შეხვედრას გეგმავს. ლეგენდარულ კალათბურთელს სურს გაარკვიოს თავისი მომავალი კლუბში", - წერს გაზეთი Usatoday.

ამ გამოცემის ჟურნალისტთა აზრით, სწორედ დღეს ლარი ბერდი გამოაცხადებს „ინდიანადან" წასვლის შესახებ.



დუაიტ ჰოვარდი

● ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ლუგანო-ციურიხი | 0:4 |
| ჰელიოსი-ნაფტოვიკი | 1:1 |
| ჰელსინგბორგი-ნორდსილანდი | 3:2 |
| ლეხი-ფლოტა | 3:1 |
| ბანიკი-კარპატი | 0:1 |
| ლუდოგორეცი-ასტრა | 1:0 |
| ზაგრები-პუბლიკუმი | 0:1 |
| სტ. გალენი-ვილი | 0:1 |
| ალუმინი-კრასნოდარი | 0:2 |
| შტურმი-ჰალადაში | 1:2 |
| უნტერჰახინგი-ბაზელი | 0:2 |
| ვინერი-ტრენჩინი | 3:1 |
| მუნსტერი-ბრონდბიუ | 0:1 |
| **ფინეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჰიფკ-სეინაიოენი | 0:4 |
| **ისლანდიის თასი** | |
| რეიკიავიკი-ბრეიდაბლიკი | 3:0 |
| ვიკინგური-ფილკირი | 2:1 |

| ირლანდია | |
|---|---|
| **ლიგის თასი** | |
| სლიგო-დერი | 4:0 |
| სტ. პატსი-შემროკი | 1:1 პენ. 2:4 |
| **ლატვია** | |
| დაუგავა-იურმალა | 2:0 |
| დაუგავა რიგა-სკონტო | 1:1 |
| **ლიტვა** | |
| ატლანტასი-ტაურასი | 0:5 |
| ბანგა-შიაულიაი | 0:1 |
| **ესტონეთი** | |
| სილამაე-ტამეკა | 2:0 |
| ტრანს ნარვა-ლევადია | 1:2 |
| ნომე-კურესაარე | 2:0 |
| პაიდე-კალევი | 1:0 |
| ფლორა-ვიილანდი | 5:0 |
| **პარაგვაი** | |
| სერო პორტენიო-ნასიონალი | 5:0 |
| დეპ. კარაპეგუა-ლიბერტადი | 2:2 |
| ინდეპენდიენტე-რუბიო ნუ | 1:0 |

● TV პროგრამა

**27 ივნისი. ოთხშაბათი**

**I არხი**

**22:45** ფეხბურთი. ევრო 2012. 1/2 ფინალი. პორტუგალია-ესპანეთი (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ჰერენვეენი-ალკმაარი.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ვოლფსბურგი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. ნოვარა-მილანი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. მონპელიე-ლიონი.
**18:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**19:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი. III დღე. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი. II დღე. ლონდონი. ინგლისი.
**14:15** სპორტ-NEWS.
**14:30** ჩოგბურთი. უიმბლდონი. III დღე. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
**19:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**20:00** პოკერ-რინგი 2.
**21:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-ბაიერნი.
**23:30** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. „ოთხთა ფინალი". 1/2 ფინალი. ატლეტიკო-კოპენჰაგენი. კიოლნი. გერმანია.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი. II დღე. ლონდონი. ინგლისი.
**13:45** სპორტ-NEWS.
**14:00** ჩოგბურთი. მიმოხილვა.
**14:30** ჩოგბურთი. უიმბლდონი. III დღე. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 19 | 33 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 23 | 28 | (მცირე წვიმა) |
| ბათუმი | 21 | 26 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 22 | 27 | (მცირე წვიმა) |
| ზუგდიდი | 20 | 27 | (მცირე წვიმა) |
| გორი | 16 | 29 | (მცირე წვიმა) |
| თელავი | 17 | 32 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 18 | 31 | (მზე) |
| ქობულეთი | 20 | 26 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 12 | 23 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 12 | 27 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 11 | 23 | (მცირე წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0470 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6376 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5615 |
| 100 რუსული რუბლი | 4.9365 |

# ნადალმა 0:4-დან მოიგო

ეროვნული ბიბლიოთეკა



რაფაელ ნადალი

გუშინ უიმბლდონზე პირველი წრე უნდა დასრულებულიყო, მაგრამ წვიმისა და სიბნელის გამო რამდენიმე მატჩი დღეისთვის გადაიდო. თავიანთი მატჩების ჩატარება მოასწრეს ATP-ის ტოპ-ოთხეულის წევრებმა. **როჯერ ფედერერსა** და **ნოვაკ ჯოკოვიჩს** მიჰბაძეს **რაფა ნადალმა** და **ენდი მიურეიმ** და მათაც სამ სეტში მოიპოვეს მეორე წრის საგზური.

თუმცა ნადალისთვის უცნაურად დაიწყო **ტომაშ ბელუჩისთან** შეხვედრა. ბრაზილიელმა მოიგო პირველი ოთხი გეიმი და ორი ქულა აშორებდა იქამდე, რომ 5:0 წაეყვანა ანგარიში. მაგრამ ნადალმა მეხუთე გეიმში 15:30-დან დაიწყო მატჩის ბედის თავის სასარგებლოდ შემობრუნება. ზედიზედ ოთხი გეიმის მოგებით მან გაათანაბრა ანგარიში, საბოლოოდ კი ინიციატივა პირველი პარტიის ტაი-ბრეიკზე მოიპოვა, როცა მე-13 გეიმში ერთი ქულაც არ დაუთმო მეტოქეს. მეორე და მესამე სეტებში კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ესპანელმა ჯამში ექვსი ბრეიკი გააკეთა და მეორე წრეში ითამაშებს.

გაცილებით იოლად ჰქონდა საქმე მიურეის, რომელსაც ერთ დროს ATP-ის ელიტის წევრი **ნიკოლაი დავიდენკო** ხვდებოდა. რუსი მაშინაც ვერ ბრწყინავდა ბალახზე, როცა კარიერის ზენიტში იყო, ახლა მით უმეტეს ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია მასპინძელს. პირველი ორი სეტი მიურეიმ 55 წუთში მოიგო, მესამეში დავიდენკომ გაიბრძოლა, თუმცა, საბოლოოდ, ისე დაასრულა მატჩი, რომ ერთი ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონია, მიურეიმ კი 13 ბრეიკ-პოინტიდან ექვსი გამოიყენა.

გუშინდელი დღის ერთ-ერთი გამორჩეული შეხვედრა ფრანგ **ჟო-ვილფრიდ ცონგასა** და ავსტრალიელ **ლეიტონ ჰიუიტს** შორის იყო. უიმბლდონის ყოფილი ჩემპიონის ჰიუიტის კარიერა დასასრულს უახლოვდება. ის ამჟამად 202-ე ნომერია რეიტინგში და კარგა ხანია, ATP-ის ტურნირებზე წარმატებისთვის არ მიუღწევია. თუმცა იმის გამო, რომ ლეიტონს 2003 წლის შემდეგ უიმბლდონზე პირველ წრეში არასოდეს წაუგია, ჩოგბურთის მოყვარული ამ მატჩში გარკვეულ ინტრიგას ხედავდა.

მაგრამ უფრო ენერგიულმა ცონგამ ძალიან დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. მან 61 „ვინერსი“ გააკეთა, ავსტალიელმა მხოლოდ - 12, ფრანგმა 30 ეისი ჩააწოდა, ჰიუიტმა - ერთი. ჟომ თითო სეტში თითო ბრეიკი გააკეთა და თავად მეტოქის რვავე ბრეიკ-პოინტი მოიგერია - 6:3, 6:4, 6:4.

გულზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა მეათე ნომრად განთესილმა **მერდი ფიშმა**. ამერიკელს არ ეტყობოდა ესპანელი **რუბენ რამირეს-იდალგოს** წინააღმდეგ ორთვენახევრიანი უთამაშებლობა და მან ძალიან აქტიურად წარმართა მთელი მატჩი. ფიში ხშირად გადიოდა ბადესთან, 24 ეისი ჩააწოდა და თან 63 „ვინერსი“ მიითვალა.

საინტერესო იყო ორი ამომავალი ვარსკვლავის - 21 წლის ბელგიელი **დავიდ გოფენისა** და 20 წლის ავსტრალიელი **ბერნარდ ტომიჩის** მატჩი. გოფენმა ცოტა ხნის წინ როლან გაროსზე მოახდინა ფურორი, როცა მერვედფინალამდე მიაღწია და იქ ერთი სეტი მოუგო ფედერერს, ტომიჩი კი შარშანდელი უიმბლდონის მეოთხედფინალისტია. თუმცა ავსტრალიელი წელს ვერ ამართლებს მასზე გაცემულ ავანსებს და ეს ამ მატჩშიც დადასტურდა. მართალია, ტომიჩმა მოიგო პირველი სეტი, მაგრამ შემდეგ ბელგიელმა მოიპოვა ინიციატივა და ზედიზედ სამი სეტი აილო.

სერიოზული პრობლემები შეუქმნა ჰოლანდიელმა **რობინ ჰაასემ** არგენტინელ **ხუან მარტინ დელ პოტროს**. ორი სეტის შემდეგ ანგარიში თანაბარი იყო. მომდევნო ორ პარტიაშიც ჰოლანდიელი ბოლომდე იბრძოდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში მოიკოჭლებდა - მან წააგო მესამე სეტის ტაი-ბრეიკი, მეოთხეში კი ბოლოსკენ მისცა დელ პოტროს ბრეიკის გაკეთების საშუალება.

ხუან მარტინმა ოთხი ბრეიკი გააკეთა, ჰაასემ - სამი. ჰოლანდიელმა ეისების რაოდენობით აჯობა არგენტინელს: 18-16. თამაში ორი საათი და 49 წუთი გრძელდებოდა.

■ ■ ■

წარმატებით დაიწყო ტიტულის დაცვა **პეტრა კვიტოვამ**, თუმცა ნადალის მსგავსად, მასაც მოუწია მატჩის ბედის თავის სასარგებლოდ შემოტრიალებამ. ჩეხი 0:3-ს და 1:4-ს აგებდა პირველ სეტში უზბეკ **აკგულ ამანმურადოვასთან**, მაგრამ შემდეგ ზედიზედ შვიდი გეიმი აილო და 6:4, 2:0 დაწინაურდა.

თუმცა ჩეხმა მატჩის მშვიდად დასრულება მაინც ვერ მოახერხა. 5:3-ზე მან მატჩბოლი ვერ გამოიყენა, შემდეგ ამ უიმბლდონზე პირველად შეწყდა შეხვედრა წვიმის გამო და პაუზა საათ-ნახევარი გაიწელა. თამაში იმით განახლდა, რომ ამანმურადოვამ მოიგო თავისი გეიმი, მაგრამ 5:4-ზე კვიტოვამ შეძლო მატჩზე ჩაწოდება.

უფროსი დისგან განსხვავებით, დამაჯერებელი თამაში აჩვენა პირველ წრეში **სერენა უილიამსმა**, რომელიც მსოფლიოს 62-ე ნომერს **ბარბორა ზახვალოვას** ხვდებოდა. ამერიკელს მცირე პრობლემა მეორე სეტის ბოლოს შეექმნა, როცა 5:3-ზე მატჩზე ჩაწოდება ვერ შეძლო და მეტოქეს ბრეიკის გაკეთების საშუალება მისცა, თუმცა იქვე თავადაც აილო ბრეიკი და 6:2, 6:4 მოიგო. სერენამ ზედიზედ მეცამეტედ მოიგო უიმბლდონის პირველი წრე.

ერთი შეხედვით იოლად მოიგო თავისი შეხვედრა ბელარუსმა **ვიქტორია აზარენკამ**, მაგრამ მსოფლიოს მეორე ნომერს გარკვეული პრობლემები შეექმნა საკუთარი მოწოდების დროს ამერიკელ **ირინა ფალკონის** წინააღმდეგ.

აზარენკამ სამჯერ წააგო საკუთარი მოწოდება და მისდა ბედად, მეტოქე კიდევ უფრო ცუდად თამაშობდა თავის გეიმებზე, რისი წყალობითაც ბელარუსმა საათსა და 17 წუთში 6:1, 6:4 მოიგო.

## უიმბლდონის ფაქტები და რეკორდები

- უიმბლდონიდან პირველი ფერადი ტელერეპორტაჟი 1967 წელს ტელეკომპანია BBC-მ განახორციელა.

- ამერიკელი **მეი სატონი** უიმბლდონის პირველი არაევროპელი ჩემპიონია - მან 1905 წელს მოიგო ქალების ერთეულთა თანრიგი.

- **შარლოტ (ლოტი) დოდი** ერთეულებში უიმბლდონის ყველა დროის ახალგაზრდა გამარჯვებულია - 1887 წელს მან 15 წლისა და 285 დღის ასაკში გაიმარჯვა. 1996 წელს შვეიცარიელი **მარტინა ჰინგისი** 15 წლის და 282 დღის იყო, როცა წყვილებში მოიპოვა მთავარი პრიზი.

- დოდი აგრეთვე ვერცხლის მედალოსანი იყო მშვილდოსნობაში 1908 წლის ოლიმპიადაზე, თამაშობდა ბრიტანეთის ბალახის ჰოკეის გუნდში და 1904 წელს გოლფში მოყვარულებს შორის ბრიტანეთის ჩემპიონი გახდა.

- 1973 წლის მამაკაცთა ტურნირზე 79-მა მოთამაშემ გაფიცვის გამო არ ითამაშა. მათ შორის იყო 16 განთესილიდან 13 ჩოგბურთელი. მიზეზი იუგოსლაველი **ნიკი პილიჩის** დისკვალიფიკაცია გახლდათ. იმ ტურნირის გამარჯვებული გახდა ჩეხი **იან კოდეში**, რომელმაც ფინალში **სლავა მეტრეველი** დაამარცხა.

- ბრიტანელი **ბრეიმ ჰილიარდი** პირველი მამაკაცი იყო, ვინც კორტზე მოკლე შარვლით გავიდა. ეს 1930 წელს მოხდა.

- ბოლო გათხოვილი ჩოგბურთელი, რომელმაც უიმბლდონი მოიგო, ამერიკელი **კრის ევერტ ლოიდი** იყო (1981).

- უიმბლდონის პირველი შავკანიანი გამარჯვებული იყო **ალთეა გიბსონი** - მან ქალების ტურნირი 1957 წელს მოიგო.

- უიმბლდონის საჩოგბურთო კომპლექსი 20 კორტისგან შედგება.

- ტურნირის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა განთესილი ჩოგბურთელი იყო **ჯენიფერ კაპრიატი** - 14 წლის და 89 დღის (1990 წლის ივნისი).

### I წრე

### კაცები

**ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 12)**-ოლივიე როხუსი (ბელ) 6:7, 3:6, 7:6, 6:2, 6:4; **გიიომ რუფენი (საფ)**-სტივ დარცისი (ბელ) 6:4, 3:6, 5:7, 6:4, 6:4; **ნიკოლა მაუ (საფ)**-პაოლო ლორენცი (იტა) 6:3, 5:7, 6:7(3), 7:5, 6:2; დავიდ ფერერი (ესპ, 7)-დასტინ ბრაუნი (გერ) 7:6, 6:4, 1:1 შეწყდა; **კენი დე შეპერი (საფ)**-მატიას ბახინგერი (გერ) 6:4, 6:2, 6:3; უეინ ოდესნიკი (აშშ)-ბიორნ ფაუ (გერ) 3:6, 6:3, 7:6, 3:6 შეწყდა; ენდი როდიკი (აშშ, 30)-ჯეიმი ბეიკერი (ბრიტ) 7:6, 4:2 შეწყდა; **კეი ნიშიკორი (იაპ, 19)**-მიხაილ კუკუშკინი (ყაზ) 7:5, 6:3, 6:4; **ფლორან სერა (საფ)**-ანდრეი კუზნეცოვი (რუს) 3:6, 7:6(3), 6:4, 4:6, 6:4; **გი სოედა (იაპ)**-იგორ კუნიცინი (რუს) 6:3, 6:2, 6:1; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 9)**-რობინ ჰაასე (ჰოლ) 6:4, 3:6, 7:6(3), 7:5; **მარინ ჩილიჩი (ხორ, 16)**-სედრიკ-მარსელ შტებე (გერ) 6:4, 3:6, 6:3, 6:2; ლუკაშ კუბოტი (პოლ)-ტაცუმა იტო (იაპ) 7:6, 6:3, 5:3 შეწყდა; **სემ კუერი (აშშ)**-ვაჩეკ პოსპიშილი (კან) 7:5, 6:7(5), 6:3, 6:4; მილოშ რაონიჩი (კან, 21)-სანტიაგო ხირალდო (კოლ) 6:4, 6:4, 5:4 შეწყდა; **გრიგორ დიმიტროვი (ბულ)**-კევინ ანდერსონი (ს. აფრ, 32) 7:5, 7:6(3), 6:7(4), 6:3; **მარკოს ბაღდატისი (კვიპ)**-ალბერტ მონტანიესი (ესპ) 6:2, 6:4, 6:4; ივო კარლოვიჩი (ხორ)-დუდი სელა (ისრ) 6:4, 6:4, 1:1 შეწყდა; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს) 6:1, 6:1, 6:4; **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 5)**-ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) 6:3, 6:4, 6:4; **გილერმო გარსია ლოპესი (ესპ)**-ედუარდ როჟე-ვასელენი (საფ) 6:7(2), 6:3, 7:6(4), 5:7, 10:8; **ლუკაშ ლაჩკო (სლოვაკ)**-ადრიან უნგური (რუმ) 7:6(4), 6:1, 6:3; იურგენ მელცერი (ავსტრია)-სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 25) 3:6, 7:6, 2:6, 6:4 შეწყდა; **დავიდ გოფენი (ბელ)**-ბერნარდ ტომიჩი (ავსტრა, 20) 3:6, 6:3, 6:4, 6:4; **იესე ლევინი (აშშ)**-კაროლ ბეკი (სლოვაკ) 6:4, 6:7(6), 6:3, 6:2; **ჯეიმს უორდი (ბრიტ)**-პაბლო ანდუხარი (ესპ) 4:6, 6:0, 3:6, 6:3, 6:3; **მერდი ფიში (აშშ, 10)**-რუბენ რამირეს იდალგო (ესპ) 7:6(3), 7:5, 7:6(1); **იარკო ნიემინენი (ფინ)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ, 14) 7:6(4), 3:6, 7:6(5), 6:4; **ბრაიან ბეიკერი (აშშ)**-რუი მაშადო (პორ) 7:6(2), 6:4, 6:0; **ბენუა პერი (საფ)**-მეტიუ ებდენი (ავსტრა) 6:1, 6:3, 6:7(1), 6:3; **ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 22)**-ალექს ბოგომოლოვი (რუს) 6:3, 6:4, 7:5; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 27)**-ტომი ჰაასი (გერ) 3:6, 7:6(8), 6:7(5), 7:6(1), 6:2; **მალეკ ჟაზირი (ტუნ)**-იურგენ ცოპი (ესტ) 4:6, 4:6, 6:3, 6:4, 9:7; **ლუკაშ როსოლი (ჩეხ)**-ივან დოდიგი (ხორ) 6:4, 3:6, 7:6(0), 7:5; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ტომაშ ბელუჩი (ბრა) 7:6(0), 6:2, 6:3.

### ქალები

**ვერა ზვონარევა (რუს, 12)**-მონა ბარტელი (გერ) 2:6, 7:6, 6:4; **კრისტინა მაკჰეილი (აშშ, 28)**-იოანა კონტა (ბრიტ) 6:7, 6:2, 10:8; **სერენა უილიამსი (აშშ, 6)**-ბარბორა ზახვალოვა (ჩეხ) 6:2, 6:4; **მელინდა ჩინკი (უნგ)**-იოჰანა ლარსონი (შვედ) 6:0, 6:2; **ალექსანდრა ვოზნიაკი (კან)**-ვერა დუშევინა (რუს) 6:2, 7:5; **ჟიე ჟენგი (ჩინ, 25)**-სტეფანი დუბუა (კან) 4:6, 6:4, 6:3; **კიკი ბერტენსი (ჰოლ)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ, 19) 6:3, 6:0; **იაროსლავა შვედოვა (ყაზ)**-შანელ სხეპერსი (ს. აფრ) 7:6(5), 7:6(5); **ენ კეოტავონგი (ბრიტ)**-ლაურა პოუს-ტიო (ესპ) 6:3, 6:3; სარა ერანი (იტა, 10)-კოკო ვანდევეგე (აშშ) 6:1, 5:3 შეწყდა; **კრისტინა პლიშკოვა (ჩეხ)**-პოლონა ჰერცოგი (სლოვენ) 6:2, 6:2; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 24)**-ლაურა რობსონი (ბრიტ) 2:6, 6:4, 6:4; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 31)**-სოფია არვიდსონი (შვედ) 6:1, 6:2; **ვარვარა ლეპჩენკო (აშშ)**-პატრისია მეირახლაიტნერი (ავსტრია) 6:2, 6:3; **ელენა ბალტაჩა (ბრიტ)**-კარინ კნაპი (იტა) 4:6, 6:4, 6:0; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 4)**-აკგულ ამანმურადოვა (უზბ) 6:4, 6:4; კაროლინ ვოზნიაკი (დან, 7)-ტამირა პაჩეკი (ავსტრია) 2:2 შეწყდა; ალიზ კორნე (საფ)-ნინა ბრატჩიკოვა (რუს) 6:0, 5:5 შეწყდა; **გალინა ვოსკობოევა (ყაზ)**-გრეტა არნი (უნგ) 6:4, 6:2; **იანინა ვიკმაიერი (ბელ)**-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 32) 6:2, 6:3; **რობერტ ვინჩი (იტა, 21)**-ეშლი ბარტი (ავსტრა) 6:2, 6:4; **მარინა ერაკოვიჩი (ზელ)**-ურსულა რადვანსკა (პოლ) 6:4, 6:4; **მირიანა ლუჩიჩი (ხორ)**-ალექსანდრა პანოვა (რუს) 4:6, 6:3, 6:4; **მარიონ ბარტოლი (საფ, 9)**-კეისი დელაკუა (ავსტრა) 6:2, 6:4; ანასტასია იაკიმოვა (ბლრ)-მენდი მინელა (ლუქ) 3:3 შეწყდა; იულია გორგესი (გერ, 22)-შაარ პეერი (ისრ) 6:2, 2:1 შეწყდა; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 26)**-სიმონა ჰალეპი (რუმ) 3:6, 6:1, 6:2; **იანა ჩეპელოვა (სლოვაკ)**-კრისტიკა მლადენოვიჩი (საფ) 6:3, 3:6, 6:1; **რომინა ოპრანდი (შვეიც)**-ირინა კამელია ბეგუ (რუმ) 7:6(3), 6:4; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 2)**-ირინა ფალკონი (აშშ) 6:1, 6:4.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ირაკლი თავაძე**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608